

# ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 3 (290)  
მარტი  
2021



**Don't let the fear of losing be greater  
than the excitement of winning**



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა  
და აუდიტორთა ფედერაცია

---

# ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი  
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 3(290)

მარტი

2021

---

მთავარი რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი მანანა გველესიანი

**სარედაქციო კოლეგია:** ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;  
ცისკარა ზარანდია; ნადეჟდა კვატაშიძე; ზურაბ ლიპარტია; გიორგი ნანუაშვილი;  
დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე; რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე;  
დავით ჯალაღონია; ელენე ხარაბაძე.

---

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ  
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

# შინაარსი

|                                                                                                                                                                        |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ინფორმაცია ფედერაციიდან .....                                                                                                                                          | 3  |
| პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად<br>რუბრიკას უძღვება <b>გაპი ალავერდაშვილი</b><br>ორგანიზაციის ძირითადი ღირებულებებისა და მისიის ინფორმირება ..... | 4  |
| აუდიტზე დათანხმებისა და დაგეგმვის პროცესი .....                                                                                                                        | 12 |
| პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა საბამოცდმო მხარდაჭერა<br>ბაფის 2021 წლის თებერვლის პროფესიული სერტიფიცირების<br>გამოცდების ანალიზი .....                        | 27 |
| როგორ მოვემზადოთ უმაღლესი დონის ფინანსური მართვის<br>მოდულის გამოცდისთვის? .....                                                                                       | 38 |
| პრაქტიკული მოსაზრებები<br>ზოგიერთი რეკომენდაცია ბიზნესკომპანიებს – აუდიტორული,<br>ბუღალტრული და სხვა მომსახურების ჰონორარის ადეკვატურობაზე) .....                      | 47 |
| <b>საბა ქაქაშია</b><br>COVID-19-ის ერთი წელი – ACCA-ს პრეზიდენტისა და დირექტორის<br>ერთობლივი წერილი .....                                                             | 51 |
| IFRS-ის ფონდი ქმნის სამუშაო ჯგუფს მდგრადი განვითარების<br>სტანდარტების შესათანხმებლად .....                                                                            | 52 |
| ოფიციალური მასალები .....                                                                                                                                              | 54 |
| კითხვა-პასუხი .....                                                                                                                                                    | 75 |
| ინფორმაცია პირუბიდან .....                                                                                                                                             | 80 |

---

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი  
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97  
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“. კოდი 220101830 ა/ა 7 467 286

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილმა

გადაეცა წარმოებას 3.04.2021. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.04.2021.  
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5,5. ტირაჟი 1500

**ფასი 6 ლარი**

ბაფში 2021 წლის თებერვალში ჩატარდა ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ქართულენოვანი პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული სერტიფიცირების გამოცდები.

გთავაზობთ გამოცდების შედეგებს მოდულების მიხედვით.

| მოდული                                                | გავიდა<br>გამოცდაზე | ჩააბარა | ჩაიჭრა | ჩაბარების<br>% |
|-------------------------------------------------------|---------------------|---------|--------|----------------|
| ბუღალტერი ბიზნესში                                    | 21                  | 20      | 1      | 85%            |
| მმართველობითი აღრიცხვა                                | 44                  | 36      | 8      | 86%            |
| ფინანსური აღრიცხვა                                    | 64                  | 49      | 15     | 67%            |
| ქართული ბიზნესსამართალი                               | 100                 | 85      | 15     | 91%            |
| საქმიანობის შედეგების მართვა                          | 46                  | 30      | 16     | 63%            |
| საგადასახადო დაბეგვრა                                 | 135                 | 115     | 20     | 92%            |
| ფინანსური ანგარიშგება                                 | 39                  | 26      | 13     | 50%            |
| აუდიტი და მარწმუნებელი<br>მომსახურება                 | 49                  | 39      | 10     | 79%            |
| ფინანსური მართვა                                      | 29                  | 18      | 11     | 65%            |
| ფინანსური მართვა<br>(უმაღლესი დონე)                   | 14                  | 4       | 10     | 55%            |
| აუდიტი და მარწმუნებელი<br>მომსახურება (უმაღლესი დონე) | 19                  | 10      | 9      | 83%            |
| საწარმოს სტრატეგიული<br>ანგარიშგება                   | 27                  | 19      | 8      | 36%            |
| სტრატეგიული ბიზნესლიდერი                              | 17                  | 8       | 9      | 64%            |
| სულ:                                                  | 604                 | 459     | 145    |                |

## ორგანიზაციის ძირითადი ღირებულებებისა და მისიის ინფორმირება

მოდულები „მმართველობითი აღრიცხვა“  
და „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“

ჩვენი სტატია, პირველ რიგში, დააინტერესებს „მმართველობითი აღრიცხვისა“ და „სტრატეგიული ბიზნესლიდერის“ მოდულის შემსწავლელ სტუდენტებს და არა მარტო მათ, ვინაიდან სტატიაში ისეთ საკითხებს განვიხილავთ, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს ACCA-ის პროგრამაში ჩართულმა ნებისმიერმა სტუდენტმა და რაც ასე ვრცლად არ არის განხილული სასწავლო პროგრამებში.

ჩვენი მიზანია სტუდენტებმა უფრო გაიღრმავონ და გაიფართოვონ ცოდნა ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც ეხება ორგანიზაციის მისიისა და ძირითადი ღირებულებების თაობაზე განაცხადის მომზადებასა და მათ შესახებ საზოგადოებისთვის, დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმირებას. შევეცდებით, შედარებით მარტივად და გასაგები ენით გადმოვცეთ ამ თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

ეს არის მიზანი, რომელიც შეიძლება ადვილად გამოგვრჩეს მხედველობიდან, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის ანალიზის, სტრატეგიული არჩევანისა და აუთსორსინგის შესახებ გადანყვეტილებების მიღების დროს სიჩქარის გამო. თუმცა, პრაქტიკაში ორგანიზაციების მისიისა და ძირითადი ღირებულებების ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების, აქციონერების, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და ბევრი ორგანიზაცია ამ საკითხს საკმაოდ სერიოზულად უდგება.

### ამ სტატიაში:

- მოკლედ განვიხილავთ ტერმინების „მისია“, „მისიის განაცხადი“ და „ძირითადი ღირებულებების“ მნიშვნელობას;
- ავხსნით, რატომ არის მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება;
- დავახსნიათ ინფორმირებისთვის გამოყენებულ ყველაზე გავრცელებულ მოდელს თანამედროვე ეპოქაში;
- მოკლედ აღვწერთ ინფორმირების მეთოდებს, რომლებიც ამჟამად ხელმისაწვდომია ორგანიზაციებისთვის;
- საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მსოფლიოში აღიარებული ბრენდების შესაბამის მაგალიტებს იმის შესახებ, როგორ შეუძლიათ ორგანიზაციებს ზემოაღნიშნული ინფორმირების პროცესის განხორციელება.

### ტერმინოლოგია

ორგანიზაციის მისია არის მისი ძირითადი მიზანი – რისთვის არის შექმნილი ის/ორგანიზაცია? რისთვის არსებობს? რა არის მისი საქმიანობის არსი/მთავარი დანიშნულება?



ორგანიზაციის მისია ჩამოყალიბებულია წერილობით, მისიის განაცხადში. მისიის განაცხადი ჯონსონმა, სქოულსმა და ვიტინგტონმა განმარტეს შემდეგნაირად: „ორგანიზაციის საქმიანობის უმთავრესი მიმართულებისა და მიზნის ფორმულირება“. ზოგიერთი კომპანია „მისიის განაცხადის“ ნაცვლად იყენებს ტერმინს „ხედვის განაცხადი“. ზოგიერთი თეორეტიკოსი და სახელმძღვანელოს ავტორი ცდილობენ ერთმანეთისაგან განასხვავონ ეს ორი ტერმინი „ხედვა“ და „მისია“. თუმცა, ბევრი არაფერი გაკეთებულა ამ კუთხით და თქვენც შეგიძლიათ იგულისხმოთ, რომ ეს ტერმინები ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება.

ვილაცას შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი მისიის განმარტებასთან დაკავშირებით – მისია ხომ უბრალოდ ჩამჭრელი დევიზია? რატომ არ წერს ყველა კომპანია გულახდილად – ჩვენი მისია და სამუშაოს მიზანია ფულის გენერირება/მოვნა, მოგების გაზრდა და ხარჯების შემცირება? მათი შეხედულება ნაწილობრივ მართალია – კომერციული საწარმოს, მისი მფლობელებისა და თანამშრომლების მიზანი ფულის მიღება და შემოსავლების გაზრდაა, მაგრამ ეს არ არის ორგანიზაციის მისია. მარტივად რომ ვთქვათ, ორგანიზაციის მისიის/განაცხადიდან ვიგებთ, როგორ და რისთვის შოულობენ ორგანიზაციები ფულს.

საბოლოო ჯამში, იგულისხმება, რომ მისიის განაცხადი ეხება შემდეგ საკითხებს:

- რას საქმიანობს ორგანიზაცია?
- ვის ემსახურება ორგანიზაცია?
- რა სარგებელი მოაქვს მას?
- რა არის ორგანიზაციის ღირებულებები და ეთიკა?

ზემოთ ჩამოთვლილ ცნებებში ბოლო არის ღირებულებების, ანუ ძირითადი ღირებულებების ცნება. ჯონსონმა, სქოულსმა და ვიტინგტონმა ძირითადი ღირებულებები განმარტეს ასე – „პრინციპები, რომლითაც ორგანიზაცია ხელმძღვანელობს თავის ქმედებებში“.

**გახსოვდეთ!** მისია შეიძლება ჩაეტიოს რამდენიმე მოქნილ ფრაზაში ან შეიძლება დაინეროს 500 სიტყვით, რადგან, ფორმულირების სილამაზე კი არა, არამედ ფრაზების მნიშვნელობა, მათი შინაარსი განსაზღვრავს მისიის ეფექტურობას თანამშრომლების, მომხმარებლების და, საერთოდ, ყველა დაინტერესებული მხარისთვის (ამ მოსაზრებაში დასარწმუნებლად სტატიის ბოლოს გაგაცნობთ მსოფლიოში აღიარებული რამდენიმე კომპანიის მისიის განაცხადის მაგალითებს). ცხადია, ისიც არ უნდა დაგვაზიწყდეს, რომ ძლიერი და ფოკუსირებულ მისია, თავისთავად, არ არის კომპანიის წარმატების გარანტია, თუმცაღა, კომპანიის წარმატებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

არ არსებობს მისიის განაცხადის სტანდარტული ფორმატი ან მისი შინაარსის ელემენტების სტანდარტული სია. ორგანიზაციები სავსებით თავისუფლები არიან მისიის განაცხადების მომზადების საკითხში. თუმცა, ბევრი მიზნისთვის აუცილებელია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ მისიის განაცხადი და სლოგანი. ნაიკის „უბრალოდ გააკეთე ეს“ არის ძლიერი სლოგანი, მაგრამ ბევრი ასპექტით არ აკმაყოფილებს მისიის განაცხადის განმარტებას. ახლა საილუსტრაციოდ განვიხილავთ ACCA-ის მისიის განაცხადისა და ძირითადი ღირებულებების მაგალითს:

#### ჩვენი მისიაა:

- უნარიან ადამიანებს შეუქმნათ განვითარების შესაძლებლობები მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ჩვენს წევრებს დავეხმაროთ წარმატებული კარიერის შექმნაში ბუღალტრული აღრიცხვის, ბიზნესის მართვისა და ფინანსების სფეროში;
- ხელი შეუწყოთ უმაღლესი დონის პროფესიული, ეთიკური და კორპორაციული მართვის სტანდარტების შექმნასა და დამკვიდრებას;
- წინა პლანზე დავაყენოთ საზოგადოებრივი ინტერესები;
- ვიყოთ მსოფლიო ლიდერი პროფესიაში.

## ჩვენი ძირითადი ღირებულებები:

**შესაძლებლობა.** ჩვენ ადამიანებისთვის ხელოვნური ბარიერების გარეშე ვქმნით ხელსაყრელ შესაძლებლობას მთელს მსოფლიოში – სტუდენტები იქნებიან ეს, წევრები თუ ჩვენი თანამშრომლები და ხელს ვუწყობთ მათ კარიერულ წინსვლაში;

**დივერსიფიკაცია.** ჩვენ პატივს ვცემთ და ვაფასებთ ადამიანებში მრავალფეროვნებას, აზრთა სხვადასხვაობას, მათ ინდივიდუალიზმს, ასევე მრავალფეროვნებას ჩვენს პროდუქტებში;

**ინოვაცია.** ჩვენ ვქმნით ახალ და არაპროგნოზირებად შესაძლებლობებს და ვიღებთ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს მომავლისთვის;

**ანგარიშვალდებულება.** ჩვენ საკუთარ თავზე ვიღებთ ინდივიდუალურ და კორპორაციულ პასუხისმგებლობას ჩვენს ქმედებებზე, ვმუშაობთ ერთად, რათა ჩვენს დაინტერესებულ მხარეებს გავუწიოთ ხარისხიანი მომსახურება, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

**პატიოსნება.** ჩვენ ვმოქმედებთ ეთიკურად და ვმუშაობთ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ, ადამიანებს ვექცევით სამართლიანად და კეთილსინდისიერად; და ამას მოველით სხვებისგანაც.

**რატომ არის მნიშვნელოვანი მისიისა და ძირითადი ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებულ მხარეთათვის:**

- ინვესტორებს სურთ იცოდნენ, როგორ აპირებენ ორგანიზაციები მოგების მიღებას, ან ზოგიერთი თავიანთი ამბიციის დაკმაყოფილებას;
- დირექტორებსა და სხვა თანამშრომლებსაც სჭირდებათ ორგანიზაციის მიზნის ცოდნა და როგორ აპირებს ორგანიზაცია დამატებითი ღირებულების შექმნას და კონკურენციაში ბრძოლას;
- მომხმარებლებს შეიძლება სურდეთ იმის ცოდნა, რას ჰპირდება მათ ორგანიზაცია;
- ყველა დაინტერესებულ მხარეს მოესურვება იმის ცოდნა, როგორ აპირებს ორგანიზაცია თავისი საქმიანობის წარმართვას; პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს; ორგანიზაციის მორალური და ეთიკური „კომპასი“.


ACCA ძალიან ნათლად აცხადებს, რომ მისი საქმიანობის მთავარი მიზანია, შესაძლებლობის მიცემა ყველა ერისა და მრავალფეროვანი მოსახლეობისთვის. ეს გავლენას იქონიებს ხელმძღვანელობაზე, მის თანამშრომლებზე, სტუდენტებსა და წევრებზე. თუ ACCA-ის არ ექნებოდა ძლიერი საერთაშორისო რეპუტაცია, სავარაუდოდ, ის გაცილებით მეტად იქნებოდა კონცენტრირებული ვიწრო ადგილობრივ ბაზარზე. გარდა ამისა, ACCA დიდ ყურადღებას ამახვილებს ეთიკასა და ანგარიშვალდებულებაზე.

ორგანიზაციის მისიის ინფორმირებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ, სავარაუდოდ, განსხვავებული გზავნილი იქნება საჭირო დაინტერესებული მხარის სხვადასხვა ჯგუფისთვის (მაგალითად, მომხმარებელს არ სჭირდება იმის ცოდნა, კონკრეტულად რა დავალება აქვს მიცემული ორგანიზაციას, თანამშრომლებისთვის დანახარჯებთან დაკავშირებით). მისია და ძირითადი ღირებულებები არის გრძელვადიანი საჯარო ვალდებულებები და დაპირებები და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდიოდეს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სწრაფად „ჩაიფუშება“. აზრი არა აქვს, მომხმარებლებს ვუქადაგოთ იმის შესახებ, რომ კომპანიას გამიზნული აქვს ნახშირორჟანგის გამოფრქვევის შემცირება, თუ იმავდროულად თანამშრომლებს ვეუბნებით, რომ „თავი არ შეინუხონ“ ნარჩენების გადამუშავებაზე ზრუნვითა და ფიქრით. შეუსაბამო და მაცდუნებელი განცხადებები სწრაფად გამოიჟღავნდება და, უკიდურეს შემთხვევაში, გამოიწვევს ორგანიზაციის რეპუტაციის შელახვას.



## ინფორმირების მოდელი

მისიის ინფორმირებისთვის გამოყენებული ყველაზე გავრცელებული მოდელია შენონ-ვივერის მოდელი. ამ მოდელის მიხედვით ინფორმირების პროცესი წარმოდგენილია შემდეგი სახით:



იმისთვის, რომ ინფორმირების პროცესი წარმატებული იყოს, გზავნილმა უნდა მიაღწიოს გამგზავნიდან მიმღებამდე, ხოლო თვითონ გზავნილი უნდა იყოს გასაგები და ქმედითი/რეალური. როდესაც ორგანიზაცია აპირებს ძირითადი ღირებულებებისა და მისიის ინფორმირებას, როგორც წესი, გასათვალისწინებელია შემდეგი 5 ელემენტი:

- ინფორმაციის წყარო – საბჭო;
- გამგზავნი – შეტყობინების კოდირება – გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რისი თქმა ან რისი ჩვენებაა საჭირო და ასევე შეტყობინების დამუშავება;
- საკომუნიკაციო არხი – მაგალითად, ინტერნეტი, წერილები, შეხვედრები. საკომუნიკაციო არხები შედარებით დეტალურად არის ჩამოთვლილი სტატიის შემდეგ ნაწილში;
- მიმღები – რომელიც ახდენს შეტყობინების დეკოდირებას/გაშიფვრას, მაგალითად ვებბრაუზერი, რომელიც ეკრანზე გამოაჩენს საჭირო გვერდს;
- ადრესატი – თანამშრომლები, მომხმარებლები, აქციონერები.

ნებისმიერმა ხარვეზმა, რომელიც თავს იჩენს ინფორმირების 5-ეტაპიან პროცესში, შეიძლება ხელი შეუშალოს ინფორმაციის გადაცემას ნებისმიერ ეტაპზე ან დაამახინჯოს ინფორმაცია და ამას შეიძლება ვუნოდოთ კავშირის შეფერხება. ამგვარი ხარვეზის ტიპური წყაროებია:

- **ენობრივი სირთულეები** – დარწმუნდით, რომ გზავნილი სათანადოდ გადაითარგმნა უცხო ენებზე და გამოყენებული ტერმინოლოგიის გაგება შესაძლებელია;
- **ზედმეტი ინფორმაცია** – ძალიან ბევრი ინფორმაცია, რათა ადრესატებმა ვერ შეძლონ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფა და, მაშასადამე, გაგება;
- **სირთულე მიღებაში** – არასწორი ელფოსტის მისამართები;
- **შეტყობინების მიღებაში დაუინტერესებულობა** – მაგალითად, თანამშრომლებს შეიძლება არ სურდეთ თავიანთი ქცევის შეცვლა და შეიძლება უგულებელყონ მიღებული ინფორმაცია;
- **განსხვავებები სტატუსში** – მაგალითად, ხელმძღვანელობა დაშორებულია თანამშრომლებისგან და არ სურს „ცუდი ამბების“ გაგება, ორგანიზაციის შედეგების შესახებ;
- **ინფორმირებისთვის შერჩეული არასწორი არხები** – მაგალითად, თანამშრომლებისთვის ვრცელი ტექსტის წაკითხვის დავალებულება, ორგანიზაციის ძირითადი ღირებულების შესახებ, მაშინ, როდესაც უფრო ეფექტური იქნებოდა ტრენინგების კურსის ჩატარება, ვიდეოპრეზენტაციების ან განხილვების ორგანიზება.

ინფორმირების პროცესი შეიძლება ადვილად ჩაიშალოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიძლება ვერც კი გაიგოს ამის შესახებ. ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ

ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა შემდეგი: მართალია, ორგანიზაციების ხელმძღვანელების დაახლოებით 27% დარწმუნებულია, რომ მათი თანამშრომლები ხელმძღვანელებს ორგანიზაციის „ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების კოდექსით“, რაც მათ შთააგონებს, რომ უნდა იმოქმედონ კომპანიის მისიის შესაბამისად, მაგრამ ამას მხოლოდ თანამშრომლების 4% ეთანხმება. ანალოგიურად, ხელმძღვანელების 41% აცხადებს, რომ მათი კომპანია თანამშრომელთა შედეგებს აფასებს/აჯილდოებს ღირებულებებზე დაყრდნობით და არა მარტო ფინანსური შედეგების მიხედვით. თუმცა ამ მოსაზრებას, მხოლოდ თანამშრომლების 14% იზიარებს. ამგვარად, ამ გამოკვლევის მიხედვით სავსებით აშკარაა, რომ სერიოზული პრობლემები ახასიათებს ორგანიზაციის მიერ ძირითადი ღირებულებების ინფორმირების პროცესს.

### ინფორმირების მეთოდები (არხები)

მისია და ძირითადი ღირებულებები, თავისთავად, თანამშრომლებს ვერ ასწავლის ქცევას და ვერც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის სასურველი შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, მას ერთნაირად ვერ გაიგებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, თუ ინფორმაციის მიწოდება არ მოხდება ეფექტური საშუალებით. აქციონერები ვერაფრით დარწმუნდებიან იმაში, რომ მათ ფული ჩადებული აქვთ ინოვაციურ კომპანიაში, თუკი მომხმარებლებისა და თანამშრომლების გამომხატვრები და მოსაზრებები/კომენტარები სრულიად განსხვავებული იქნება. მართალია, შეტყობინებები ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იყოს, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი – არსებობს საკომუნიკაციო არხებისა და საშუალებების ფართო არჩევანი და მნიშვნელოვანია, რომ კომუნიკაციისთვის კომპანიამ შეარჩიოს ის მეთოდი, რომელიც ყველაზე უკეთ იმუშავებს დაინტერესებულ მხარეთა თითოეული ჯგუფისთვის

ინფორმირების მეთოდებია:

- საუბრები და განხილვები;
- რეკლამა;
- ბეჭდური გამოცემები, როგორიცაა ჟურნალები, საინფორმაციო ბიულეტენები და ერთჯერადი შეტყობინებები;
- ფინანსური ანგარიშგება,
- შეხვედრები, როგორიცაა, მაგალითად აქციონერთა საერთო კრება;
- საფირმო საკანცელარიო საქონელი;
- საფირმო საქონელი;
- პრეზენტაციები;
- სასწავლო კურსები;
- პრესრელიზები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვა ფორმები;
- თანამშრომლობა;
- ვიდეო;
- მოკლე ტექსტური შეტყობინებები;
- ინტერნეტი (ორგანიზაციის ვებგვერდი) და ინტრანეტი;
- ელფოსტა;
- სოციალური მედია საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად ფეისბუქი, ტვიტერი, ვაიბერი, ვოცაფი, მესენჯერი ინსტაგრამა და სხვ.

ეს არის მიახლოებითი ჩამონათვალი იმ ტექნიკური საშუალებების, რომლებიც დროთა

განმავლობაში ხდებოდა ხელმისაწვდომი: თანამშრომლებთან პირდაპირ ურთიერთობა გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, სანამ ტვიტერი გაჩნდებოდა და ტვიტერში ჩაინერგა ვინმეს, როგორც პატივცემულ თანამშრომელს. საზოგადოდ, ნებისმიერ საინფორმაციო კომპანიაში შერეულად გამოიყენება სხვადასხვა საშუალება და მეთოდი, რომელთა შერჩევა, ძირითადად, იმაზე დამოკიდებულია, რომელი აუდიტორიისთვის არის გამიზნული გზავნილი; რა ტიპისაა ეს შეტყობინება და რა ხარვეზი სჭირდება მას როგორც ფულის, ისე დროისა და გარემოზე გავლენის თვალსაზრისით. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ორგანიზაციამ გაუგზავნოს ქალაქში ამობეჭდილი ფინანსური ანგარიშგება, ამჟამად ბევრი კომპანია ელფოსტით უგზავნის დაინტერესებულ მხარეებს ინტერნეტის ბმულს, სადაც შესაძლებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ნახვა და, საჭიროების შემთხვევაში, მისი ჩამოტვირთვა.

ანალოგიურად, საინფორმაციო ბიულეტენების გაგზავნა ელფოსტით უფრო სწრაფად ხდება, უფრო იაფიც არის და გარემოსთვისაც უფრო ნაკლები ზიანი მოაქვს, ვიდრე ამ მასალის ქალაქში დაბეჭდილი ასლების დაბეჭდვასა და გაგზავნას დაინტერესებული მხარეებისთვის. ინფორმაციის გადაცემის მეთოდების ამგვარი ცვლილება არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, როგორ ხდება ორგანიზაციის ძირითადი ღირებულებების ინფორმირება პრაქტიკაში – მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე კომპანიების მიზანი და სურვილია, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გარემოზე გავლენა და ხელი შეუწყოს გარემოს მდგრადობას.

**გახსოვდეთ!** მისიის ეფექტური ინფორმირებისთვის აუცილებელია გეგმა და, როგორც წესი, გეგმის შედგენა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ჩამოთვალეთ თქვენი ორგანიზაციის დაინტერესებული მხარეების ჯგუფები (აქ შედის აქციონერები, თანამშრომლები და მომხმარებლები);
- განსაზღვრეთ, რისი ინფორმირებაა აუცილებელი დაინტერესებულ მხარეთა თითოეული ჯგუფისთვის (აქ მისია და ძირითადი ღირებულებები);
- განსაზღვრეთ ინფორმირებისთვის შესაფერისი მეთოდები და ღონისძიებები;
- გაანალიზეთ რესურსები;
- შეიმუშავეთ საკომუნიკაციო ღონისძიებების განრიგი;
- განახორციელეთ საკომუნიკაციო ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი.

## დასკვნის სახით

ამრიგად, როგორც გავიგეთ, მისია არის ფორმულირებული და წერილობითი განცხადება, რომელიც ასახავს კომპანიის ბრენდის ფილოსოფიას და გვამცნობს იმის შესახებ, როგორ აუმაჯობებს ბრენდი მსოფლიოს, რა სარგებელი მოაქვს საზოგადოებისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ – რისთვის მუშაობენ ადამიანები და საზოგადოების კეთილდღეობაში შეტანილი რა წვლილისთვის იღებენ ფულს.

თუ გავიხსენებთ პირველ ოფიციალურად ფორმულირებულ მისიას (და ეს არის „სამრენველო საწარმოს მისია“ კომპანია Panasonic-ის დამფუძნებლისგან), მასში საუბარი იყო სიღარიბეზე გამარჯვებასა და გაჭირვებისგან ყველა ადამიანის განთავისუფლებაზე – არც მეტი, არც ნაკლები.

## კომპანიის მისიის სარგებელი/უპირატესობები

ჩვეულებრივ, მისიის განაცხადი უფრო პროზაულად არის ფორმულირებული, მაგრამ უბრალო ფრაზაც კი, რომელიც გვამცნობს შედარებით მცირე, მაგრამ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სარგებელზე, რომლის მოტანასაც კომპანია აპირებს (მაგალითად, ტელევიზორების ჩვენების სიმკვეთრის მაქსიმალურად გაუმჯობესება) დადებითად გამოარჩევს ამ კომპანიას ან ბრენდს სხვებისგან, რადგან ჩანს, რომ ახლა ჩვენ მხოლოდ ფულს კი არ ვმოულობთ, არამედ სოციალურად მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ თაობებისთვის.

როგორც ავსტრიელი ფსიქოლოგის **ვიქტორ ფრანკლის** ნამუშევრებიდან ვიცით, ის ადამიანები უფრო სიცოცხლიუნარიანები არიან, ვისაც ცხოვრების აზრი აქვთ. ასეა ბიზნესიც. ორგანიზაციის მისია უნდა პასუხობდეს კითხვებს „საით მივდივართ“ და „რისთვის ვაკეთებთ ყველაფერ ამას“ და არა „როგორ ვაკეთებთ ამას“. სად სურს მისვლა ამ გუნდს თავის ლიდერთან ერთად? პირველი იყო დარგში? უკეთესი გახადოს მსოფლიო? ააყვავოს მშობლიური ქალაქი? გაანთავისუფლოს საზოგადოება რომელიმე ერთი მნიშვნელოვანი პრობლემისგან?

რისთვის ვადგავართ ამ გზას? პორტოსი ამბობდა: „მე ვიბრძვი, იმიტომ ... რომ ვიბრძვი“. ნიგნისა და ქალების გმირი კი გახდა დარტანიანი, რომელიც სიყვარულის, ღირსებისა და მოვალეობის გულისთვის მოქმედებდა. ასეა კომპანიის შემთხვევაშიც. გუნდის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ მაღალი და გრძელვადიანი მიზნებისთვის, რადგან ნებისმიერი ხელფასისთვის მოიძებნება უფრო მაღალი ანაზღაურება, ხოლო ნებისმიერი ნამცხვრისთვის მოიძებნება მასზე უფრო ახალი ნამცხვარი.

ერთ სემანტიკურ ველში ეფექტურად ფორმულირებული მისია, კომპანიის ღირებულებებთან და პრინციპებთან ერთად, იძლევა შემდეგ უპირატესობებს:

- გუნდის ერთსულოვნება და შიდა კორპორაციული კულტურის ფორმირება;
- თანამშრომლების ერთგულება და მათი არამატერიალური მოტივაცია;
- შრომის ეფექტიანობის ამაღლება;
- ბაზა კომპანიის იდეოლოგიის გაფართოებისთვის;
- იმ კონკურენტებისგან გამორჩეული იმიჯის შექმნა, რომლებიც მსგავს პროდუქციას აწარმოებენ.

არავინ არავის ავალდებულებს, ჰქონდეს მისია. თუ კომპანიას არ ესმის მისიის არსი, მისი უპირატესობები, უმჯობესია არ ჰქონდეს მისია, ვიდრე ჰქონდეს მისია, რომელიც არის უსიცოცხლო, ყალბი, მხოლოდ „მოუსთვის“ – მოვალეობის მოსახდელად.

მას შემდეგ, რაც დაასრულეთ მისიის ფორმულირებას გეგმის მიხედვით, გადადიხართ საბოლოო ეტაპზე – დგება დრო, როდესაც საბოლოოდ უნდა შეამოწმოთ მისიის განაცხადი. მთავარია, რას იტყვის ხალხი. მაგრამ არა თქვენი ნაცნობ-მეგობრები, არამედ სხვა ადამიანები – აქციონერები, მომხმარებლები, თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. გაიგებენ ისინი თქვენი მისიის აზრს? შეუქმნის მათ შთაგონებას თქვენი ფორმულირება? შეესაბამება მისიის განაცხადი კომპანიის ღირებულებებს? რა შეგრძნებებს გამოიწვევს ტექსტი?

შეაგროვეთ გამოხმაურებები, კიდევ დაფიქრდით და გაასწორეთ ფორმულირება, საჭიროების შემთხვევაში, ან ისევ დაუბრუნდით პირველ ეტაპს, თქვენს მოსაზრებებს და ხელახლა ჩამოაყალიბეთ მისია.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ძლიერი მისიის განაცხადი შეიძლება რამდენიმე ფრაზაში ჩაეტიოს, რადგან მთავარია ფრაზების მნიშვნელობა და მათი შინაარსი, ასევე მათი შესაბამისობა ორგანიზაციის ღირებულებებთან და რეალურ ქმედებებთან.

ამის დასტურად და შთაგონების მიზნით გადავწყვიტეთ მოგვეყვანა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი რამდენიმე კომპანიის ძლიერი მისიის განაცხადების მაგალითები (როგორც სტატიის დასაწყისში დაგპირდით).

## საერთაშორისო ბრენდების მისიები

**საინფორმაციო ტექნოლოგიების გიგანტი Microsoft:** „ჩვენი მისიაა, დავეხმაროთ ადამიანებსა და კომერციულ ორგანიზაციებს მთელს მსოფლიოში, რათა მათ სრულად შეძლონ თავიანთი პოტენციალის რეალიზება. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ნიჭიერი, ენერგიული, ნათელი გონებისა და შემოქმედებითი უნარის მქონე ადამიანები, რომლებიც ალჭურვილი არიან შემდეგი ღირსებებით: კეთილსინდისიერება და პატიოსნება, ერთუზიანობა, გულწ-

რფელობა და პატივისცემა, რთული პრობლემების გადაჭრის სურვილი, თვითკრიტიკის უნარი და პასუხისმგებლობა“.

**საინფორმაციო ტექნოლოგიების გიგანტი Google:** „ჩვენი მისიაა, ორგანიზებულად თავი მოვუყაროთ მთელი მსოფლიოს ინფორმაციას და ყველასთვის ხელმისაწვდომი და სასარგებლო გაგხადოთ“

**სოციალური ქსელი Facebook:** „ადამიანებს ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალება მივცეთ და სამყარო უფრო ღია და ერთიანი გაგხადოთ“.

**ტექნიკის მწარმოებელი კომპანია Kodak:** „ჩვენ ვეხმარებით მთელს მსოფლიოს მოგონებების შექმნასა და ფულის გამომუშავებაში.“

**გასართობი ცენტრები Disneyland:** „ჩვენ იმისთვის ვმუშაობთ, რომ მოზარდები და ბავშვები უფრო მეტ დროს ატარებდნენ ერთად“.

**სავაჭრო ქსელი Castorama:** „ჩვენ ვეხმარებით მყიდველებს, უფრო სრულყოფილი და კომფორტული გახადონ თავიანთი სახლები, რემონტისა და კეთილმოწყობის პრომატევადი და ძვირად ღირებული პროცესი გადააქციონ ყველასთვის ხელმისაწვდომ, საინტერესო ჰობად.“

დასასრულ, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, აქციონერებს, თანამშრომლებსა და მომხმარებლებს მიენოდოს ინფორმაცია, კომპანიის მისიისა და ძირითადი ღირებულებების შესახებ. თუმცა, როგორც ინფორმირების მოდელიდან ჩანს, ინფორმაციის გადაცემა და მისი შეუფერხებლად და დაუმახინჯებლად მიღება გამიზნული აუდიტორიის მიერ ერთი და იგივე რამე არ არის. ის ფაქტი, რომ დიდი ფული იხარჯება მისიისა და ძირითადი ღირებულებების ინფორმირების პროცესზე, არ ნიშნავს იმას, შეტყობინება გასაგებია მიმღებთათვის, ან პრაქტიკაშიც შესაბამისად რეალიზდება. თუ მისიის განაცხადი და მასთან ერთად ფორმულირებული კომპანიის ღირებულებები არ შეესაბამება კომპანიის ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს, ამით კომპანიის რეპუტაციას შეიძლება ძალიან დიდი ზიანი მიაღგეს, დიდ ხნის განმავლობაში უარყოფითად იმოქმედებს აქციონერებთან, თანამშრომლებსა და მომხმარებლებთან კომპანიის ურთიერთობებზე.

თავდაპირველი სტატიის ადაპტირებული ვარიანტი მოამზადა  
„სტრატეგიული ბიზნესლიდერის“ მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა,  
2018 წლის იანვარი



## აუდიტზე დათანხმებისა და დაგეგმვის პროცესი

### მოდული „აუდიტი და მარნმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე)

აუდიტის ჩატარებაზე დათანხმება და აუდიტის დაგეგმვის პროცესი შეიძლება შეუდაროთ საგზაო რუკას, რომელიც აუდიტის გუნდს უზრუნველყოფს ინსტრუქციებითა და მითითებებით, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ მთელი აუდიტის განმავლობაში, რათა შეძლონ სწორი ფინანსური დასკვნების გამოტანა, ანუ დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, დამკვეთის ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს თუ არა კომპანიის „საქმეების“ მდგომარეობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ასს-ების მოთხოვნების მიხედვით, აუდიტორობის შეთავაზების შემდეგ აუდიტორი პირდაპირ ვერ დაიწყებს დამკვეთთან ადგილზე მუშაობას. იგი ვალდებულია, ჯერ განიხილოს გარკვეული საკითხები და ჩაატაროს გარკვეული პროცედურები. ეს პროცედურები ეხება აუდიტზე დათანხმებისა და დაგეგმვის სტადიებს. ამ სტადიებზე ჩატარებული სავალდებულო პროცედურები აუდიტორს ეხმარება რისკის შემცველი ძირითადი სფეროებისა და პრობლემების შეცნობაში, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება გადაწყვეტილებების მიღებაში, იმის თაობაზე:

- უნდა დაეთანხმოს თუ არა ახალ გარიგებას ახალ დამკვეთთან, ან უნდა გააგრძელოს თუ არა გარიგება არსებულ დამკვეთთან;
- ამ კონკრეტული აუდიტის ჩასატარებლად, რა დონის აუდიტორთა პერსონალი იქნება საჭირო;
- აუცილებელი იქნება თუ არა გარე ექსპერტების დახმარება; და
- რა ხასიათისა და მოცულობის სამუშაო იქნება შესასრულებელი და რა დროს.

აუდიტზე დათანხმების, დაგეგმვისა და შემდგომ აუდიტის ჩატარების პროცესი, ასევე აუდიტის დასრულების მთლიანი პროცესი შეიძლება დაეყოს 4 ეტაპად, კერძოდ:

- **1-ლი ეტაპი.** აუდიტზე დათანხმება;
- **მე-2 ეტაპი.** აუდიტის დაგეგმვა;
- **მე-3 ეტაპი.** აუდიტის გეგმისა და სტრატეგიის დოკუმენტირება, აუდიტის ჩატარება და აუდიტორული მტკიცებულებების შეკრება;
- **მე-4 ეტაპი.** აუდიტის დასრულება და აუდიტორული მოსაზრების ჩამოყალიბება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

მე-3 ეტაპი, აუდიტის გეგმისა და სტრატეგიის დოკუმენტირება, აუდიტორული მტკიცებულებების შეკრება აუდიტის პროცესის (აუდიტორული პროცედურების ჩატარების) მეშვეობით – სხვადასხვა აუდიტში სხვადასხვანაირი იქნება. აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მეთოდები დამოკიდებულია კონკრეტული დამკვეთის/სამეურნეო სუბიექტის ბიზნესის სპეციფიკაზე, მის შიდა კონტროლის სისტემაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ სამეურნეო ოპერაციებსა და ნაშთებზე.

მე-2 ეტაპს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მე-3 და მე-4 ეტაპების წარმატებით გასავლელად. ეს იმით აიხსნება, რომ თუ სამუშაო ადეკვატურად არ დაიგეგმა, ან აუდიტორმა არასწორად განსაზღვრა სტრატეგია, აუდიტის ჩასატარებლად განსაზღვრული მიდგომა და აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მიდგომა/მეთოდები შეიძლება არ აღ-



მოჩნდეს შესაფერისი, რის შედეგადაც შესაძლებელია აუდიტის გუნდმა ვერ მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები და, შესაბამისად, არასწორი მოსაზრება ჩამოაყალიბონ, ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

## 1-ლი და მე-2 ეტაპების მიმოხილვა

### 1-ლი ეტაპი – აუდიტზე დათანხმება

აუდიტორული ფირმა მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაეთანხმოს ახალ დამკვეთს ურთიერთობის დამყარებაზე, ან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გააგრძელოს არსებულ დამკვეთთან ურთიერთობა, როდესაც:

- იგი განიხილავს დამკვეთის პატიოსნების საკითხს;
- აუდიტორულ ფირმას აქვს მოცემული გარიგების შესასრულებლად აუცილებელი კომპეტენცია (შესაძლებლობები/დრო/რესურსები); და
- ეს გარიგება შეესაბამება აუდიტორების ეთიკის სტანდარტებს.

### ასს 220 „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“

აუდიტორულმა ფირმამ უნდა დააწესოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომლითაც იხელმძღვანელებს აუდიტორული ფირმა ახალ დამკვეთებთან ურთიერთობების დამყარებისას და არსებულ დამკვეთებთან ურთიერთობის გაგრძელებისას, ასევე კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმებისა და გარიგებების გაგრძელების დროს (ერთსა და იმავე დამკვეთთან განმეორებადი გარიგებების შემთხვევაში).

ზემოაღნიშნულმა პოლიტიკამ და პროცედურებმა აუდიტორული ფირმა უნდა უზრუნველყოს დასაბუთებული რწმუნებით იმისა, რომ ფირმა ამყარებს ან აგრძელებს მხოლოდ ისეთ ურთიერთობებს და ასრულებს მხოლოდ ისეთ გარიგებებს, რომლის დროსაც ზემოთ ჩამოთვლილი სამი პრინციპი დაკმაყოფილებულია.

მთავარი ამოსავალი წერტილი ის არის, რომ აუდიტორულ ფირმას არ უნდა სურდეს ისეთ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარება, რომელსაც ახასიათებს მიუღებლად მაღალი დონის რისკი; ამგვარად, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფირმამ გულმოდგინედ და საფუძვლიანად შეაფასოს პოტენციური გარიგება მანამდე, სანამ დამკვეთთან გარიგებას გააფორმებს.

საკითხები, რომლებიც განსახილველი ექნება აუდიტორულ ფირმას დამკვეთის პატიოსნებასთან, აუდიტორების კომპეტენტურობასა და ეთიკასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში სხვადასხვანაირი იქნება თითოეულ ცალკეულ აუდიტში. ამგვარი საკითხების მაგალითებია:

#### დამკვეთის პატიოსნება:

- დამკვეთის რეპუტაცია;
- დამკვეთის ოპერაციების სპეციფიკა;
- ძირითადი მოთამაშეების პოზიცია (სტანდარტების აგრესიული ინტერპრეტაცია/მიდა კონტროლი/აუდიტის დაბალი საზღაური/აუდიტის სამუშაოს მასშტაბის შეზღუდვა);
- ფულის გათეთრება;
- წასული აუდიტორები (მიზეზი).

## აუდიტორული ფირმის კომპეტენტურობა კონკრეტული გარიგების შესრულების პოზიციიდან

- მოცემული დარგის/განსახილველი საკითხის ცოდნა;
- გამოცდილება შესაბამის იურისდიქციაში/კანონმდებლობაში მუშაობის;
- საკმარისი პერსონალი და დრო/შესაძლებლობები;
- ექსპერტების ხელმისაწვდომობა, აუცილებლობის შემთხვევაში.

### ეთიკური საკითხები:

- ხარისხის კონტროლის მიმოხილვის ჩატარების შესაძლებლობა;
- აუდიტორული ფირმა და ინდივიდუალური პერსონალი – დამოუკიდებლობა;
- ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა აუდიტის არსებულ დამკვეთთან.

როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა განსახილველად სხვა საკითხებიც წამოიჭრება, ფირმამ სათანადო კონსულტაციები უნდა გაიაროს თვითონ დამკვეთთან ან მესამე მხარეებთან. შემდეგ ფირმამ უნდა გადაწყვიტოს, დაამყარებს თუ არა კავშირს მოცემულ დამკვეთთან. ფირმა უნდა დარწმუნდეს, რომ ამ საკითხების გადაჭრის ამსახველი ჩანაწერები სათანადოდ აისახა აუდიტის ფაილში.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი საკითხები არ გამოვლინდება დამკვეთთან მიმართებით, ფირმას შეუძლია მოამზადოს გარიგების წერილი.

აუდიტის გარიგების პარტნიორია პასუხისმგებელი საბოლოო გადაწყვეტილებაზე იმის შესახებ, დაამყაროს უნდა თუ არა კავშირი ფირმამ ახალ დამკვეთთან, ან უნდა გააგრძელოს თუ არა ურთიერთობა არსებულ დამკვეთთან:

„გარიგების პარტნიორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დაკმაყოფილებულია ის სათანადო მოთხოვნები, რომლებიც ეხება ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარებას, არსებულთან ურთიერთობის გაგრძელებას და კონკრეტულ აუდიტორულ გარიგებებს და უნდა დაადგინოს, რომ ამ საკითხებთან მიმართებაში გამოტანილი დასკვნები ადეკვატურია“ (ასს 220, მე-12 პ.)

### გარიგების წერილის მომზადება:

#### ასს 210 – „აუდიტორული გარიგების პირობებზე შეთანხმება“

აუდიტორი და დამკვეთი უნდა შეთანხმდნენ გარიგების პირობებზე და ეს პირობები წერილობით უნდა გაფორმდეს.

გარიგების წერილის ან სხვა მიზანშეწონილი ფორმის ხელშეკრულების შედგენა აინტერესებს როგორც ფირმას, ისე დამკვეთს, ვინაიდან ამგვარი წერილი ხელს უწყობს ყოველგვარი გაუგებრობების თავიდან აცილებას, გარიგებასთან დაკავშირებით.

დამკვეთი და აუდიტორი უნდა შეთანხმდნენ გარიგებასთან დაკავშირებულ ყველანაირ პირობაზე და ხელი უნდა მოაწერონ გარიგების წერილს, რაც ადასტურებს მათ ურთიერთშეთანხმებას.

გარიგების წერილში აუცილებლად ასახული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანი და მასშტაბი;
- აუდიტორის პასუხისმგებლობა;

- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მითითება, რომლის მიხედვითაც მომზადებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგება;
- აღწერილი უნდა იყოს ნებისმიერი სავარაუდო დასკვნის ფორმა და შინაარსი, რომელიც აუდიტორმა უნდა შეადგინოს და ასევე მითითებული უნდა იყოს, რომ შესაძლოა თავი იჩინოს ისეთმა გარემოებებმა, როდესაც აუდიტორის დასკვნა განსხვავებული იქნება მისი სავარაუდო ფორმისა და შინაარსისგან.

გარიგების ახალი წერილის დაწერა შეიძლება საჭირო არ იყოს ყოველ წელს, განმეორებადი გარიგებების შემთხვევაში, ანუ, როდესაც აუდიტორული ფირმა რამდენიმე წლის განმავლობაში ატარებს ერთი დამკვეთის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. თუმცა, აუდიტორმა ყოველ წელს უნდა განიხილოს საკითხი იმის თაობაზე, ხომ არ გაჩნდა ისეთი გარემოებები, რომ აუცილებელია გარიგების პირობების გადახედვა და შესწორება, ან აუცილებელია თუ არა დამკვეთისთვის გარიგების არსებული პირობების შეხსენება. მეორე მხრივ, შეიძლება დამკვეთმა მოითხოვოს გარიგების პირობების შეცვლა.

## მეორე ეტაპი – აუდიტის დაგეგმვა.

### აუდიტის დაგეგმვის მნიშვნელობა

„...აუდიტორმა იმგვარად უნდა დაგეგმოს აუდიტი, რომ რაც შეიძლება ეფექტიანად ჩატარდეს“.

ასს 300 – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა“ (მე-4 პუნქტი)

აუდიტის ეფექტიანად ჩატარებაში იგულისხმება აუდიტორული რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შემცირება.

სტანდარტის თანახმად, აუდიტორს პროცესის დაგეგმვა შეუძლია ორი მთავარი მეთოდით:

- აუდიტის ჩატარების საერთო სტრატეგიის განსაზღვრა; და
- აუდიტის დეტალური გეგმის შედგენა.

დაგეგმვის პროცედურის მეორე ნაწილი (დეტალური გეგმა) ეხება გუნდის ყველა წევრს, ითვალისწინებს აუდიტის გუნდის წევრების კვალიფიკაციის დონეს და წევრების გამოცდილებასა და კომპეტენტურობას.

### აუდიტის სტრატეგია

იმისათვის, რომ აუდიტის დეტალური გეგმა აუდიტის ჩატარების ყველაზე ეფექტიან მიდგომას ასახავდეს, აუცილებელია სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს ეფექტიანი აუდიტის გეგმის შემუშავებას. ეს ძირითადი ფაქტორებია, მაგალითად:

- დამკვეთის შიდა კონტროლის განყოფილების შეფასება;
- აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფა;
- აუდიტორული არსებითობის განსაზღვრა;
- არსებითი უზუსტობის რისკის შეფასება და გამოვლენილ რისკებზე რეაგირებისთვის სათანადო ღონისძიებების განსაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონესა და ცალკეული მტკიცების დონეზე.

აუდიტის ადეკვატურად დაგეგმვა ფინანსური ანგარიშგების აუდიტს მრავალმხრივ სარგებელს მოუტანს, მათ შორის:

- აუდიტის გეგმა ხელს უწყობს გარიგების გუნდის ისეთი წევრების შერჩევას, რომლებსაც გააჩნიათ კომპეტენტურობისა და შესაძლებლობების შესაფერისი დონე, რათა რეაგირება მოახდინონ გამოვლენილ რისკებზე და სათანადოდ შეასრულონ მათზე დელეგირებული სამუშაო;
- ხელს უწყობს გარიგების გუნდის წევრების სამუშაოზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის განხორციელებას და მათი სამუშაოს მიმოხილვის ჩატარებას;
- საჭიროების შემთხვევაში, ხელს უწყობს ექსპერტების მიერ შესრულებული სამუშაოს კოორდინირებას აუდიტის სამუშაოებთან;
- აუდიტორს ეხმარება, სათანადო ყურადღება დაუთმოს აუდიტის მნიშვნელოვან სფეროებს;
- აუდიტორს ეხმარება, სათანადო ორგანიზება გაუკეთოს აუდიტის პროცესს და სათანადოდ მართოს, რათა აუდიტი ჩატარდეს მწარმოებლურად და ეფექტიანად;
- აუდიტორს ეხმარება პოტენციური პრობლემების დროულად გამოვლენასა და გადაჭრაში.

აუდიტორმა უნდა შეისწავლოს დამკვეთის შიდა კონტროლის სისტემა (იხ. ასს 315) და ამისთვის განიხილოს შემდეგი ფაქტორები:

#### **დამკვეთის გენერალური პოზიცია**

- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობა;
- ხელმძღვანელობის ფილოსოფია და მუშაობის სტილი;
- პატიოსნებისა და ეთიკური ფასეულობების ინფორმირება და პრაქტიკაში რეალიზება.

#### **ორგანიზაციული სტრუქტურა:**

- უფლებამოსილებების სქემა (უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილება).

#### **ადამიანური რესურსები:**

- საკადრო პოლიტიკა და პრაქტიკა;
- კომპეტენტურობის მიმართ ერთგულება.

#### **არსებითობა (იხ. ასს 320)**

როდესაც აუდიტორი მუშაობს აუდიტორული არსებითობის დონის დადგენაზე, მან უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები:

- უზუსტობები, მათ შორის გამოტოვებული ინფორმაცია, არსებითად მიიჩნევა, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად აღებული გავლენას იქონიებს იმ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც მომხმარებლები მიიღებენ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე;
- არსებითობის საკითხის განსჯა ხორციელდება, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით და მასზე გავლენას ახდენს უზუსტობის სიდიდე ან ხასიათი, ან ორივე ერთად;

- არსებითობა აუდიტორის განსჯის საგანია და თითოეული აუდიტორი არსებითობის დონის განსაზღვრისას ეყრდნობა ფინანსურ ინფორმაციაზე მომხმარებლების მოთხოვნილებების შესახებ საკუთარ შეხედულებებს.

არსებითობასთან დაკავშირებით განსახილველი საკითხები:

- სამუშაო არსებითობა – უფრო ნაკლებია, ვიდრე მთლიანად ფინანსური ანგარიშგებისთვის განსაზღვრული არსებითობის დონე;
- შედარებითაა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით;
- საერთო არსებითობის დონე მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის და არსებითობა ოპერაციების კონკრეტული კატეგორიებისთვის;
- არსებითი უზუსტობების შესაძლო არსებობა და გამოუვლენელი უზუსტობების შესაძლო არსებობა;
- არსებითობის გამოთვლა – კონკრეტული დამკვეთის ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი ნაშთების გამოვლენა (თანამედროვე პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებული კრიტერიუმები: მოგება/მთლიანი აქტივები/წმინდა აქტივები/ამონაგები და შესაბამისი რაოდენობრივი (პროცენტული) ზღვრები: ამონაგები (0.5% – 1%); მთლიანი აქტივები (1% – 2%); წმინდა აქტივები (2% – 5%); მოგება დაბეგვრის შემდეგ (5% – 10%);
- არსებითობის შეფასების განახლება, აუცილებლობის შემთხვევაში (აუდიტორული შემოწმების მიმდინარეობისას).

საილუსტრაციო მაგალითი:

ამჟამად თქვენ, როგორც აუდიტის მენეჯერი, გეგმავთ შპს „ლონკოს“ 20X1 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტს. კომპანია აწარმოებს და ყიდის იმპორტირებული ხეტიყის მასალისგან დამზადებულ პროდუქტს.

უკანასკნელ წლებში კომპანიამ გააფართოვა თავისი წარმოება ბავშვების სათამაშო ბაღის მონოპოლიზაციით, რომლებიც იყიდება 10-წლიანი გარანტიით. გაყიდვების უდიდესი ნაწილი მოდის ადგილობრივ მომხმარებლებზე, მაგრამ კომპანიას ასევე აქვს მცირე საექსპორტო ბაზარიც, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე სტაბილურად იზრდებოდა.

დამკვეთის ფინანსურ დირექტორთან გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ეხებოდა დაგეგმვის პროცესს, თქვენ მოიპოვეთ შემდეგი ინფორმაცია:

#### დამკვეთის საოპერაციო საქმიანობა

წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგები გაიზარდა 20%-ით, ხოლო საერთო და საოპერაციო მოგების მარჟები გაიზარდა 5%-ით და 2%-ით, შესაბამისად. მარაგებისა და სავაჭრო (მოთხოვნების) დებიტორული დავალიანების ნაშთები მნიშვნელოვნად მაღალია, წინა წელთან შედარებით, რაც განაპირობა ზემოაღნიშნულმა გაფართოებულმა საქმიანობამ.

კომპანიის ვებგვერდზე ონლაინ შეკვეთების მიღება დაიწყო უკანასკნელ წლებში. ინტერნეტშეკვეთები სტაბილურად იზრდებოდა, მაგრამ მას მაინც მცირე ხვედრითი წილი უკავია კომპანიის მთლიან გაყიდვებში, თუმცა კომპანია ისევ აგრძელებს მნიშვნელოვანი ინვესტიციების ჩადებას თავისი ვებგვერდის სრულყოფაზე, რათა მომხმარებლებმა, შეძლებისდაგვარად, უფრო სწრაფად და ადვილად შეძლონ ვებგვერდის გამოყენება.

## ხელფასები

ორი წლის წინ ახალი კომპიუტერული სისტემის წარმატებით დანერგვის შემდეგ ხელფასების დამუშავების პროცესი, რასაც მრავალი წლის მანძილზე ხელშეკრულებით აყვანილი მომსახურე ორგანიზაცია ახორციელებდა, ისევ დაბრუნდა კომპანიაში 20X9 წლის 1 მარტიდან. ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო გარე მომსახურე ორგანიზაციის მომსახურებით და მასთან ხელშეკრულება გააუქმა. კომპანიაში ახალი პერსონალი აიყვანეს ხელფასების დამუშავების სისტემის ადმინისტრირებისთვის.

## მმართველი დირექტორი

მმართველმა დირექტორმა გამოაცხადა თავისი განზრახვა, რომ ის აპირებს „ლონკოში“ თავისი წილის 100%-ის გაყიდვას, რათა ეს ფული მოახმაროს თავისი ბიზნესის სხვა მიმართულებებს. მოლაპარაკებები მიმდინარეობს მისი აქციების პოტენციურ მყიდველთან.

## მოგეთხოვებათ

განსაზღვრეთ, რა რისკები იქნება გასათვალისწინებელი „ლონკოს“ აუდიტის დაგეგმვისას, მმართველი დირექტორის განზრახვის გათვალისწინებით და რომელ აუდიტორულ პროცედურებს დაგეგმავდით/ჩაატარებდით გამოვლენილ რისკებზე რეაგირებისთვის.

## სანიშნო პასუხი

| რისკი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           | პროცედურები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| იმპორტირებული პროდუქციის შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურები, სავარაუდოდ, უცხოურ ვალუტაში იქნება (ნაკლებად მოსალოდნელია, თუმცა შესაძლებელია ასე იყოს საექსპორტო პროდუქციის გაყიდვების ანგარიშ-ფაქტურებშიც). ეს ზრდის უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების არასწორად გადაყვანის რისკს ადგილობრივ (სამუშაო) ვალუტაში. არსებობს რისკი იმისა, რომ უზუსტობები იქნება შესყიდვებისა და კრედიტორული დავალიანების მონაცემებში (შესაძლებელია გაყიდვებისა და დებიტორული დავალიანების მონაცემებშიც). | <p>შესყიდვების ანგარიშ-ფაქტურების შერჩევითი ერთობლიობის მიხედვით შესყიდვების მიმართ გამოყენებულ სავალუტო კურსებს შევუდარებთ ოფიციალურ გაცვლით სავალუტო კურსებს, სხვა ვალუტაში მონაცემების გადაყვანის სისწორის დასადასტურებლად.</p> <p>დავრწმუნდებით, რომ პროგრამულ უზრუნველყოფას სავალუტო კურსებზე ოპერაციების ჩატარების უნარი შესწევს, რისთვისაც უნდა შევამოწმოთ სისტემაში გამოყენებული სავალუტო კურსების შერჩევითი ერთობლიობა, გარე ოფიციალური წყაროდან მოპოვებულ სავალუტო კურსებთან შედარებით.</p> <p>გამოვკითხავთ დირექტორებს, როგორ ადგენენ ისინი (ან ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა) ამა თუ იმ ოპერაციისთვის სწორ დღიურ სავალუტო კურსს.</p> <p>კრედიტორული დავალიანების არსებითი ნაშთებისგან შევადგენთ შერჩევით ერთობლიობას და ჩვენ თვითონ ხელახლა გადავიანგარიშებთ 20X1 წლის 15 დეკემბრისთვის არსებული კრედიტორული დავალიანების თანხას, ამ თარიღისთვის არსებული გადასაყვანი კურსით, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველა გადავადებული/გადაუხდელი დავალიანების ნაშთი გადაყვანილია მიმდინარე თანხებში.</p> |



|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>ბავშვების ყველა სათამაშო ინსტრუმენტი იყიდება 10-წლიანი გარანტიით.</p> <p>აუცილებელია, რომ დირექტორებმა შეაფასონ პოტენციური სარემონტო დანახარჯები წუნდებული საქონლის, რომელიც გაიყიდა ბოლო 10 წლის მანძილზე, რისი სწორად გამოთვლა შეიძლება რთული იყოს.</p> <p>არსებობს რისკი იმისა, რომ საგარანტიო მომსახურების დანახარჯების ანარიცხში უზუსტობები იარსებებს.</p>                                                                                          | <p>გამოვკითხავთ დირექტორებს, როგორ შეაფასეს მათ ეს ანარიცხი და ჩვენ თვითონ დამოუკიდებლად ხელახლა ჩავატარებთ გამოთვლას.</p> <p>ანარიცხის სიდიდეს შევუდარებთ მოკლევადიან პროგნოზებს და ასევე საანგარიშგებო წლის დამთავრების შემდეგ მომხმარებლებისგან მიღებულ კორესპონდენციებს, რათა შევაფასოთ, მიმდინარე ანარიცხის ოდენობა ადეკვატურია თუ არა იმ თვალსაზრისით, რომ დაფარავს შეფასებულ უკუგებას.</p> <p>წინა წლების ანარიცხებს შევუდარებთ მომდევნო წლებში უკან დაბრუნებული საქონლის ფაქტობრივ დონეს, რათა დავადგინოთ წინა წლების შეფასებების სისწორე.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| <p>ამონაგების ზრდა, რომელსაც ახლავს საერთო მოგების მარჟის ზრდა, შეიძლება თავისთავად არ იყოს ეჭვის საფუძველი. თუმცა, იმის გამო რომ მმართველი დირექტორი ყიდის მთელ თავის სააქციო წილს (100%), მნიშვნელოვანი მიზეზია იმისა, რომ მას მაქინაციების ჩადენა მოესურვოს წლიურ მოგებასთან მიმართებით, რათა მიიღოს მაქსიმალური შესაძლო ანაზღაურება თავისი წილის გაყიდვიდან.</p> <p>არსებობს რისკი იმისა, რომ წლიური ამონაგების/მოგების ციფრებში უზუსტობა არსებობს.</p> | <p>კომპანიის მიერ გამოშვებული ბალის სათამაშო ინსტრუმენტების მთელი ასორტიმენტისთვის ჩავატარებთ გაყიდვების მონაცემების ანალიზურ მიმოხილვას.</p> <p>მოვიპოვებთ სათანადო ახსნა-განმარტებებს, თითოეული ასორტიმენტის პროდუქტის გაყიდვის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ.</p> <p>ჩვენ თვითონ ხელახლა ჩავატარებთ დროში გამიჯვნის პროცედურებს იმ პროდუქციისთვის, რომელიც მომხმარებლებს გაეგზავნა ზუსტად საანგარიშგებო თარიღის წინ და ზუსტად საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ.</p> <p>ამ მონაცემებს შევუდარებთ გაყიდვების წიგნს, რათა დაადასტუროთ, რომ ეს ოპერაციები აისახა სწორ/სათანადო პერიოდში.</p> <p>ჩავატარებთ კრედიტის მაკორექტირებელი იმ ანგარიშ-ფაქტურების პერჩევითი ერთობლიობის მიმოხილვას, რომლებიც შექმნილია საანგარიშგებო თარიღის შემდგომ უმოკლეს დროში, რათა დავადგინოთ წლიური გაყიდვებისთვის შექმნილი ანარიცხების სისრულე.</p> |
| <p>„ლონკო“ აგრძელებს ინვესტიციის ჩადებას თავისი ვებგვერდის გასაუმჯობესებლად, რათა ის უფრო ადვილად გამოყენებადი გახდეს.</p> <p>აქტივზე განეული შემდგომი სარემონტო დანახარჯები ხარჯებში უნდა აისახოს. კაპიტალიზაციას ექვემდებარება მხოლოდ ის დანახარჯები, რომლებიც ზრდის შესაბამისი გრძელვადიანი აქტივებიდან მისაღებ სარგებელს.</p> <p>არსებობს რისკი იმისა, რომ უზუსტობები იქნება დაშვებული ვებგვერდის საექსპლუატაციო დანახარჯების წიგნში.</p>               | <p>ჩავატარებთ სარემონტო და ტექნომსახურების/საექსპლუატაციო დანახარჯების ანალიზურ მიმოხილვას, რათა გამოვაკლინოთ ნებისმიერი უჩვეულო ცვლილებები ხარჯების ტენდენციებში.</p> <p>შევამოწმებთ გრძელვადიანი აქტივების ზრდის მონაცემების შემადგენელ ელემენტებს, რათა დაადგინოთ თანხები, რომლებიც ხარჯებში უნდა იყოს ასახული, როგორც სარემონტო მომსახურების დანახარჯები.</p> <p>შევადგენთ სისტემის დანახარჯებთან დაკავშირებული ანგარიშ-ფაქტურების პერჩევით ერთობლიობას და შევამოწმებთ, მისი ელემენტები ნამდვილად დაკავშირებულია თუ არა ინტერნეტსისტემის გაუმჯობესებასთან, ან სარემონტო/საექსპლუატაციო დანახარჯებთან.</p>                                                                                                                                                                                                                             |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>ხელფასების ახალი სისტემა მხოლოდ 9 თვეა რაც ფუნქციონირებს, ახალია პერსონალიც, რომელიც ამ სისტემას უწევს ადმინისტრირებას.</p> <p>სისტემას შეიძლება ჰქონდეს პრობლემები, რაც განპირობებული იქნება კონტროლის გარემოს გაუმჯობესებით.</p> <p>არსებობს რისკი იმისა, რომ უზუსტობები იარსებებს სახელფასო და-ნახარჯებსა და შესაბამის ვალდებულებებში.</p> | <p>დოკუმენტურად/სქემატურად ავსახავთ ხელფასების სისტემას, გამოვავლენთ კონტროლის მექანიზმებს, რომლებიც სისტემაში ფუნქციონირებს.</p> <p>ჩავატარებთ სისტემისა და კონტროლის მექანიზმების მუშაობის ტესტირებას, „თავიდან ბოლომდე გავლის“ პროცედურების გამოყენებით.</p> <p>შევამოწმებთ თვითური ხელფასების უწყისების შერჩევითი ერთობლიობისთვის ჯამურ თანხებს – სისტემაში შეტანილ თანხებს შევუდარებთ პირველად დოკუმენტებს, როგორიცაა შრომითი ხელშეკრულებები და ნამუშევარი დროის აღრიცხვის ბარათები.</p> <p>დავადასტურებთ წლის ბოლოს არსებული ხელფასების თანხას და ასევე საგადასახადო ვალდებულებებს, 20X1 წლის დეკემბრის ხელფასებსა და სალაროს წიგნთან შედარებით გზით.</p> |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

საილუსტრაციოდ წინა წლების საგამოცდო მასალიდან განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. რეალური საგამოცდო კითხვის მოთხოვნებიდან განვიხილავთ მხოლოდ (ა) მოთხოვნას, რომელიც დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

**კომპანია Libre**

თქვენი აუდიტის დამკვეთი **Libre** ახორციელებს ტელესაკომუნიკაციო საშუალებების, მოწყობილობებისა და აქსესუარების გაყიდვასა და დისტრიბუციას, საცალო ვაჭრობის ობიექტების მეშვეობით. კომპანიამ სწრაფი გაფართოება დაიწყო მას შემდეგ, რაც 2012 წლის სექტემბერში მთავარ აღმასრულებლად დაინიშნა დევიდ სმიტი.

2012 წ. ოქტომბერში კომპანიამ შეისყიდა ეროვნული ექსკლუზიური სადისტრიბუციო უფლება იმპორტირებულ მობილურ ტელეფონებზე, ორწლიანი პერიოდით. 2013 წლის მანძილზე კომპანიამ გააორმაგა თავისი მომხმარებლების ბაზა და მალე თავისი სადისტრიბუციო ქსელით მთელს ქვეყანას მოიცავს. თანამშრომელთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა – 36-დან 103 კაცამდე. სათავო ოფისის ადმინისტრაციული პერსონალი, მათ შორის საბუღალტრო პერსონალი, 10-დან 25 კაცამდე გაიზარდა.

2013 წლის ოქტომბერში ცენტრალური სადისტრიბუციო და მომხმარებლების მომსახურების განყოფილება სათავო ოფისიდან ერთ-ერთ დიდ შენობაში გადავიდა. ეს აუცილებელი იყო არა მარტო იმიტომ, რომ მარაგის დონე გაიზარდა და აუცილებელი გახდა პროდუქციის მიწოდებამდე შემოწმებების ჩატარება, არამედ იმიტომაც, რომ გაიზარდა გაყიდვის შემდგომი საგარანტიო მომსახურების დონე, რაც მობილურ ტელეფონებში სანარმოო დეფექტების არსებობამ განაპირობა.

მობილური ტელეფონების რეალიზაციამ, რაც ამჟამად **Libre**-ს ბრუნვის დაახლოებით 80%-ს შეადგენს, უკანასკნელ პერიოდში დაცემა დაიწყო.

თქვენ დაგავალეს **Libre**-ს 2014 წ. 31 მარტს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა.

**მოგეთხოვებათ**

- (ა) აღწეროთ წარმოქმნილი აუდიტორული რისკები და როგორ მოხდება მათი გათვალისწინება აუდიტის სტრატეგიის დამუშავებისას აუდიტის საერთო გეგმაში.

(15 ქულა)

## გამომცდელის პასუხი

### (ა) პოტენციური რისკიანი სფეროები

#### მთავარი აღმასრულებელი

მთავარ აღმასრულებელს, დევიდ სმიტს დომინანტური მდგომარეობა უკავია და **Libre**-ს ამჟამინდელი წარმატება (კომპანიის გაფართოება) შეიძლება მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურება იყოს. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მართებულობა შეიძლება საეჭვო გახდეს, თუ დევიდი სამსახურიდან წავა (ვთქვათ, მობილური ტელეფონების დისტრიბუციის უფლებების განახლებამდე, ან შემცველი პროდუქციის მოძებნამდე).

ასევე, სწრაფი გაფართოებისათვის დაფინანსების მოპოვების საჭიროებამ შეიძლება ხელმძღვანელობა მიკერძოებული გახადოს და „დააინტერესოს“ კომპანიის მოგებიანობის გაზრდით (მაგ., დისტრიბუციის უფლებების ამორტიცაზიის, საგარანტიო მომსახურების ანარიცხების შემცირებით და ა.შ.).

#### რეალიზაციის ზრდა

დისტრიბუციის უფლებების შესყიდვით განპირობებულმა რეალიზაციის ზრდამ ბიზნესის გაფართოება გამოიწვია (სამუშაო ძალის ზრდა და ახალი შენობების საჭიროება). ყველაფერ ამას დაფინანსება ესაჭიროება. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ **Libre**-მ გადაჭარბებულ ვაჭრობას მიჰყოს ხელი (მაგ., ისეთი სახელშეკრულებო ვალდებულებები აიღოს, რომლებიც აღემატება მის ხელთარსებულ მოკლევადიან (საბრუნავ) რესურსებს).

#### ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემები

ადმინისტრაციული და საბუღალტრო პერსონალის ზრდა ხელს შეუწყობს მოვალეობების უფრო ფართოდ დანაწილებას, რაც შეამცირებს კონტროლის რისკს. მოსალოდნელია, რომ სათავო ოფისი ახალ/უფრო გაუმჯობესებულ კონტროლის პროცედურებს განახორციელებს, მაგალითად:

- შესყიდვის პროცესების ცენტრალიზაციას (რაც იგულისხმება ცენტრალურ დისტრიბუციაში);
- შრომის ანაზღაურების პროცესის ცენტრალიზაციას;
- კონტროლის განხორციელებას კრედიტით გაყიდვებზე.

თუმცა, შეიძლება, წინა წელთან შედარებით, შეცდომების რიცხვი გაიზარდოს. მაგალითად, თუ სწრაფი გაფართოება ტვირთად დააწვება ბუღალტერიას ისე, რომ არსებულ შიდა კონტროლის სისტემაში შეფერხებები იჩინოს თავს. ასევე, შეიძლება დაშვებული შეცდომები ვერ გამოვლინდეს, თუ, მაგალითად, ახლად აყვანილ საბუღალტრო პერსონალს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება არ ექნება.

#### პროდუქცია

**Libre** ძალიან არის დამოკიდებული ერთ პროდუქტზე, რომლის დისტრიბუციის უფლებაც კომპანიას ერთ წელზე ნაკლები ვადით აქვს (ვთქვათ, 9 თვე) ახლანდელი პერიოდიდან.

მარაგი შეიძლება ზედმეტი თანხით იყოს შეფასებული, იმის გამო, თუ:

- შემცირდა ფასი (თუ პროდუქცია უფრო ძვირად იყიდებოდა რეალიზაციის მოცულობის/ბაზრის წილის შესანარჩუნებლად;
- დაეცა მოთხოვნა, თუ ბაზარი გაჯერებულია;
- პროდუქციას საწარმოო დეფექტები აქვს;
- პროდუქცია ტექნოლოგიურად მოძველდა/კონკურენტმა საწარმომ ახალი პროდუქცია გამოუშვა.

## სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული დავალიანება/მოთხოვნები შეიძლება გადიდებული იყოს, ვინაიდან შეიძლება გაზრდილი იყოს უიმედო და საეჭვო ვალები, თუ:

- დაუდევრად მოწმდებოდა მომხმარებლების კრედიტუნარიანობა (მომხმარებლების ბაზის გასაფართოებლად);
- დავები წარმოქმნა, პროდუქციის საწარმოო დეფექტების გამო.

## ვალდებულებები/პირობითი ვალდებულებები

რეალიზაციის საგარანტიო მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები შეიძლება შემცირებული იყოს, მაგალითად, თუ წლის ბოლოს მათი მოცულობა დადგენილი არ იყო.

ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება არსებითი უზუსტობები არსებობდეს პირობით ვალდებულებებთან ან საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით, თუ ისინი სათანადოდ არ აღირიცხება. კერძოდ:

- სათანადო ანარიცხები უნდა იყოს შექმნილი საგარანტიო მომსახურების სამუშაოებისათვის;
- ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებული უნდა იყოს პირობითი აქტივები (მაგ., თუ მობილური ტელეფონების მომწოდებლებთან აქვს საწარმოო დეფექტების ანაზღაურების შეთანხმება);
- მომხმარებლებთან და მობილური ტელეფონების მომწოდებლებთან წუნდებული პროდუქციის გამო წარმოქმნილმა დავებმა, რასაც სასამართლო პროცესი მოჰყვება, შეიძლება მოითხოვოს ანარიცხების შექმნის ან/და პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების საჭიროება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

## ფუნქციონირებადი საწარმო

შეიძლება მართებული არ იყოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება, რადგან:

- კომპანიის მომავალი შეიძლება დამოკიდებული იყოს დევიდ სმიტზე;
- საბრუნავი კაპიტალი შეიძლება ადეკვატური არ იყოს გადაჭარბებული ვაჭრობის განსახორციელებლად;
- ოპერაციების მასშტაბები დამოკიდებულია ერთ პროდუქტსა (მობილურ ტელეფონებზე) და მომწოდებელზე;
- რეალიზაცია ეცემა;
- საწარმოო დეფექტებმა შეიძლება რეალიზაციის/მომხმარებლის გუდვილის დაკარგვა გამოიწვიოს.

## არამატერიალური აქტივები

საანგარიშგებო წლის არამატერიალური აქტივები და მოგება შეიძლება გადიდებული იყოს, თუ წელს წინა წლიდან გადმოტანილია დისტრიბუციის უფლებების კაპიტალიზაცია. სავარაუდოდ, შესაბამისი თანხები არსებითი იქნება და ხელმძღვანელობა მიკერძოებული (დაინტერესებული) იქნება ამ თანხების გადმოტანაზე (მაგ.,  $6/24 \times$  თვითღირებულება – ოდენობით). ამგვარი ქმედება შეიძლება წინდახედული არ იყოს, თუ, მაგალითად, მობილური ტელეფონების რეალიზაცია მომავალში საეჭვო გახდება და დისტრიბუციის უფლებების ღირებულება გაუფასურდება.

## დასკვნები

თანდაყოლილი რისკი მაღალია, ვინაიდან ფინანსური ანგარიშგების დონეზე შეიძლება არსებითი უზუსტობები არსებობდეს, შეცდომების წარმოშობის ალბათობისა და მაღალი დონის სუბიექტურობის გამო, რომელიც უკავშირდება აღრიცხვის საკითხებს (ფუნქციონირებადი საწარმო, საგარანტიო მომსახურება, მარაგის შეფასება, არამატერიალური აქტივები და ა.შ.).

კონტროლის რისკი, სავარაუდოდ, დაბალი იქნება ზოგიერთ სფეროში (მაგ., შესყიდვები), მაგრამ პოტენციურად მაღალი იქნება სხვა სფეროებში (მაგ., მარაგი).

შეუმჩნეველობის რისკის დაბალ დონეზე დასაყენებლად საჭირო იქნება არსებობის შემოწმების მიდგომის გამოყენება მაღალრისკიან და ისეთ სფეროებში, რომლებიც განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს (მაგ., საგარანტიო მომსახურება, მარაგის შეფასება), თუმცა შეიძლება კონტროლის პროცედურებზე დაყრდნობაც, სადაც შესაფერისია (მაგ., შესყიდვები და ხელფასები).

## დამატებითი მოსაზრება

იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებით, სავალუტო რისკებიც წარმოიშობა.

## აუდიტის სტრატეგია

### ინფორმაციის მოპოვება

უნდა განახლდეს აუდიტის მუდმივი ფაილი შემდეგი საკითხებით:

- ახალი შენობების შესყიდვა/იჯარით აღება;
- სესხის კრედიტორები/დაფინანსების ღონისძიებები;
- მნიშვნელოვანი ახალი მომხმარებლები;
- ახალი წამყვანი პერსონალის დანიშვნა (მაგ., ადმინისტრაციაში, მომსახურებისა და დისტრიბუციის სფეროებში);
- ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემებში.

## სისტემის დოკუმენტირება

ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემებში შეიძლება ცვლილებები განხორციელდეს ბიზნესის გაფართოების პროცესში, რაც შეიძლება არ იყოს ოფიციალური და სათანადოდ ასახული დოკუმენტებში.

შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სისტემების ახალი აღწერის ჩატარება და დოკუმენტირება, ვიდრე წინა წლის აღწერაში ტექსტური შენიშვნების შეცვლა. უნდა მომზადდეს ბლოკ-სქემები სისტემის იმ ნაწილებისათვის, რომლებიც მუშაობს და, სავარაუდოდ, ასევე დარჩება. უნდა გვახსოვდეს, რომ კომპანიაში ამჟამად გაფართოების პროცესი მიმდინარეობს და მას გარკვეული ცვლილებებიც მოჰყვება.

## არსებობის შეფასება

მოსალოდნელია, რომ 2014 წ. 31 მარტს დასრულებულ საანგარიშგებო წელს ფულად ერთეულებში შეფასებული არსებობის დონე უფრო მაღალი იქნება, ვიდრე წინა წელს, იმის გათვალისწინებით, რომ:

- მობილური ტელეფონების გაყიდვა მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობს (წინა წელს მხოლოდ 6 თვის განმავლობაში იყიდებოდა);



- გაორმაგდა მომხმარებლების ბაზა;
- გაიზარდა სამუშაო ძალის რიცხოვნობა;
- კომპანიას ახალი შენობები დაემატა.

### კონტროლის ტესტები

შესაძლებელია კონტროლის ეფექტურ პროცედურებზე დაყრდნობა, კერძოდ, შემდეგ სფეროებში:

- შესყიდვები;
- მომწოდებლებისათვის ფულის გადახდა;
- დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე;
- ფულის მიღება საცალო ვაჭრობის ობიექტებიდან (სავაჭრო მომხმარებლებისგან).

### სააღრიცხვო პოლიტიკა

დისტრიბუციის უფლებების კაპიტალიზაციის მართებულობა უნდა დასაბუთდეს:

- კომპანიის დანახარჯების მონაცემების შედარებით შესაბამის ანგარიშ-ფაქტურებთან;
- რეალიზაციის პროგნოზების განხილვით, ხელმძღვანელობასთან ერთად;
- საანგარიშგებო თარიღის შემდგომი პერიოდის მობილური ტელეფონების რეალიზაციის გამოკვლევით.

### დასწრება წლის ბოლოს მარაგის ფიზიკურ ინვენტარიზაციაზე

მარაგის აღრიცხული რაოდენობების სისწორის დასამტკიცებლად აუდიტორები ინვენტარიზაციას უნდა დაესწრნენ ცენტრალურ სადისტრიბუციო განყოფილებაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

- მომსახურების განყოფილებაში მყოფი ტელეფონების რაოდენობასა და მდგომარეობას;
- ინვენტარიზაციის პროცესის მსვლელობისას მოწოდებული ტელეფონების რაოდენობას; და
- ინვენტარიზაციის პროცესში საცალო ვაჭრობის ობიექტებისათვის ტელეფონების გასაგზავნად კომპანიის მიერ დადგენილ პროცედურებს (თუ ასეთი რამ არსებობს).

### ანალიზური პროცედურები

მართალია, ოპერაციების გაფართოება მნიშვნელოვნად შეცვლიდა წინა წლის ანგარიშების ნაშთებს, მაგრამ გარკვეულ სფეროებში შესაძლებელია ანალიზური პროცედურების გამოყენება. კერძოდ, მობილური ტელეფონების გარდა, სხვა აღრიცხული რეალიზაციის მოცულობების არსებითი სისწორე შეიძლება დასაბუთდეს ბრუნვის თვითონი მონაცემების შედარებით და საერთო მოგების მარჟების მიმოხილვით.

შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების მართებულობის დამტკიცება შეიძლება წინა წლის ხარჯების გაზრდით, თანამშრომელთა შესაბამისი ზრდის გათვალისწინებით განყოფილებების მიხედვით (რეალიზაცია, დისტრიბუცია, მომსახურება, ადმინისტრაცია).



## სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები)

წლის ბოლოს ჩატარებული დებიტორული დავალიანების ნაშთების პირდაპირი დადასტურების პროცედურა, სავარაუდოდ, წუნდებულ პროდუქციასთან დაკავშირებულ სადავო თანხებს გამოავლენს. გულდასმით უნდა შემოწმდეს საანგარიშგებო თარიღის შემდგომი პერიოდის მაკორექტირებელი ფაქტურებისათვის (რომლებიც გამოიწერება უკანდაბრუნებული გაყიდული საქონლისათვის) შექმნილი **Libre**-ს ანარიცხები. სადავო თანხების ამოღების შესაძლებლობა-შეუძლებლობა უნდა დამტკიცდეს, საანგარიშგებო თარიღის შემდგომ პერიოდში მიღებული ფულადი სახსრების დოკუმენტაციის მეშვეობით.

განსახილველია ახალი მომხმარებლების აყვანაზე დადგენილი კონტროლის პროცედურა, რათა აუდიტორი დარწმუნდეს, რომ მომხმარებლების ბაზის გაფართოებასთან ერთად კომპანიაში ტარდებოდა მომხმარებლების კრედიტუნარიანობის შემოწმება.

## საგარანტიო მომსახურების ანარიცხები

გარდა იმისა, რომ ანარიცხები უნდა შეიქმნას მომხმარებლებზე გაცემული მაკორექტირებელი ფაქტურებისათვის (უკანდაბრუნებულ წუნდებულ საქონელთან დაკავშირებით), ანარიცხები უნდა შეიქმნას ასევე მომსახურების განყოფილების მიერ საანგარიშგებო თარიღის შემდგომი პერიოდის დანახარჯებისთვისაც, რომელსაც განყოფილება გასწევს წლის დამთავრებამდე, წინა პერიოდში გაყიდული ტელეფონებისათვის.

მოსალოდნელია, რომ დამკვეთს დიდი გამოცდილება არ ექნება ამ სფეროში გარკვეული საკითხების განსასჯელად და გადაწყვეტილების მისაღებად და, ამდენად, რჩევა დასჭირდება. ამიტომ შეიძლება მიზანშეწონილი არ იყოს ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილზე დაყრდნობა, რომელიც ზემოაღნიშნულ საკითხებს ეხება.

## იურიდიული კონსულტაცია

საჭირო იქნება კომპანიის იურისკონსულტთან დაკავშირება, ასევე სხვა დამოუკიდებელ იურისტთანაც, რადგან აუდიტორს სპეციალური მტკიცებულებები დასჭირდება შემდეგ საკითხებზე:

- ხელშეკრულების იურიდიული ინტერპრეტაცია, რომელიც დამკვეთს ტელეფონების მწარმოებელ კომპანიასთან აქვს დადებული, განსაკუთრებით პროდუქციის დეფექტებთან დაკავშირებული პუნქტების;
- საგარანტიო მომსახურების პირობების იურიდიული ინტერპრეტაცია;
- იურიდიული მოსაზრება სასამართლო პროცესების შედეგებზე, რომლებიც შეიძლება გაიმართოს მობილური ტელეფონების მწარმოებელ კომპანიასთან ან მომხმარებლებთან.

## ბანკი/სესხის კრედიტორები

საჭირო იქნება პირდაპირი დადასტურების პროცედურის ჩატარება, რათა კომპანიის ბანკებისა და სხვა დამფინანსებლების მონაცემები წლის დამთავრებამდე დამტკიცდეს. კერძოდ, ინფორმაცია მოპოვებულ უნდა იქნეს შემდეგ საკითხებზე:

- საკუთრების უფლებებზე (მაგ., სათავო ოფისის შენობებზე);
- დაფინანსების სახსრების განსახილველად/ხელახალი მოლაპარაკების საწარმოებლად დაგეგმილ თარიღებზე;
- გადასაპირებელ თამასუქებზე, აკრედიტივზე, ან საზღვარგარეთელ მომწოდებლებთან ანგარიშსწორების სხვა საშუალებებზე.

## განხილვა ხელმძღვანელობასთან

ხელმძღვანელობასთან ერთად განსახილველია შემდეგი საკითხები:

- დაფინანსების შესახებ მოლაპარაკებებში მიღწეული შედეგები;
- პროგნოზების მომზადებისა და დაშვებების გამოსათვლელად გამოყენებული საფუძველი.

იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს ხელმძღვანელობის ოფიციალური ინფორმაციის საწინააღმდეგო მტკიცებულებები, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ხელმძღვანელობისაგან ოფიციალური წერილის მოპოვება.

## დამატებითი მოსაზრებები

მარაგის შეფასებაზე ჩასატარებელი ძირითადი პროცედურები გამიზნული უნდა იყოს იმაზე, რომ აუდიტორი დარწმუნდეს ძნელად რეალიზებადი, მორალურად გაცვეთილი და წუნდებული ელემენტებისათვის შექმნილი ანარიცხების ადეკვატურობაში.

უნდა დაიგეგმოს აუდიტორული ფაილების დასკვნის გაცემამდელი მიმოხილვა (ასევე უნოდებენ „ცხელ“ მიმოხილვას), იმის გამო, რომ მაღალია **Libre**-სთან დაკავშირებული თანდაყოლილი რისკი და გაკოტრების (ე.ი. ფუნქციონირებადი საწარმოს) რისკი.

## დასკვნის სახით

ამ სტატიაში ვეცადეთ, სტუდენტების ყურადღება გაგვემახვილებინა აუდიტზე და-თანხმებისა და დაგეგმვის პროცესის ძირითად ასპექტებზე, მათ შორის მაგალითების გამოყენებით.

თუმცა, აუცილებელია, რომ სტუდენტები გაეცნონ სტატიის ბოლოს მითითებულ სტანდარტებს და შეისწავლონ მათი მოთხოვნები, რათა სათანადო წარმოდგენა შეიქმნან აუდიტზე დათანხმებისა და დაგეგმვის პროცესის შესახებ, რაც ამ სტატიაში განვიხილეთ.

## ბიბლიოგრაფია

ხმს 1 – „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“

ასს 210 – „აუდიტორული გარიგების პირობებზე შეთანხმება“.

ასს 220 – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“.

ასს 315 – „არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით“.

ასს 300 – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა“.

ასს 320 – „არსებითობა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების დროს“.

სტატია მოამზადა ირლანდიის ACCA-ის საერთაშორისო პროგრამის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულის გამომცემელმა, პოლ ლინდონმა

## ბაზის 2021 წლის თეზავლის პროფესიული სერტიფიკაციის გამომცდების ანალიზი

**F1/ბზ „ბუღალტერი ბიზნესში“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – საგამოცდო მასალა დაყოფილია ორ ნაწილად: **ა** ნაწილი მოიცავს ორმოც არჩევითპასუხიან (ათი 1-ქულიანი და ოცდაათი 2-ქულიანი) დავალებას, ხოლო **ბ** ნაწილი – ხუთ 6-ქულიან მრავალდავალბიან ამოცანას. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატს ეძლევა 2 საათი და 15 წუთი.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ თებერვლის გამოცდაზე გამოსული კანდიდატების უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა და მიიღო გამსვლელი ქულა.

კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს **ა** ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომელთა კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- ბიზნესორგანიზაცია;
- გარე ფაქტორების ანალიზი – პოლიტიკური და სამართლებრივი ფაქტორები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები და საინფორმაციო სისტემები ბიზნესში;
- პროფესიული ეთიკა ბუღალტრულ აღრიცხვასა და ბიზნესში;
- თანამშრომელთა მოზიდვა და შერჩევა;
- ინდივიდუალური მიღწევების განხილვა და შეფასება.

ამასთან, იყო ისეთი თემები, რომელთა კითხვებზე კანდიდატებს გაუჭირდათ სწორი პასუხის გაცემა:

- ბიზნესორგანიზაცია და სტრუქტურა;
- ორგანიზაციული კულტურა ბიზნესში;
- გარემოს ანალიზი – კონკურენციის ფაქტორები;
- გარემოს ანალიზი – სოციალური, გარემოსა და ტექნოლოგიური ფაქტორები;
- გარემოს ანალიზი – ეკონომიკური ფაქტორები;
- მართვა და სოციალური პასუხისმგებლობა;
- ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ფუნქცია;
- ფინანსური სისტემები და პროცედურები;
- აუდიტი და ფინანსური კონტროლი;
- ლიდერობა, მართვა და ზედამხედველობა;
- ინდივიდუალური, ჯგუფური და გუნდური ქცევა;
- ინდივიდისა და ჯგუფების მოტივაცია.

**ბ** ნაწილის ამოცანები ეხება შემდეგ თემებს:

- პირველი ამოცანა – დაინტერესებული მხარეები ბიზნესორგანიზაციაში;
- მეორე ამოცანა – თაღლითობა, თაღლითური ქმედება და მისი პრევენცია ბიზნესში;
- მესამე ამოცანა – წვრთნა და სწავლება სამუშაო ადგილზე;
- მეოთხე ამოცანა – პერსონალური ეფექტურობა სამუშაო ადგილზე;
- მეხუთე ამოცანა – კომუნიკაცია ბიზნესში.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა ამოცანას კარგად უპასუხა, თუმცა ბევრ კანდიდატს გაუჭირდა მეორე და მეხუთე ამოცანების ამოხსნა.

კანდიდატების უმრავლესობამ პასუხი გასცა **ა** და **ბ** ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა იყო შემთხვევები, როცა **ა** ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არც ერთი პასუხი. ასეთი მიდგომა მცდარია – თუ არ იცით, რომელი პასუხია სწორი, გამორიცხეთ მცდარი პასუხები და მონიშნეთ ის, რომელიც თქვენი აზრით სწორია. ჩვენი დაკვირვებით, გამოცდის დრო – 2 სთ და 15 წუთი – საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, მინდა ხაზი გავუსვა დროის სწორი განაწილების აუცილებლობას. F1/ბზ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ **ა** და **ბ** ნაწილებს შორის დრო პროპორციულად უნდა განაწილდეს შემდეგნაირად – კანდიდატმა **ა** ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათ 35 წუთში, ხოლო **ბ** ნაწილი – 40 წუთში.

გარდა ამისა, მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ყველა დავალების პირობა ცხადად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული, ამიტომ კითხვებზე პასუხის გაცემისას დიდხანს ნუ ფიქრობთ, ნუ დაკარგავთ დროს. თუ გაგიჭირდათ კითხვაზე პასუხის გაცემა, ყურადღებით წაიკითხეთ ყველა სავარაუდო პასუხი და გამორიცხეთ ცალსახად მცდარი ვარიანტ(ებ)ი; შემდეგ კი ორი პასუხიდან აირჩიეთ ისეთი, რომელიც, თქვენი აზრით, სწორია. მაგრამ ნუ გაჩერდებით და ნუ დაკარგავთ ბევრ დროს ისეთი დავალების ამოხსნაზე, რომლის თეორიული მასალა ცუდად იცით ან დაგავიწყდათ. გადადით შემდეგ დავალებაზე.

### F1/ბზ „ბუღალტერი ბიზნესში“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

| ბაზი        | 2020 წ. ივლისი    | 2020 წ. იანვარი    | 2021 წ. თებერვალი |
|-------------|-------------------|--------------------|-------------------|
|             | 91%               | 85%                | 95%               |
| ACCA Global | 2019 წ. დეკემბერი | 2020 წ. სექტემბერი | 2020 წ. დეკემბერი |
|             | 82%               | 86%                | 84%               |

**F2/მა „მმართველობითი აღრიცხვა“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა: **ა** ნაწილი მოიცავდა ორმოც 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას, ხოლო **ბ** ნაწილი – ორ 10-ქულიან ამოცანას. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 2 საათი და 15 წუთი.

**ა** ნაწილის თხუთმეტი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ოცდახუთი – თეორიული. კანდიდატებმა კარგად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- მონაცემთა წყაროები;
- ზედნადები ხარჯების აღრიცხვა;
- დანახარჯთა აღრიცხვის მეთოდები;
- ბიუჯეტის ქცევითი ასპექტები;
- ნორმატიული დანახარჯების კალკულაციის სისტემები;
- ბიუჯეტირებული და რეალური მოგების შესაბამისობა.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- მარაგების აღრიცხვა;
- კალკულაცია ზღვრული დანახარჯებით და დანახარჯთა სრული განაწილებით;

- ბიუჯეტის შედგენის არსი და მიზანი;
- ბიუჯეტის მომზადება;
- ბიუჯეტის კონტროლი და ანგარიშგება;
- დანახარჯების შემცირება და ღირებულების გაუმჯობესება.

ბ ნაწილი მოიცავს ორ ამოცანას, რომლებიც შედგენილია შემდეგი თემების მიხედვით:

**პირველი ამოცანა – შედეგიანობის შეფასება;**

**მეორე ამოცანა – ნორმატიული დანახარჯების კალკულაცია.**

ბ ნაწილის ამოცანების ამოხსნისას კანდიდატებს ჰქონდათ შემდეგი პრობლემები, კერძოდ, მათ გაუჭირდათ:

- სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტის გამოთვლა;
- კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის გამოთვლა;
- მასალების გამოყენების მთლიანი გადახრის გამოთვლა;
- კორექტირებული ბიუჯეტისა და დანახარჯების კონტროლის შესახებ მოსაზრებების სისწორის შეფასება.

კანდიდატების უმრავლესობამ პასუხი გასცა ა და ბ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ა ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არც ერთი პასუხი. გამოცდის დრო – 2 სთ და 15 წუთი – საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწოროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, მინდა ხაზი გავუსვა დროის სწორი განაწილების აუცილებლობას. F2/მა მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ ა და ბ ნაწილებს შორის დრო პროპორციულად უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათსა და 45 წუთში, ხოლო ბ ნაწილი – 30 წუთში.

**F2/მა „მმართველობითი აღრიცხვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა**

| ბაზი        | 2020 წ. ივლისი    | 2020 წ. იანვარი    | 2021 წ. თებერვალი |
|-------------|-------------------|--------------------|-------------------|
|             | 76%               | 87%                | 82%               |
| ACCA Global | 2019 წ. დეკემბერი | 2020 წ. სექტემბერი | 2020 წ. დეკემბერი |
|             | 64%               | 87%                | 69%               |

**F3/ფა „ფინანსური აღრიცხვა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა:**

ა ნაწილი მოიცავდა ორმოც 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას, ხოლო ბ ნაწილი – ორ 10-ქულიან ამოცანას. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 2 საათი და 30 წუთი.

ა ნაწილის ცხრამეტი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ოცდაერთი – თეორიული.

კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს ა ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომელთა კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- ორადი გატარების პრინციპი, პირველადი გატარების ჟურნალები;
- ძირითადი ოპერაციების ჩანერა და ბუღალტრული ანგარიშების დაბალანსება;
- უკან დაბრუნება, ფასდათმობა, დღგ;

- მაკონტროლებელი ანგარიშების შეჯერება;
- ძირითადი ფინანსური ანგარიშგების მომზადება;
- ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაცია.

კანდიდატებს გაუჭირდათ შემდეგი თემების მიხედვით შედგენილი დავალებების ამოხსნა:

- მარეგულირებელი და სტრუქტურული საფუძვლები;
- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ასახვა;
- კრედიტორული დავალიანება, ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები;
- შეცდომების კორექტირება და დამხმარე ანგარიშები;
- ბასს 7, ბასს 10, ფასს 15.

ბ ნაწილი მოიცავს ორ ამოცანას, რომლებიც შედგენილია შემდეგი თემების მიხედვით:

**პირველი ამოცანა** – საერთო მოგებისა და საოპერაციო მოგების მარჟების გაანგარიშება და ჯგუფის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მომზადება;

**მეორე ამოცანა** – კომპანიის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების აქტივების ნაწილის მომზადება.

პირველი ამოცანის ა ნაწილის კითხვაში მოითხოვებოდა კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოყენებით საერთო მოგების მარჟისა და საოპერაციო მარჟის კოეფიციენტების გამოთვლა. კანდიდატების უმრავლესობამ აღნიშნული კოეფიციენტების გამოთვლის კარგი ცოდნა გამოავლინა.

პირველი ამოცანის ბ ნაწილის კითხვაში მოითხოვებოდა კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მომზადება. კანდიდატებმა შედარებით სუსტად უპასუხეს ამოცანის ამ ნაწილს, კერძოდ, ზოგ კანდიდატს გაუჭირდა დაბეგვრის შემდეგ მისაკუთვნიებული მოგების გამოთვლა. სუსტ პასუხებში კანდიდატებს გაუჭირდათ გაყიდვებიდან ამონაგების და რეალიზებული საქონლის თვითღირებულების გამოთვლა.

მეორე ამოცანაში მოითხოვებოდა კომპანიის მოგებისა და ზარალის და ასევე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (აქტივების ნაწილი) მომზადება. კანდიდატების უმრავლესობამ აჩვენა მოგებისა და ზარალის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შევსების კარგი ცოდნა. სუსტ პასუხებში კანდიდატებმა ვერ გამოთვალეს რეალიზებული საქონლის თვითღირებულების და სავაჭრო დებიტორული დავალიანების თანხები.

კანდიდატების უმრავლესობამ პასუხი გასცა ა და ბ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ა ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არც ერთი პასუხი. გამოცდის დრო – 2 სთ და 30 წუთი – საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, მინდა ხაზი გავუსვა დროის სწორი განაწილების აუცილებლობას. F3/ფა მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ ა და ბ ნაწილებს შორის დრო პროპორციულად უნდა განაწილდეს შემდეგნაირად – კანდიდატმა ა ნაწილი უნდა ამოხსნას 2 საათში, ხოლო ბ ნაწილი – 30 წუთში.

### F3/ფა „ფინანსური აღრიცხვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

| ბაჭი        | 2020 წ. ივლისი    | 2020 წ. იანვარი    | 2021 წ. თებერვალი |
|-------------|-------------------|--------------------|-------------------|
|             | 71%               | 65%                | 77%               |
| ACCA Global | 2019 წ. დეკემბერი | 2020 წ. სექტემბერი | 2020 წ. დეკემბერი |
|             | 71%               | 77%                | 73%               |



**F4/ქპ „ქართული ბიზნესსამართალი“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე მოცემული იყო ოცდახუთი 4-ქულიანი კაზუსი, რომლებიც ეხებოდა ყველა გავლილ თემას.

კანდიდატებმა კარგად უპასუხეს კაზუსებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 151 და 184;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 247;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 428;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 509 და 510;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 635 და 655;
- ინკოტერმს-2010;
- საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ მუხლი 9.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 33;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 109;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 62;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 306;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 394, 397, 409 და 413;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 367 და 624;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 647 და 342;
- საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ მუხლი 5;
- საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ მუხლი 46;
- საქართველოს შრომის კოდექსი მუხლი 10 და 18;
- საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ მუხლი 28;
- საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ მუხლი 44, 47 და 48;
- საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ მუხლი 31 და 32.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა კაზუსს გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი, ანუ თითო კაზუსის პასუხი კანდიდატმა უნდა დაწეროს 8 წუთში.

**F4/ქპ „ქართული ბიზნესსამართალი“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა**

| გაწი        | 2020 წ. ივლისი    | 2020 წ. იანვარი    | 2021 წ. თებერვალი |
|-------------|-------------------|--------------------|-------------------|
|             | 80%               | 91%                | 85%               |
| ACCA Global | 2019 წ. დეკემბერი | 2020 წ. სექტემბერი | 2020 წ. დეკემბერი |
|             | 83%               | 88%                | 86%               |

**F5/სშმ „საქმიანობის შედეგების მართვა“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე მოცემული იყო თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება, სამი ათქულიანი სცენარი (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას) და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

ა ნაწილის ხუთი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ათი – თეორიული. კანდიდატებმა საკმარისად კარგად უპასუხეს ა ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომელთა კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- რელევანტური დანახარჯების კალკულაცია;
- რეალიზაციის ნომენკლატურისა და რაოდენობის გადახრები.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- დანახარჯი-მოცულობა-მოგების ანალიზი;
- დაგეგმვა შეზღუდული ფაქტორების გათვალისწინებით.

ბ ნაწილის პირველი სცენარი შედგენილი იყო თემების „საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდი“, მეორე – „ფასდადგენა“, ხოლო მესამე – „საქმიანობის შედეგების შეფასება“ მიხედვით.

ბ ნაწილის ამოცანების ამოხსნისას კანდიდატებს ჰქონდათ შემდეგი პრობლემები, კერძოდ, მათ გაუჭირდათ:

- კონკრეტული პროდუქტის თვითღირებულების გაანგარიშება;
- კონკრეტულ პროდუქტზე მისაკუთვნილებელი სანარმოო ზედნადები ხარჯების გაანგარიშება;
- კომპანიის ლევერიჯისა და პროცენტის დაფარვის კოეფიციენტის გაანგარიშება;
- პროცენტის დაფარვისა და დივიდენდის დაფარვის კოეფიციენტების ცვლილებებზე მსჯელობა;
- დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდის გამოთვლა.

გ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „საქმიანობის შედეგების შეფასება და კონტროლი“.

**„ა“ ნაწილში (6 ქულა)** მოითხოვებოდა კომენტარი, სცენარის კონტექსტში ქვედანაყოფისა და მენეჯერის საქმიანობის შედეგების შესაფასებლად, ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტის გამოყენების შესახებ. კანდიდატების უმრავლესობამ სწორი და სრულყოფილი პასუხი გასცა ამ კითხვას. სუსტი პასუხების შემთხვევაში, ნაცვლად იმისა, რომ აეხსნათ აღნიშნული კოეფიციენტის გამოყენების მიზანშეწონილობაზე სცენარის კონტექსტში კანდიდატებმა შეაფასეს მენეჯერისა და ქვედანაყოფის საქმიანობა, რაც არ მოითხოვებოდა და, შესაბამისად, ასეთი პასუხი შეფასდა 0 ქულით.

**„ბ“ ნაწილში (4 ქულა)** მოითხოვებოდა ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტის ალტერნატივების შემოთავაზება და სცენარის კონტექსტში შესაბამისი არგუმენტების მოყვანა. კანდიდატებს არ გაუჭირდათ აღნიშნული კოეფიციენტის ალტერნატივების შემოთავაზება, მაგრამ ბევრმა გამოტოვა მოთხოვნის მეორე ნაწილი და არ მოიყვანა არგუმენტები პირობაში მოცემული სცენარის კონტექსტში.

**„გ“ ნაწილში (10 ქულა)** მოითხოვებოდა სცენარის კონტექსტში ქვედანაყოფისა და მენეჯერის საქმიანობის შედეგების შეფასება სხვა კოეფიციენტების გამოყენებით. კანდიდა-

ტების უმრავლესობამ სრულად გამოიყენა სცენარში მოყვანილი ფინანსური ინფორმაცია, რომელიც შედეგების ანალიზისთვის ბევრი რელევანტური კოეფიციენტის გამოთვლის (და შესაბამისი კომენტარების) საშუალებას იძლეოდა და მიიღეს მაღალი ქულები. სუსტი პასუხების შემთხვევაში, კანდიდატები მხოლოდ ერთი ან ორი კოეფიციენტით და ერთი ან ორი რელევანტური კომენტარით შემოიფარგლნენ.

**გ ნაწილის მეორე ამოცანა** ეხებოდა თემას „გადახრების ანალიზი“.

**„ა“ ნაწილში** (7 ქულა) მოითხოვებოდა მასალების გადახრის დეტალურად გამოთვლა. ზოგ ნარჩინებულ კანდიდატსაც გაუჭირდა მასალების გადახრების გამოთვლა. სუსტ კანდიდატებს არ ჰქონია მასალების მთლიანი გადახრის ფასისა და გამოყენების გადახრებად, ასევე გეგმურ და საოპერაციო გადახრებად დაყოფის მცდელობა და მთლიანი გადახრაც არასწორად იყო გამოთვლილი.

**„ბ“ ნაწილში** (5 ქულა) მოითხოვებოდა შრომის ნაყოფიერების გადახრის დეტალურად გამოთვლა. ბევრმა კანდიდატმა ამ ნაწილის პასუხი ცუდად დაწერა, ძირითადად, გამოთვალეს შრომის მწარმოებლურობის გადახრა, მაგრამ ვერ გამოთვალეს შრომის ნაყოფიერების გადახრა და არ დაყვეს გეგმურ და საოპერაციო გადახრებად.

**„გ“ ნაწილში** (8 ქულა) მოითხოვებოდა წარმოების მენეჯერის შედეგების შეფასება. კარგად მომზადებული კანდიდატების პასუხები მისაღები, მაგრამ არასრულყოფილი იყო. ბევრმა კანდიდატმა სრული 8 ქულის მისაღებად ვერ ჩამოაყალიბა საჭირო რაოდენობის მოსაზრება და, როგორც წესი, კარგად მომზადებულმა კანდიდატებმა მიიღეს 4-5 ქულა. სუსტ კანდიდატებს არ გამოუყენებია გადახრების ანალიზის შედეგები და შეადარეს გეგმური ციფრები ფაქტიურს ყოველგვარი ანალიზის გარეშე.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი. F5/სშმ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ ა, ბ და გ ნაწილებს შორის დრო პროპორციულად უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: კანდიდატმა ა ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, ბ ნაწილი – 65 წუთში, ხოლო გ ნაწილი – 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.

#### F5/სშმ „საქმიანობის შედეგების მართვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

| ბაჟი        | 2020 წ. ივლისი    | 2020 წ. იანვარი    | 2021 წ. თებერვალი |
|-------------|-------------------|--------------------|-------------------|
|             | 65%               | 64%                | 65%               |
| ACCA Global | 2019 წ. დეკემბერი | 2020 წ. სექტემბერი | 2020 წ. დეკემბერი |
|             | 35%               | 39%                | 40%               |

**F6/სბ „საგადასახადო დაბეგვრა“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე მოცემული იყო ოცი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

ა ნაწილის ხუთი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო თხუთმეტი – თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს ა ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომელთა კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- მუხლი 165. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია;
- მუხლი 201. ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი;

- მუხლი 280. გადასახადის უკანონო ჩათვლა;
  - მუხლი 282. დღგ-სათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა;
- კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:
- მუხლი 8. ტერმინთა განმარტება;
  - მუხლი 56. საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს/ორგანიზაციის რე-ორგანიზაციისას;
  - მუხლი 73. ცალკეულ შემთხვევაში დაბეგვრის ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა;
  - მუხლი 205. ქონების გადასახადის გამოანგარიშება და გადახდა;
  - მუხლი 275. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება.

**ბ ნ ა ნ ი ლ ის პ ი რ ვ ე ლ ი ა მ ო ც ა ნ ა** ეხებოდა თემას „საშემოსავლო გადასახადი“, **მ ე ო რ ე ა მ ო ც ა ნ ა** – „მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი), ხოლო **მ ე ს ა მ ე ა მ ო ც ა ნ ა** – „დამატებული ღირებულების გადასახადი“.

**პირველი ამოცანა** მოიცავდა ორ ნაწილს.

**პირველ ნაწილში** (12 ქულა) მოითხოვებოდა პირობაში მოცემული მონაცემების საფუძველზე ხელფასის დარიცხვის უწყისის შევსება და შესაბამისი თანხების გაანგარიშება:

1. **მივლინებასთან დაკავშირებული სარგებელი** (1,5 ქულა) – ბევრმა კანდიდატმა სწორად გამოთვალა სარგებლის თანხა და მიიღო სრული 1,5 ქულა. სუსტ კანდიდატებს გაუჭირდათ აღნიშნული სარგებლის გამოთვლა, არეული ჰქონდათ ნორმით განსაზღვრული და ფაქტიური ხარჯები;
2. **ხელფასის დარიცხვის უწყისის შევსება** – საწარმოს თანამშრომლების მიერ ხელფასის სახით (მათ შორის სარგებელი) მიღებული დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშება (3,5 ქულა) – კანდიდატების უმრავლესობამ წარმატებით გამოთვალეს ყველა თანამშრომლის თანხები. სუსტ პასუხებში კანდიდატებს არ ჰქონდათ გათვალისწინებული ერთ-ერთ შენიშვნაში აღწერილი ფაქტი, კერძოდ ის, რომ კომპანიამ ერთიანად გადარიცხა ორი თანამშრომლის ბავშვების დაფინანსება და, შესაბამისად, გადარიცხული თანხა უნდა გადანაწილებულიყო ორ თანამშრომელზე;
3. **ხელფასის დარიცხვის უწყისის შევსება** – საწარმოს თანამშრომლების მიერ მიღებული შემოსავლიდან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადისა და ხელზე მისაღები თანხის სიდიდის გამოანგარიშება (3,5 ქულა). სუსტ პასუხებში კანდიდატებმა არ გაითვალისწინეს ერთ-ერთი თანამშრომლისთვის გადარიცხული მშობიარობის ღირებულება;
4. **ხელფასის დარიცხვის უწყისის შევსება** – საწარმოს თანამშრომლების მიერ მიღებული შემოსავლიდან დასაკავებელი საპენსიო შენატანის თანხის გამოანგარიშება (3,5 ქულა) – კანდიდატების უმრავლესობამ სწორად გამოთვალა აღნიშნული თანხები.

**მეორე ნაწილში** (8 ქულა) მოითხოვებოდა გადახდის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადების დეკლარაციის შევსება და საშემოსავლო გადასახადის სიდიდის გაანგარიშება. კანდიდატების უმრავლესობას გაუჭირდა დეკლარაციის შევსება. ბევრმა კანდიდატმა სწორად ვერ შეავსო გრაფები, რომლებიც ეხებოდა მუდმივი დანესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემულ ანაზღაურებას; საწარმოებზე (ორგანიზაციებზე) გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებულ განაცემებს; გადახდის წყაროსთან საწარმოებისთვის (ორგანიზაციებისთვის) დაკავებული ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხებს. აბსოლუტურად ყველა კანდიდატმა სწორად შეავსო 58-69 გრაფები.

**მეორე ამოცანა მოიცავდა** ორ ნაწილს.

**პირველ ნაწილში** (9 ქულა) მოითხოვებოდა, პირობაში მოცემული სამეურნეო ოპერაციების საფუძველზე, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტების გაანგარიშება.

1. კანდიდატების უმრავლესობამ სწორად დაადგინა წარმომადგენლობითი ხარჯების მიხედვით დაბეგვრის ობიექტი. რამდენიმე კანდიდატმა საერთოდ არ გამოთვალა აღნიშნული თანხა. ზოგიერთი კანდიდატი არ შემოიფარგლა დაბეგვრის ობიექტის გაანგარიშებით და შეასრულა აგროსვისა და მოგების გადასახადის გაანგარიშებაც, რაც შინაარსობრივად არასწორია და ნიშნავს, რომ კანდიდატმა არ იცის, რა არის დაბეგვრის ობიექტი. ასეთ შემთხვევაში, კანდიდატი მიიღებს ამ ნაწილისთვის გათვალისწინებულ ქულათა ნახევარს.
2. ბევრმა კანდიდატმა სწორად დაადგინა მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაციის დაბეგვრის სიდიდე. სუსტ პასუხებში კანდიდატებმა მოახდინეს გადარიცხული თანხის აგროსვა.
3. ბევრმა კანდიდატმა სწორად დაადგინა გაცემული სესხების დაბეგვრის ობიექტი. სუსტ პასუხებში კანდიდატებმა შეასრულეს გაცემული სესხის თანხის აგროსვა.
4. კანდიდატმა სწორად გამოთვალა ფასიანი ქაღალდების დაბეგვრის ობიექტი, თუმცა ზოგს გაუჭირდა ამის გაკეთება, კერძოდ, გაუჭირდათ გაცვლითი კურსის სწორად დადგენა.
5. ყველა კანდიდატმა სწორად გამოთვალა ფიზიკურ პირებზე განაწილებული დაგროვილი მოგების დაბეგვრის ობიექტი.
6. ბევრმა კანდიდატმა სწორად დაადგინა მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაციის დაბეგვრის სიდიდე. სუსტ პასუხებში კანდიდატებმა მოახდინეს პირობაში მოცემული თანხების აგროსვა.

**მეორე ნაწილში** (11 ქულა) მოითხოვებოდა პირობაში მოცემული სამეურნეო ოპერაციების ანალიზი და მოგების გადასახადის დეკლარაციის შევსება. ბევრმა წარჩინებულმა კანდიდატმა კარგად შეავსო მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია. თუმცა, იყო ისეთი ნამუშევრებიც, რომელშიც დეკლარაცია საერთოდ შევსებული არ იყო, ან მოიცავდა ბევრ შეცდომას.

**მესამე ამოცანა** მოიცავდა ორ ნაწილს.

**პირველ ნაწილში** (12,5 ქულა) მოითხოვებოდა მოცემული სამეურნეო ოპერაციების საფუძველზე დასაბეგრი ოპერაციის სიდიდის და დასარიცხი ან ჩასათვლელი ან ჩათვლილი დღგ-ის აღსადგენი თენხების დადგენა. სუსტ კანდიდატებს გაუჭირდათ ჩასათვლელი დღგ-ის კორექტირების თანხის, უკუდაბეგვრის შედეგად გადასახდელი (დასარიცხი) და ჩასათვლელი დღგ-ის თანხის, ექსპორტის დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ის თანხის დადგენა.

**მეორე ნაწილში** (7,5 ქულა) მოითხოვებოდა დასაბეგრი და ჩასათვლელი ოპერაციების სიდიდისა და დასარიცხი დღგ-ის თანხის განსაზღვრა, ჩასათვლელი დღგ-ის თანხის ხვედრითი წილის, უკუდაბეგვრის წესით დღგ-ის და ჩასათვლელი თანხის გაანგარიშება. ბევრმა კანდიდატმა სწორად შეასრულა აღნიშნული ნაწილის ამოხსნა. სუსტმა კანდიდატებმა ან საერთოდ გამოტოვეს ამოცანის ეს ნაწილი, ან ბევრი შეცდომა დაუშვეს შესაბამისი თანხების ჩანერა/გაანგარიშებისას.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. F6/სბ მოდულის შემთხვევაში,



ზოგადი წესია, რომ **ა** და **ბ** ნაწილებს შორის დრო პროპორციულად უნდა განაწილდეს, შემდეგნაირად – კანდიდატმა **ა** ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათსა და 25 წუთში, ხოლო **ბ** ნაწილი – 2 საათსა და 5 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 41-42 წუთში.

### F6/სბ „საგადასახადო დაბეგვრა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

| ბაჭი        | 2020 წ. ივლისი    | 2020 წ. იანვარი    | 2021 წ. თებერვალი |
|-------------|-------------------|--------------------|-------------------|
|             | 100%              | 93%                | 85%               |
| ACCA Global | 2019 წ. დეკემბერი | 2020 წ. სექტემბერი | 2020 წ. დეკემბერი |
|             | 49%               | 49%                | 51%               |

**F7/ფა „ფინანსური ანგარიშგება“** მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე მოცემული იყო თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება, სამი ათქულიანი სცენარი (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას) და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

**ა** ნაწილის თერთმეტი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ოთხი – თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს **ა** ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომელთა კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- კონცეპტუალური საფუძვლები;
- კონსოლიდაცია;
- ბასს 33 შემოსავალი აქციაზე;
- ბასს 7 ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- ფასს 5 – გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები;
- ბასს 40 – საინვესტიციო ქონება;
- ბასს 8 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებაში და შეცდომები;
- ბასს 38 – არამატერიალური აქტივები.

**ბ** ნაწილის სუთი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ათი – თეორიული. პირველი სცენარი შედგენილი იყო თემის „მატერიალური გრძელვადიანი აქტივები“, მეორე – „ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები“, ხოლო მესამე – „ბასს 37 და ბასს 10“-ის მიხედვით. **ბ** ნაწილის დავალებებიდან კანდიდატებს გაუჭირდათ მეორე სცენარის დავალებების ამოხსნა.

**გ** ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება“.

ამოცანის **ა** ნაწილში (17 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების მომზადება. ამოცანის ამ ნაწილის ამოხსნისას კანდიდატებს პრობლემები შეექმნათ შემდეგი მუხლების თანხების გაანგარიშებისას:

- **საოპერაციო ხარჯები** – ბევრ კანდიდატს გათვალისწინებული არ ჰქონდა საბროკერო საკომისიოს ხარჯებიდან ამოღება;



- **საინვესტიციო შემოსავალი** – კანდიდატებს გათვალისწინებული არ ჰქონდათ გაყიდვის მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის პროცენტი და შეძენილი ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი;
- **მოგების გადასახადი** – ზოგმა კანდიდატმა სწორად გაითვალისწინა მოგების გადასახადის საწყისი ნაშთი, მაგრამ მიღებულ თანხას დაამატა გადავადებული გადასახადის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება შენობის გადაფასების შედეგად მიღებულ შემოსავალს.
- **სხვა სრული შემოსავალი** – თითქმის ყველა კანდიდატმა სწორად განსაზღვრა ძირითადი საშუალების გადაფასების თანხა, მაგრამ ბევრმა არ გამოაკლო მასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის სიდიდე, ზოგმა კი ამ ნაწილში ჩართო შემოსულობა საინვესტიციო ქონების შეფასებიდან.

ამოცანის **ბ** ნაწილში (3 ქულა) მოითხოვებოდა გაზაფხული შემოსავლის ერთ აქციაზე გამოთვლა. ზოგმა კანდიდატმა საერთოდ გამოტოვა ამოცანის ეს ნაწილი. თუმცა, კანდიდატებმა, რომლებმაც ამ კითხვას გასცეს პასუხი, ბევრმა მიიღო 2-3 ქულა.

**გ ნაწილის მეორე ამოცანა** ეხებოდა თემას „ფინანსური ანგარიშგების ანალიზი“.

ამოცანის **ა** ნაწილში (6 ქულა) მოითხოვებოდა საერთო მოგებისა და საოპერაციო მოგების მარჟების, სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ბრუნვის, გამოყენებული კაპიტალის უკუგების, ლევერიჯისა და პროცენტის დაფარვის კოეფიციენტების გამოთვლა. ყველა კანდიდატმა ამოცანის ეს ნაწილი კარგად ამოხსნა. სუსტ პასუხებში კანდიდატებს გაუჭირდათ ლევერიჯის, პროცენტის დაფარვისა და გამოყენებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტების გამოთვლა.

ამოცანის **ბ** ნაწილში (14 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასა და დამატებით ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოთვლილი კოეფიციენტების მიხედვით შესაბამისი დასკვნის გაკეთება. ბევრმა კანდიდატმა ამ ნაწილის პასუხიც კარგად დანერგა. მაგრამ ზოგმა კანდიდატმა ამ კითხვას საერთოდ არ გასცა პასუხი.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. F7/ფა მოდულის შემთხვევაში, ზოგადი წესია, რომ **ა**, **ბ** და **გ** ნაწილებს შორის დრო პროპორციულად უნდა განაწილდეს, შემდეგნაირად – კანდიდატმა **ა** ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, **ბ** ნაწილი – 65 წუთში, ხოლო **გ** ნაწილი – 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.

**F7/ფა „ფინანსური ანგარიშგება“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა**

| გაფი        | 2020 წ. ივლისი    | 2020 წ. იანვარი    | 2021 წ. თებერვალი |
|-------------|-------------------|--------------------|-------------------|
|             | 71%               | 51%                | 67%               |
| ACCA Global | 2019 წ. დეკემბერი | 2020 წ. სექტემბერი | 2020 წ. დეკემბერი |
|             | 44%               | 50%                | 48%               |

## როგორ მოვემზადოთ უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდისთვის?

უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდა ფინანსური მართვის მოდულის გამოცდის გაგრძელებაა, მაგრამ სტრატეგიულ პროფესიულ დონეზე „უნარ-ჩვევების გამოყენება“. როგორც ACCA-ის მთელ სასწავლო პროგრამაში, საბაზო მოდულის გამოცდა მოიცავს ძირითად ტექნიკურ სფეროებს, რომლის ცოდნაც მოეთხოვება ყველა ბუღალტერს, ხოლო უმაღლესი დონის გამოცდა ეყრდნობა ამ ცოდნას და ამონებს უმაღლესი, სტრატეგიული პროფესიული დონის უნარებსა და მეთოდებს.

კერძოდ, უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე კანდიდატებისგან მოელიან, რომ მათ უფრო ღრმა ცოდნა ექნებათ, უკეთესი ანალიტიკური უნარ-ჩვევები და ფართო და სიღრმისეულ მსჯელობის უნარი, ვიდრე ფინანსური მართვის მოდულში. მაშასადამე, ამ დონის გამოცდაზე კანდიდატებს არ მოსთხოვენ ობლიგაციის შეფასებას, რომელიც ფინანსური მართვის მოდულის ერთ-ერთი პოტენციური კითხვაა, არამედ კანდიდატებს უნდა შეეძლოთ ობლიგაციის ღირებულების გამოთვლის საჭიროების განსაზღვრა, კონკრეტული სცენარის გათვალისწინებით. მაგალითად, კანდიდატებს შეიძლება სთხოვდნენ შეძენის სამიზნე კომპანიის აქციონერებისთვის პოტენციური სარგებლის გამოთვლას, მშთანთქმელი კომპანიის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა ვარიანტიდან/წინადადებიდან. თუ ამ წინადადებიდან ერთ-ერთი მოიცავს ობლიგაციებს, მაშინ აუცილებელი იქნება ობლიგაციების ღირებულების გამოთვლა, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცემი კითხვაში არ იქნება მოცემული.

ფინანსური მართვისა და უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულების სასწავლო პროგრამებსა და გამოცდებს შორის მეორე ძირითადი განსხვავება ის არის, რომ, საზოგადოდ, უმაღლესი დონის გამოცდაზე სცენარები, ძირითადად, შეეხება უფრო მსხვილ, უფრო რთულ და უფრო მასშტაბურ საერთაშორისო ორგანიზაციებს. მაგალითად, გაანგარიშებებზე დაფუძნებულ კითხვებში კანდიდატმა უნდა შეძლოს საზღვარგარეთ განხორციელებული პროექტების შეფასება, ხოლო დამოუკიდებელ მსჯელობაზე დაფუძნებულ კითხვებში – ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციების როლის განხილვა, როგორცაა, მაგალითად საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

**რისი ცოდნა და მჭირდება მე ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამიდან და როგორ უნდა გავიღრმავო ცოდნა უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულისთვის?**

სტატიის ამ ნაწილში ცალ-ცალკე განვიხილავ ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამის ძირითად თემებს და რამდენიმე რჩევას მოგცემთ იმასთან დაკავშირებით, რა საკითხები/თემები იქნება ისევ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ დონის გამოცდაზეც და როგორ გაღრმავდება ცოდნა უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულში. ვინაიდან სტატიის ფორმატის გამო, ზოგადად, მისი მოცულობა შეზღუდულია, გთხოვთ ჩვენ მიერ განხილული საკითხების ჩამონათვალს ნუ მიიჩნევთ სრულყოფილად და ამომწურავად.

### ფინანსური მართვის ფუნქცია

ეს თემა მოიცავს ისეთ საკითხებს, რომელთა ცოდნა შენარჩუნებული უნდა გქონდეთ და უფრო გაღრმავებული, ვინაიდან ეს კანდიდატებს ხშირად ეხმარება მსჯელობაზე დაფუძნებულ კითხვებში შესაბამისი მოსაზრებების ფორმირებაში. კანდიდატებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების ძირითადი მიზანი უნდა ზრდიდეს კომპანიის ღირებულებას. კერძოდ, კანდიდატებმა უნდა გაიცნობიერონ, რომ ფინანსურ მენეჯერებს ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ აკისრიათ პასუხისმგებლობა, როდესაც გადაწყვეტილებებს იღებენ. მაშასადამე, გადაწყვეტილებების მიღებისას სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული ეთიკური და ეკოლოგიური პრობლემები და დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და, აქედან გამომდინარე, მიღებული გადაწყვე-

ტილებების გავლენა კომპანიის რეპუტაციაზე. გარდა ამისა, ფინანსური მართვის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების სტრატეგიული გავლენა და ფინანსური მართვის სფეროში თანამედროვე მიღწევები უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულში.

### ფინანსური მართვის გარემო

ეს თემაც მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლის ცოდნაც ასევე შენარჩუნებული უნდა გქონდეთ და უფრო გაღრმავებული. ფინანსურ მენეჯერებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმ გარემოზე, სადაც მუშაობენ, თუ სურთ, რომ შესაფერისი გადაწყვეტილებები მიიღონ. უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამაში არსებითი მნიშვნელობა აქვს მაკროეკონომიკური გარემოსა და იმ საფინანსო დანესებულებების საქმიანობის თანამედროვე ტენდენციების ცოდნას, რომლებიც არეგულირებენ გლობალური ფინანსური ბაზრების საქმიანობას.

### საბრუნავი კაპიტალის მართვა

უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ ისეთი კითხვები შეგხვდებოდეთ, რომლებიც ეხება საბრუნავი კაპიტალის თითოეული ელემენტის მართვის საკითხებს. თუმცა, კანდიდატებს უნდა ახსოვდეთ ძირითადი საკითხები, რომლებიც ეხება იმას, რამდენი ინვესტიცია უნდა ჩადოს კომპანიამ საბრუნავ კაპიტალში (თანაფარდობა მოგებიანობა/ლიკვიდურობა) და როგორ უნდა მოხდეს საბრუნავი კაპიტალისთვის საჭირო ინვესტიციის დაფინანსება. უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე ასევე უნდა გახსოვდეთ, როგორ გამოითვლება საბრუნავი კაპიტალის შესაბამისი კოეფიციენტები და საოპერაციო ციკლი და უნდა შეგეძლოს მათი მნიშვნელობების ინტერპრეტაცია.

### ინვესტიციის შეფასება

ეს თემაც ისევ ძირითადი იქნება. ინვესტიციის შეფასების იმ მეთოდებიდან, რომლებიც ფინანსური მართვის მოდულში შეისწავლეთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდები და, კერძოდ, წმინდა მიმდინარე ღირებულების. უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამაში შეტანილი ახალი ძირითადი მეთოდებია უკუგების მოდიფიცირებული შიდა განაკვეთი, კორექტირებული მიმდინარე ღირებულების მიდგომა და იმის უნარი, გამოითვალოს წმინდა მიმდინარე ღირებულება ნებისმიერი უცხოური პროექტისთვის.

### კომპანიების დაფინანსება, მათ შორის კაპიტალის ღირებულება

კომპანიების დაფინანსებასთან დაკავშირებითაც უნდა გახსოვდეთ ფინანსური მართვის მოდულში ნასწავლი თემები და უფრო გაღრმავებული უნდა გქონდეთ ეს ცოდნა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე კითხვები, ძირითადად, ორიენტირებული იქნება შედარებით უფრო მსხვილ, უფრო რთულ და უფრო მასშტაბურ საერთაშორისო კომპანიებზე. აქედან გამომდინარე, გასული პერიოდის ერთ-ერთ საგამოცდო კითხვაში კანდიდატებს სთხოვდნენ, განეხილათ კომპანიის შესაძლებლობა, გადაეხადა მისთვის სასურველი დივიდენდები იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას მოგება მიღებული ჰქონდა რამდენიმე სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც განსხვავებული საგადასახადო განაკვეთები იყო და ტრანსფერული/შიდა გადაცემის ფასები გამოიყენებოდა, ამ ქვედანაყოფებიდან რამდენიმე ქვედანაყოფს შორის. გარდა ამისა, კანდიდატებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ, კომპანიის შესყიდვის დაფინანსების გზებისა და საშუალებების შესახებ და უნდა შეეძლოს ამ საკითხებზე მსჯელობა.

რაც შეეხება კაპიტალის ღირებულებას, ფინანსური მართვის მოდულიდან დაგჭირდებათ კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელის ცოდნა, მათ შორის საკუთარი კაპიტალის ბეტას გარდაქმნა აქტივების შესაბამის ბეტად და აქტივების ბეტას გარდაქმნა საკუთარი კაპიტალის ბეტად, ასევე კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების გამოთვლა. უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე იშვიათად შეგხვდებათ სესხის/სასესხო კაპიტალის ღირებულების დეტალური გამოთვლები. ამის ნაცვლად, კანდიდატებს უნდა შეეძლოთ სასესხო კაპიტალის ღირებულების გამოთვლა საკრედიტო სპრედების გამოყენებით, რომელიც გამოსახულია საბაზისო პუნქტებში. გარდა ამისა, უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე კანდიდატებს ასევე მოეთხოვებათ, რომ შეეძლოთ მილერისა და მოდილიანის მე-2 მოდელის (გადასახადების გათვალისწინებით) გამოყენება, საკუთარი კაპიტალის ბეტას გარდასაქმნელად აქტივების შესაბამის ბეტად და აქტივების ბეტას გარდასაქმნელად საკუთარი კაპიტალის ბეტად. კითხვაში მოცემული სცენარისთვის კაპიტალის შესაფერისი ღირებულების გამოთვლა ამ ფორმულის გამოყენებით ისეთი თემაა, რომლის ცოდნასაც გამომცდელი ხშირად ამოწმებს უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე. მაშასადამე, ეს თემა აუცილებლად უნდა შეისწავლოთ.

### კომპანიის შეფასება

მართალია, ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამაში ნასწავლი ყველა საკითხის ცოდნა დაგჭირდებათ, მაგრამ კომპანიის შეფასების ძირითადი მეთოდებიდან უნდა გახსოვდეთ თავისუფალი ფულადი ნაკადებისა და ფასის შემოსავალთან შეფარდების მეთოდები. გარდა ამისა, ამ გამოცდაზე ასევე მნიშვნელოვანია იმის უნარი, რომ შეგეძლოთ ზრდის პროგნოზის გამოთვლა, წარსული პერიოდების ზრდის საფუძველზე ან ზრდის გორდონის მოდელით, ვინაიდან ზრდა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია კომპანიის ღირებულების განსაზღვრისთვის. შემდეგ ამ ცოდნას გამოიყენებთ უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულში, როდესაც იხილავთ კომპანიების შერწყმასა და შესყიდვას და კორპორაციულ რესტრუქტურის რეორგანიზაციას. გარდა ამისა, კანდიდატებს უნდა შეეძლოთ არამატერიალური აქტივების შეფასება, თუმცაღა დღემდე ამ საკითხის ცოდნა გამომცდელს ღრმად არ შეუშინებია.

რაც შეეხება კომპანიების შერწყმასა და შესყიდვას, უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე გამსვლელ კანდიდატებს უნდა შეეძლოთ სხვადასხვა ტიპის შესყიდვის ერთმანეთისგან განსხვავება და სათანადო შეფასებების გამოთვლა, ასევე კომპანიისთვის შეთავაზებული შესყიდვის ფასების შეფასება, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პოზიციიდან. ანალოგიურად, კანდიდატებს უნდა შეეძლოთ ამგვარი ოპერაციებისა და კომპანიის იმ ქმედებების დასაბუთებაზე მსჯელობა, რომლებსაც უნდა მიმართოს კომპანიამ შთანთქმის წინადადებისგან თავის დასაცავად.

კორპორაციულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე გამსვლელ კანდიდატებს უნდა შეეძლოთ ფინანსური სირთულეებისა და წარუმატებლობის პოტენციური მიზეზების შეცნობა და განხილვა და წარუმატებლობის რისკის შეფასება. კანდიდატებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ძირითად პროცესზე, რომელიც, სავარაუდოდ, ნებისმიერ რეორგანიზაციაში გამოიყენება, ვინაიდან ეს მათ დაეხმარება კითხვაში აღწერილი სცენარის უკეთ გააზრებაში და სწორად გაიგებენ, რის გაკეთებას ითხოვენ მისგან ამ კითხვაში. კანდიდატებმა უნდა იცოდნენ კომპანიების რეორგანიზაციის სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა, მაგალითად დაშლა/დანაწევრება და უნდა შეეძლოთ ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის გამოსყიდვის შესაძლებლობის განხილვა და შეფასება. დაშლა გამოცდებზე გამოჩნდა ბოლო პერიოდების სესიებზე და როგორც გამოცდების შედეგებიდან გამოვლინდა, კანდიდატებს, ძირითადად, არასწორად მიაჩნიათ, რომ დანაწევრებულ კომპანიებს ისევ იგივე უმაღლესი ხელმძღვანელობა აკონტროლებს.



## რისკების მართვა

ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია სავალუტო რისკსა და საპროცენტო განაკვეთის რისკზე. მართალია, ეს საკითხები ისევ მნიშვნელოვანია უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულშიც, მაგრამ კანდიდატებმა უნდა ისწავლონ რისკების შესახებ მსჯელობა უფრო ღრმად და უნდა შეეძლოთ სცენარიდან მრავალი სხვადასხვა ტიპის რისკის გამოვლენა და კომპანიისთვის რეკომენდაციების მიცემა იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება მათი მართვა და შემცირება.

რაც შეეხება სავალუტო რისკს, კანდიდატებს უნდა ახსოვდეთ, რაც ისწავლეს ფინანსური მართვის მოდულში. უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის წინა წლების ერთ-ერთ საგამოცდო კითხვაში კანდიდატებს სთხოვდნენ სხვადასხვა ტიპის სავალუტო რისკის განხილვას, რომლებიც არსებობდა სცენარის მიხედვით, რაც უფრო ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამის ნაწილია. გარდა ამისა, ძირითადი უნარი, რომლებიც კანდიდატებს შეძენილი უნდა ჰქონდეთ ფინანსური მართვის მოდულში და ისევ უნდა ახსოვდეთ, ან ხელახლა უნდა ჰქონდეთ ათვისებული უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდისთვის, არის ერთი ვალუტიდან მეორეში მონაცემების გადაყვანა. ამ უნარის გარეშე კანდიდატებს ყოველთვის გაუჭირდებათ კარგი შედეგების მიღება ისეთ კითხვაში, რომელიც სავალუტო რისკთან დაკავშირებულ გამოთვლებს ეხება. რაც შეეხება ფიუჩერსებს, ოფციონებს და სვოპებს, კანდიდატებს ამ ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ზოგადი წარმოდგენა შეძენილი აქვთ ფინანსური მართვის მოდულში, მაგრამ უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულში უნდა ისწავლონ, როგორ უნდა ჩაატარონ აუცილებელი გაანგარიშებები ამ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ეს არის ერთ-ერთი რთული, მაგრამ ისეთი თემა, რომლის ცოდნაც ხშირად მომდებარე გამოცდებზე.

ანალოგიური სიტუაცია გვაქვს საპროცენტო განაკვეთის რისკთან. მართალია, კანდიდატებს უნდა ახსოვდეთ ფინანსური მართვის მოდულში შეძენილი ცოდნა, მაგრამ უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდისთვის მათ ასევე უნდა ისწავლონ დეტალური გაანგარიშებები, რომლებიც მოითხოვება ფიუჩერსების, ოფციონების, ქოლარებისა და სვოპებისთვის.

## ბლექ-შოლსის ოფციონის ფასდადგენის მოდელი

ბლექ-შოლსის ოფციონის ფასდადგენის მოდელი არის ერთ-ერთი ძირითადი ახალი უნარი, რომელიც უნდა აითვისონ კანდიდატებმა უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულში. კანდიდატები უნდა დარწმუნდნენ, რომ შეუძლიათ ფორმულის გამოყენება ოფციონის საიმედოდ და ზუსტად შესაფასებლად. გარდა ამისა, კანდიდატებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ, ოფციონის ღირებულების განმსაზღვრელი სხვადასხვა ფაქტორის/დეტერმინანტისა და ასევე სხვადასხვა ტიპის ცვლადების შესახებ, როგორიცაა დელტა და სხვა. ცხადია, კანდიდატებს ასევე უნდა შეეძლოთ დელტას გამოყენება ჰეჯირების შესაფერისი სტრატეგიის განსაზღვრისთვის. ამასთან, კანდიდატებს უნდა შეეძლოთ ბლექ-შოლსის ოფციონის ფასდადგენის მოდელის გამოყენება რეალური ოფციონების შესაფასებლად.

ბლექ-შოლსის ოფციონის ფასდადგენის მოდელი შეიძლება ბევრ კითხვაში შეგხვდეთ. კითხვაში შეიძლება გთხოვდნენ ფინანსური ან რეალური ოფციონის შეფასებას, შესაბამისი განხილვისა და ანალიზის შემდეგ. ანალოგიურად, შეიძლება პროექტში გათვალისწინებული იყოს რეალური ოფციონი, რომლის შეფასებაც ასევე საჭირო იქნება პროექტის ტიპურ შეფასებასთან ერთად. გარდა ამისა, კანდიდატებს უნდა შეეძლოთ მსჯელობა, ამ მოდელის სხვა სიტუაციებში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, ასე, მაგალითად, როგორ შეიძლება მოდელის გამოყენება კომპანიის საკუთარი კაპიტალის შესაფასებლად.

## როგორ ვისწავლოთ უმაღლესი დონის ფინანსური მართვა

უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე გამსვლელი კანდიდატები თავდაპირველად უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ ახსოვთ ან გაიმეორეს ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამის ძირითადი თემები და ასევე ისწავლეს ახალი თემები და მეთოდები, უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამიდან. ამისთვის, კანდიდატები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ კარგად იციან ყველა ფორმულა, რომელიც მოცემული ექნებათ გამოცდაზე ფორმულების რვეულში. საგამოცდო მასალაში მოცემული ნებისმიერი ფორმულა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ კანდიდატებს ძალიან ხშირად არ შეუძლიათ მათი გამოყენება ან დარწმუნებული არ არიან, როგორ უნდა გამოიყენონ ეს ფორმულები. ანალოგიურად, კანდიდატები უნდა დარწმუნდნენ, რომ შეუძლიათ კალკულატორის სწრაფად და სწორად გამოყენება და სწორი პასუხების მიღება გამოთვლებში. არცთუ ისე იშვიათად, კანდიდატების ნაწერიდან ჩანს, რომ ფორმულაში სწორი მონაცემები გამოიყენეს, მაგრამ არასწორი პასუხები გამოითვალეს.

კანდიდატებმა ძალიან დიდი დრო არ უნდა დახარჯონ მხოლოდ აუცილებელი თემების შესწავლაზე, ვინაიდან თქვენ უმაღლესი დონის ფინანსური მართვის გამოცდას ჩააბარებთ, თქვენი თეორიული ცოდნის გამოყენებით კითხვაში აღწერილი სცენარების მიმართ და არა უბრალოდ საკითხების მექანიკური შესწავლით. აქედან გამომდინარე, კანდიდატებმა, შეძლებისდაგვარად, ბევრი უნდა ივარჯიშონ გასული პერიოდების საგამოცდო კითხვებზე, რადგან მხოლოდ ასე შეძლებენ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების დაუფლებას. თავდაპირველად ამის გაკეთება რთული იქნება, ვინაიდან ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემას (განსაკუთრებით „ა“ განყოფილების კითხვებს) რამდენიმე სხვადასხვა თემიდან დასჭირდება საკითხების ცოდნა, მაგრამ კანდიდატებმა სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ და გააგრძელონ ასე მუშაობა, რადგან სწორედ ეს არის მეთოდი (კითხვების დასმა), რომლის მეშვეობით შეძლებენ გამოცდის ჩაბარებას.

თავდაპირველად, როდესაც კითხვებზე ვარჯიშს დაიწყებენ, კანდიდატებმა შეიძლება აღმოაჩინონ, რომ დასჭირდებათ მეცადინეობის დროს ჩამოწერილი მოკლე შენიშვნების ან სახელმძღვანელოების დახმარება, ან პასუხში ჩახედვაც კი იმისათვის, რომ სწორი მიმართულებით წაიყვანონ პასუხი. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატებმა ისწავლონ კითხვებზე დამოუკიდებლად პასუხის გაცემა და არ გადაიქცნენ გამომცდელის მიერ მომზადებული პასუხების „აუდიტის“ ჩამტარებელ ექსპერტებად. მე არასდროს მინახავს საგამოცდო კითხვა, სადაც კანდიდატებს მოცემული ექნებოდათ პასუხი და მოსთხოვდნენ მის შემოწმებას!

კითხვებზე ვარჯიშის დროს კანდიდატებმა უნდა ისწავლონ გაანგარიშებებში დამრგვალების გამოყენება, ვინაიდან ამით დროს დაზოგავენ. ასევე, უნდა ისწავლონ ლაკონური და შესაფერისი პასუხების წერა. კანდიდატები, რომლებიც ყველა კითხვას პასუხობენ, მაგრამ მათი პასუხები უფრო მოკლეა, ვიდრე სახელმძღვანელოში ან სავარჯიშოების კრებულში მოცემული პასუხები, სავარაუდოდ, უფრო მოსალოდნელია, რომ ჩააბარებენ გამოცდას, ვიდრე ის კანდიდატები, რომლებიც ვრცელ პასუხებს წერენ მხოლოდ რამდენიმე კითხვაზე. ანალოგიურად, დამრგვალებული ციფრების გამოყენებისას ციფრები უფრო პატარაა და, მაშასადამე, გამოთვლებშიც შეცდომები ნაკლებად არის მოსალოდნელი. გარდა ამისა, კანდიდატებმა უნდა ისწავლონ და შეეძლოთ ზოგიერთი ტიპის გამოთვლების მოკლე ახსნა, როდესაც ეს აუცილებელია. ძალიან ხშირად შემფასებლებს ხვდებათ პასუხები, სადაც დიდი გამოთვლებია ჩატარებული, მაგრამ ეს გამოთვლები არანაირად არ შეესაბამება პასუხის მოდელს, მაშასადამე, არასწორია. თუ კანდიდატს არ ექნება ახსნილი, რისი გაკეთება სურდა ან რას ფიქრობდა, ძალიან ძნელი იქნება ასეთ პასუხზე ქულების მინიჭება. თუ რაღაც მაინც იქნება ახსნილი და ფინანსური მართვის სწორი მეთოდები ექნება კანდიდატს გამოყენებული, ასეთ პასუხს შეიძლება გარკვეული ქულა მიენიჭოს.



რაც შეეხება კითხვების შემადგენელ მსჯელობაზე დაფუძნებულ ელემენტებს, კანდიდატებმა უნდა ისწავლონ ძირითადი მომენტების ლაკონური წინადადებებით აღწერა. კანდიდატებმა უნდა სცადონ იმდენად ბევრი განსხვავებული მოსაზრების დაწერა, რამდენი ქულაც არის ხელმისაწვდომი. ანალოგიურად, ყოველთვის უფრო მეტი ქულა მიენიჭება ისეთ მოსაზრებებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება სცენართან და რომლებიც ნამდვილად ზრდის ღირებულებას. ცხადია, ისეთი მოსაზრებების სია, რომელიც დაკავშირებული არ არის სცენართან, ნაკლებად სარწმუნოა, რომ გამოცდის ჩასაბარებლად საკმარის ქულებს მოგიტანთ. აზრი არა აქვს ერთი და იმავე მოსაზრების გამეორებას, ან უფრო დეტალურად ახსნას. თუმცა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წარმოაჩინოთ თქვენი ცოდნის სიღრმე.

ამ საგნის გამოცდაზე ხელმისაწვდომი იქნება 4 ქულა პროფესიონალიზმისთვის. როგორც წესი, „ა“ განყოფილების კითხვა თქვენგან მოითხოვს ამა თუ იმ ტიპის ანგარიშის პროექტის დაწერას. კანდიდატები უნდა დარწმუნდნენ, რომ ისწავლეს, როგორ მოიპოვონ ამგვარი ქულები, ვინაიდან ამ ქულებმა შეიძლება გადანაწილდეს გამოცდის ჩაბარება-არჩაბარების საკითხი. თუ დაფუძნებით, რომ ანგარიშის მომზადება მოითხოვება, კანდიდატებმა უნდა:

- აჩვენონ აუცილებელი გაანგარიშებების ძირითადი ნაწილი დანართში. ძალიან ხშირად ანგარიშის დაწერამდე აუცილებელი იქნება გარკვეული გაანგარიშების ჩატარება. მაშასადამე, გამომცდელი ძალიან კმაყოფილი დარჩება, თუ პირველად დანართს დაინახავს, რადგან მას ესმის, რა შეზღუდვები აქვს თქვენი პასუხების რვეულს;
- ახალი გვერდიდან დაიწყეთ ანგარიშის წერა, რადგან ასე უფრო პროფესიონალური იქნება და ამასთან იმასაც ნიშნავს, რომ თქვენ გექნებათ გარკვეული თავისუფალი ადგილი დანართში, თუკი უცებ გადანაწილდებით, რომ დამატებითი გაანგარიშებები გჭირდებათ;
- ანგარიშს მიეცით მოკლე, მაგრამ ხარისხიანი სათაური, საიდანაც გამოჩნდება, ვისთვის არის განკუთვნილი ანგარიში და ვინ მოამზადა. ასევე დაუსვით თარიღი და მიუთითეთ საკითხი, რომელსაც ანგარიში ეხება;
- დაიწყეთ მოკლე შესავლით. ეცადეთ შესავალი მოკლე იყოს, რადგან გამომცდელმა იცის, რას ეხება ანგარიში!
- პასუხი სტრუქტურულად წარმოადგინეთ. გამოიყენეთ ქვესათაურები, რომლებიც მიუთითებს, კითხვის რომელ მოთხოვნას პასუხობთ ამ კონკრეტულ შემთხვევაში; ეცადეთ, წინადადებები და პუნქტები ლაკონურად იყოს ჩამოყალიბებული და ადვილად წასაკითხი იყოს;
- პუნქტებს შორის ცარიელი სტრიქონები დატოვეთ, რადგან ეს გაცილებით უფრო პროფესიონალურია და შემფასებელსაც გაუადვილდება წაკითხვა;
- ანგარიში დაასრულეთ მოკლე დასკვნით;
- ეცადეთ, თქვენი ხელნაწერი ადვილად წასაკითხი იყოს.

თქვენი უნარების განვითარებასთან ერთად, თანდათან უნდა გაიზაფოთ კითხვებზე ვარჯიშში დროის გათვალისწინებით. თუ გამოცდამდე, ვარჯიშის დროს, ყოველთვის დამატებით დროს დახარჯავთ, ვერ შეძლებთ გამოცდის (საგამოცდო კითხვების) დასრულებას დადგენილ დროში.

კითხვებზე ამგვარად ვარჯიშით კანდიდატები ისწავლიან არა მარტო იმას, როგორ უნდა გამოიყენონ თავიანთი ცოდნა პრაქტიკაში, არამედ წარმოდგენას შეიქმნიან გამომცდელის ბუნებაზეც – რას ითხოვს ის კანდიდატებისგან. ცხადია, კანდიდატებმა უნდა ისწავლონ კითხვების გულდასმით, ყურადღებით წაკითხვა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება მაშინ, როდესაც კითხვა ეხება სცენარის რთულ სფეროს, რადგან კითხვის მოთხოვნა ხშირად მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ უნდა

უპასუხოთ კითხვას. ჩემი რჩევა იქნება ასევე, კანდიდატები გაეცნონ გამომცდელის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ ანგარიშებს, რომლებიც ეხება გასული პერიოდების გამოცდებს, ასევე სტატიებს, რომლებიც ეხება გამოცდის ჩაბარების ტექნიკას უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულისთვის. ამით თქვენ უფრო მეტს გაიგებთ იმის შესახებ, რას ელოდება კანდიდატებისგან გამომცდელი, რა მოსწონს მას და რა არ მოსწონს.

ამავე დროს, გარდა იმისა, რომ უნდა შეისწავლონ აუცილებელი თემები და ივარჯიშონ საგამოცდო კითხვებზე, კანდიდატები უნდა ეცნობოდნენ ფინანსურ პრესას და ტექნიკურ სტატიებს, რომლებიც ეხება უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამის ამა თუ იმ თემას. საგნის მიმართ ასეთი ინტერესის გამოჩენამ, შეიძლება გამოცდაზე რეალური დივიდენდები მოგიტანოთ, თუ ინფორმირებულები იქნებით რეალურ მსოფლიოში განხორციელებული კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის შემთხვევების შესახებ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებით გამოცდაზე, ვინაიდან თქვენ უფრო ადვილად გაერკვევით სცენარში, რომელიც ეხება კომპანიების შერწყმასა და შესყიდვას და ასევე უფრო უკეთ შეძლებთ სცენართან დაკავშირებით იდეების/მოსაზრებების მოძიებას.

გამოცდის მოახლოებასთან ერთად, კანდიდატები თანდათან თავს უნდა არიდებდნენ კითხვების ამორჩევას. გამომცდელი დაინტერესებულია იმით, რომ გამოცდა ვერ ჩააბარონ ისეთმა კანდიდატებმა, რომლებსაც მხოლოდ რამდენიმე შერჩეული თემა აქვთ მომზადებული და ამიტომ საგამოცდო მასალასაც ამის შესაბამისად ამზადებს.

დასასრულ, სანამ გამოცდაზე წავლენ, კანდიდატებმა უნდა გადანყვიტონ, გამოცდის ჩაბარებისთვის რომელ მიდგომას გამოიყენებენ. რამდენი დრო უნდა დახარჯონ კითხვის წაკითხვაზე და პასუხის დაგეგმვაზე? როგორი თანმიმდევრობით ეცდებიან კითხვებზე პასუხის გაცემას? მე მიმაჩნია, რომ გამოცდის ჩაბარების მიდგომის შერჩევა ძალიან ინდივიდუალური საკითხია, ამიტომ ყველამ თვითონ უნდა გადანყვიტოს, რომელი მიდგომა შეეფერებათ მათ ყველაზე უკეთ, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე და წარსული გამოცდილების გათვალისწინებით. თუმცა, მე მაინც არ გირჩევდით, „ა“ განყოფილების კითხვის ბოლოსთვის მოტოვებას, ვინაიდან ამ კითხვაში გონივრული შეფასების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ გამოცდა ჩააბაროთ.

### რა უნდა გააკეთოთ უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე

- **ნუ ჩავარდებით პანიკაში** – მე ხშირად ვფიქრობ, რომ კანდიდატებს, რომლებსაც აქვთ გამოცდის ჩასაბარებლად საჭირო ცოდნა, მაგრამ ვერ აბარებენ გამოცდას, იმიტომ ემართებათ ასე, რომ გამოცდაზე შიში და ნერვიულობა იპყრობთ. მართალია, შეიძლება ძნელი იყოს ამის თავიდან აცილება, მაგრამ თუ წინასწარ გეცოდინებათ გამოცდის ჩაბარების მიდგომა და მის შესაბამისად იმოქმედებთ გამოცდაზე, ეს დაგეხმარებათ პანიკის თავიდან აცილებაში. ამასთან, გახსოვდეთ, რომ, მართალია, გამოცდის მიზანი თქვენი ცოდნის შემოწმებაა და სცენარი შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს იმ კითხვებისგან, რომელზეც თქვენ ადრე ივარჯიშეთ, მაგრამ პასუხის გაცემისას მაინც ის ინსტრუმენტები/მიდგომა უნდა გამოიყენოთ, რომელიც დაისწავლეთ.
- **გულმოდგინეთ ნაიკითხეთ კითხვა და კარგად გაიაზრეთ, სანამ პასუხის გაცემას დაიწყებთ** – ძალიან ხშირად ჩანს, რომ კანდიდატები ძვირფას დროს ფლანგავენ, რადგან არასწორად იწყებენ პასუხის გაცემას ერთ ან რამდენიმე კითხვაზე.
- **ნუ დანებდებით, არაფერი გამოტოვოთ.** გაანგარიშებებზე დაფუძნებულ კითხვებში ყოველთვის არის ხელმისაწვდომი ადვილად მოსაპოვებელი ქულები და თუ თქვენ გამოტოვებთ მათ, დაკარგავთ ადვილად მოსაპოვებელ ქულებს. მაგალითად, წმინდა მიმდინარე ღირებულების შესახებ დასმულ კითხვაში დარწმუნდით, რომ თქვენ მიიღებთ ქულებს წმინდა ფულადი ნაკადების დისკონტირებაზე, მათ დაჯამებასა და ძირითადი დასკვნის გამოტანაში იმის თაობაზე, მისაღებია თუ არა მოცემული პროექტი კომპანიისთვის. თუ აუცილებელია, გააკეთეთ გარკვეული დამკვრები. თუ გჭირდებათ კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების გამოთვლა, მაგრამ ვერ იხსენებთ, როგორ უნდა გამოითვალოთ, უბრალოდ უნდა იგულისხმოთ რაღაც

კეთილგონივრული ციფრი. მართალია, გარკვეულ ქულებს დაკარგავთ, მაგრამ, სულ მცირე, კითხვაზე მუშაობის გაგრძელებას მაინც შეძლებთ. მსჯელობაზე დაფუძნებულ კითხვებში, თუნდაც სიტუაცია ისეთი იყოს, რომელიც ადრე არასდროს გაგიაზრებიათ, მაინც დაფიქრდით, რას იტყვით, რა იქნებოდა სასარგებლო ან რა გაზრდიდა ღირებულებას.

- **შეინარჩუნეთ პასუხის კარგი სტრუქტურა.** პასუხები წარმოადგინეთ მაქსიმალურად გარკვევით/ზუსტად, გამოიყენეთ მოკლე და საზრიანი წინადადებები და პუნქტები.
- **დრო** – დარწმუნდით, რომ საკმარისი დრო გაანაწილეთ თითოეულ კითხვაზე. თუ ერთნაირად არ ეცდებით სამივე კითხვაზე პასუხის გაცემას, სწრაფად შემცირდება გამოცდის ჩაბარების თქვენი შანსები.
- **დამრგვალება** – გამოიყენეთ დამრგვალება, რათა გაამარტივოთ თქვენი გაანგარიშებები და დაზოგოთ დრო. ანალოგიურად, თუ დროს დაზოგავთ იმითიც, რომ არ დანერთ თვითონ ფორმულებს, რომლებიც არ გჭირდებათ, მაგრამ გამოიყენებთ გაანგარიშებებში, მაშინ ქულას მიიღებთ ფორმულის გამოყენებაში!
- **ქულები პროფესიონალიზმისთვის** – დარწმუნდით, რომ მიიღებთ პროფესიონალიზმისთვის განკუთვნილი ქულების უმეტესობას.

## დასკვნა

სამწუხაროდ, უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულმა მოიპოვა ისეთი რეპუტაცია, რომ ძალიან ძნელია ამ საგნის ჩაბარება. მართალია ესეც ცოდნის შესამოწმებელი საგანია, მაგრამ კანდიდატებმა, რომლებიც კარგად არიან მომზადებულები და გამოცდის ჩასაბარებლად შესაფერის მიდგომას იყენებენ, სავარაუდოდ, უნდა შეძლონ გამოცდის ჩაბარება. კანდიდატები უნდა იყვნენ თავის თავში დარწმუნებულები და გამოცდა უბრალოდ უნდა მიიჩნიონ იმ ცოდნისა და უნარების დემონსტრირების შესაძლებლობად, რომლებიც მათ შეიძინეს.

## პროექტის დურაცია

პროექტის დურაციის გამოთვლით ფინანსური მენეჯერი შეძლებს იმის განსაზღვრას, როდის შეძლებს პროექტი ინვესტიციის ღირებულების დაახლოებით 50%-ის ამოგებას.

პროექტის დურაცია გამოითვლება პროექტის თითოეული წლის შენონვით, იმ წელს ამოგებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების პროცენტულ წილზე.

## მაგალითი

შპს „იმედი“ განიხილავს პროექტს, რომელიც საწყის ინვესტიციად \$240,000-ის დაბანდებას მოითხოვს. ცხრილში მოცემულია პროექტის საპროგნოზო ფულადი ნაკადები, რომელიც დისკონტირებულია „იმედის“ კაპიტალის ღირებულებით, 10%-ით:

| წელი                 | 0         | 1       | 2      | 3      | 4      | 5      |
|----------------------|-----------|---------|--------|--------|--------|--------|
| მიმდინარე ღირებულება | (240,000) | 105,084 | 86,548 | 65,220 | 30,476 | 12,560 |

## მოგეთხოვებათ:

გამოთვალეთ პროექტის დურაცია.

## პასუხი

### პირველი ნაბიჯი

მაგალითის ამოხსნა დაიწყეთ პროექტის მიმდინარეობისას არსებული მთლიანი ფულადი ნაკადების გამოთვლით, რისთვისაც პირველიდან მეხუთე წლამდე არსებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებები დააჯამეთ.

სულ ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება = \$299,888

### მეორე ნაბიჯი

გამოთვალეთ თითოეული მიმდინარე ღირებულების პროცენტული წილი პროექტის მთლიან ფულად ნაკადებში, ანუ \$299,888-ში.

| წელი                                          | 1       | 2      | 3      | 4      | 5      |
|-----------------------------------------------|---------|--------|--------|--------|--------|
| მიმდინარე ღირებულება                          | 105,084 | 86,548 | 65,220 | 30,476 | 12,560 |
| მთლიანი მიმდინარე ღირებულების პროცენტული წილი | 35%     | 29%    | 22%    | 10%    | 4%     |

### მესამე ნაბიჯი

გამოთვალეთ პროექტის დურაცია, რომელიც წარმოადგენს შესაბამის პროცენტულ წილზე გამრავლებულ წლების რიცხვის ჯამს.

პროექტის დურაცია =  $(1 \times 0.35) + (2 \times 0.29) + (3 \times 0.22) + (4 \times 0.10) + (5 \times 0.04) = 2.19$

**დასკვნა.** მიღებული შედეგი ნიშნავს, რომ პროექტის მიმდინარე ღირებულების ნახევრის ამოგებას დაახლოებით 2.19 წელი სჭირდება.

## ზოგიერთი რეკომენდაცია ბიზნესკომპანიებს – აუდიტორული, ბუღალტრული და სხვა მომსახურების კონტორარის ადეკვატურობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, მათ შორის აღდგენის, ფინანსური ანგარიშგებისა და საგადასახადო ანგარიშგების შედგენის, ფინანსური და საგადასახადო აუდიტის, აუდიტორული საკონსულტაციო მომსახურების მიღების მსურველმა დამკვეთმა ბიზნესკომპანიამ ამ მომსახურებათა გამწვევი ბუღალტრული/აუდიტური კომპანიისაგან შეთავაზებული მომსახურების ღირებულების სიდიდის განხილვისას მიზანშეწონილია გაითვალისწინოს, რომ მაღალი ხარისხის, კვალიფიციური და პასუხისმგებელიანი მომსახურების განწვევა დემპინგურ ფასად შეუძლებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

1. 2016 წელს მიღებულმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებმა და 2020 წელს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა მთლიანად შეცვალა და გაამკაცრა რეგულაციები ამ სფეროში, არა მარტო ბიზნესკომპანიების, არამედ აუდიტორული კომპანიების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული კომპანიების მიმართ, განსაკუთრებით მომსახურების ხარისხზე პასუხისმგებლობის ნაწილში.
2. აღნიშნულმა მოთხოვნებმა განაპირობა:
  - ა) აუდიტორული კომპანიების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ კომპანიებს წარმოეშვათ აუდიტორული და სხვა მომსახურების ხარისხის კონტროლის მონიტორინგის გავლისა და მათი პროფესიული საქმიანობის დაზღვევის, მომსახურების განწვევისათვის აუცილებელი პერსონალის მუდმივ რეჟიმში სავალდებულო ტრენინგების, აგრეთვე სხვადასხვა სპეციალიზაციისა და თემატიკის მაღალკვალიფიციური ტრენინგების გავლის აუცილებლობა; აუდიტორებსა და პროფესიონალ ბუღალტრებს წარმოეშვათ რეგისტრირებულ პროფესიულ ორგანიზაციის წევრობის ვალდებულება და ამ აქტივობებზე (სავალდებულო და სხვა ტრენინგების საკმაოდ მაღალი საფასურის, სადაზღვევო პრემიის ყოველთვიურად გადახდისა და სანწევრობის გადახდის ვალდებულება) შესაბამისი ხარჯების განწვევის აუცილებლობა;
  - ბ) კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, წარმოიშვა ბუღალტრული წარმოებისა და აუდიტორული შემონმგებისათვის აუცილებელი განახლებული და დაინსტალირებული, მუდმივად ქსელში ჩართული კომპიუტერული პროგრამების (ბაზარზე მოქმედი ყველა პროგრამის) შეძენის, შესაბამისი თანამშრომლების დატრენინგებისათვის ხარჯების განწვევის აუცილებლობა;
  - გ) მაღალი ტევადობის, სიჩქარისა და ხარისხის ინტერნეტმომსახურების მიღებისათვის შესაბამისი ხარჯების განწვევის აუცილებლობა;
  - დ) პრინციპულად შეცვლილიყო ბუღალტრული წარმოების, ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების შედგენის, აუდიტორული და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებათა განხორციელების ტექნოლოგია და პროცესი დაექვემდებარა



რა ზედამხედველობის სამსახურის მონიტორინგს, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა მომსახურების შრომატევადობა და გაცილებით მაღალი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე კადრზე მოთხოვნა. დადგა აუდიტორულ კომპანიაში მენეჯმენტის მართვის სხვა, გაცილებით უკეთ ორგანიზებული კორპორაციული კულტურის ფორმებისა და მეთოდების, მონიტორინგის განხორციელების სპეციფიკური მანამდე გამოყენებაში არარსებული ინსტიტუციონალურად გამართული ტაქტიკისა და კულტურის დანერგვის, საამისოდ აუცილებელი შესაბამისი თანამშრომლებისათვის მუდმივმოქმედი ტრენინგების ორგანიზების აუცილებლობა;

- ე) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა გაააქტიურა რისკზე დაფუძნებული აუდიტორული კომპანიების საქმიანობაზე მონიტორინგის პროცედურები, რომელმაც მოითხოვა აუდიტორული კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან მომსახურების მთლიან პროცესზე კონტროლის მუდმივი რეჟიმის გააქტიურება, რომელმაც გაზარდა მომსახურების შრომატევადობაც და წარმოშვა შესაბამისი საკადრო პერსონალის მომზადება/გადამზადების, შერჩევის, შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილების ბუღალტრებისა და აუდიტორების, მათი ასისტენტების დამატებით მონვევის აუცილებლობა;
3. მომსახურების მიღების სურვილის მქონე ბიზნესკომპანიამ აუდიტორული ფირმის მიერ შეთავაზებული მომსახურების საკომპენსაციო თანხის (ჰონორარის) განხილვისას, გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა გაითვალისწინოს, რომ:
  - აუდიტორული კომპანიის (დღგ-ის გადამხდელის) საგადასახადო ტვირთი (მოგების გადასახადის გადახდამდე) შეადგენს არანაკლებ 34 %-ს (მაშინ, როცა ჩასათვლელი თანხები მიზერული სიდიდისაა). გარდა ამისა, გამკაცრდა რა მოთხოვნები ამ მომსახურების ხარისხზე, ასევე გაიზარდა აუდიტორული კომპანიის პასუხისმგებლობა შესრულებულ მომსახურებაზე, წარმოიშვა ადეკვატური კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ბუღალტრებისა და აუდიტორების, მათი ასისტენტებისათვის შრომის ადეკვატური ანაზღაურების შეთავაზებისა და დანესების, საამისოდ აუცილებელი დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიების, შესაბამისად გასაწევ მომსახურებებზე საფასო პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობა;
  - საკმაოდ მნიშვნელოვანია (გაიზარდა) აუდიტორული კომპანიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შემდეგი ხარჯები: საოფისე ფართობის იჯარაზე, კომუნალური მომსახურების მიღებაზე, დაცვისა და უსაფრთხოების მომსახურებაზე, პლატფორმა „ზუმის“ მომსახურების მიღებაზე; სარეკლამო მომსახურებაზე; სპეციალური ლიტერატურის (მათ შორის ელექტრონული ვერსიების) და ჟურნალების გამოწერაზე; კომპანიის განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაზე და სხვ.;
  - ახალი კანონის მოთხოვნების მიხედვით, აუდიტორულ კომპანიას, ეზღუდება დემპინგურ ფასად მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა, რადგან პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მიხედვით მიიჩნევა, რომ ის პირობებს ქმნის აუდიტორული კომპანიის საქმიანობის დამოუკიდებლობის ხარისხის მნიშვნელოვნად შემცირების, მომსახურების ზერელედ და ფორმალურად განხორციელებისათვის, აგრეთვე პროფესიული მოსაზრების თავისუფლად

გამოხატვის შეზღუდვისათვის. ეს კი წარმოშობს სხვადასხვა მიმართულებისა და ხასიათის რისკებს, რომელიც წარმოადგენს აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან შესაბამისი რეაგირების საფუძველს, აქედან გამომდინარე შედეგებით (გაფრთხილება, ფულადი ჯარიმა, აუდიტორული კომპანიების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღება). დემპინგური ფასით მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისას, აუდიტორულ კომპანიას, დიდი ალბათობით, მოუხდება მტკიცებულებებისა და დასაბუთებების წარდგენა აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის, თუ რატომ გაფორმდა ხელშეკრულება ასეთი პირობებით, მით უფრო მაშინ, თუ აუდიტორულ კომპანიას მიმდინარე ხარჯების დასაფარავად და განვითარებისათვის არ გააჩნია თავისუფალი რესურსები, მით უფრო თუ აუდიტორული კომპანია ბარალიანია, არა აქვს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უნარი და შესაძლებლობა;

გემოაღნიშნული გარემოებების გამო, აუდიტორულ კომპანიებს წარმოეშვათ მომსახურებასთან დაკავშირებულ თითოეულ პროექტზე მომსახურების ხარჯთაღრიცხვისა(კალკულაციის) და დროის ბიუჯეტის, პროექტში მონაწილე ადამიანური რესურსების რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების განსაზღვრა/შერჩევის აუცილებლობა იმ მიზნით, რათა უზრუნველყოს აუდიტორული კომპანიის ნორმალურ და ადეკვატურ პირობებში ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელი შემოსავლები, მათ შორის კანონის გემოაღნიშნული მოთხოვნების (აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ ადეკვატური სისტემები და პროცედურები უნდა გამოიყენოს თავისი საქმიანობის უწყვეტობისა და შეუფერხებლობის უზრუნველსაყოფად) შესრულების შესაძლებლობა.

4. ვფიქრობ, ბიზნესსტრუქტურების მესაკუთრეებისათვის საინტერესო იქნება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის საიტზე გამოქვეყნებული სახელმძღვანელო ([https://saras.gov.ge/Content/files/Auditis\\_xarisxi\\_dereqtoris\\_saxelmdzgvanelo\\_2019.04.30.pdf](https://saras.gov.ge/Content/files/Auditis_xarisxi_dereqtoris_saxelmdzgvanelo_2019.04.30.pdf)): აუდიტის ხარისხი. დირექტორის სახელმძღვანელო, რომელიც იძლევა პასუხს კითხვაზე – როგორ შევარჩიოთ დამოუკიდებელი აუდიტორი და ამასთანავე, პასუხს გვაძლევს ყველა იმ კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება ბიზნესკომპანიის მიერ დასახული მიზნების მიღწევა აუდიტორთა შრომის, ინტელექტისა და პროფესიული ეთიკური ქცევის მოტივების უფრო რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების გზით. მასში, სხვა საკითხებთან ერთად, საკმაოდ საინტერესოაა წარმოდგენილი რეკომენდაციები, აუდიტორული კომპანიის მომსახურების ჰონორართან დაკავშირებით.
5. გარდა ამისა, ვფიქრობ, განსაკუთრებით საყურადღებოა აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველი ორგანოს – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სწორედ აუდიტორული მომსახურების საფასურთან დაკავშირებით 2021 წლის 16 მარტს გამოცემული რეკომენდაცია (იხ. <https://saras.gov.ge/ka/News/Detail/1470>).
6. ბიზნესკომპანიის მხრიდან აუდიტორული კომპანიის მიერ შეთავაზებულ მომსახურების ჰონორარის სიდიდის განხილვის შედეგად დემპინგური ფასის დეკლარირება,

ჩემი აზრით, არაეთიკურია და შეურაცხყოფელიც. ასეთ შემთხვევაში, რეკომენდებულია, ჩვენმა კოლეგებმა უარი თქვან (და, ვფიქრობ, ასეც იქცევიან) მომსახურების მიწოდებაზე – არ უნდა კვებონ თვითშეფასების დეფიციტი იმის შიშით, რომ დაკარგავენ კლიენტს. ვფიქრობ, გასათვალისწინებელია, რომ ახალი კანონმდებლობის მოთხოვნებმა, საგადასახადო კოდექსში განხორციელებულმა საკმაოდ ფართო ფორმატის არსებითმა ცვლილებებმა გაზარდა აუდიტორული კომპანიების მიერ გასაწევი მომსახურების შრომატევადობა, პასუხისმგებლობაც, იგი იქცა რა წარმატებული ბიზნესის სასიცოცხლო ნაწილად, ასეთ პირობებში მომსახურების დემპინგურ ფასად მომსახურებაზე დათანხმება არაეთიკურია და მიზანშეწონილიც იმის გამო, რომ ასეთი ქმედება წარმოშობს მომსახურებაში მყოფი სანარმოოს სუბსიდირებას (?!), გაწეულ მომსახურებაში აუდიტორული კომპანიის შრომითი რესურსების (დრო, ადამიანური რესურსები, მათი ადეკვატური ანაზღაურების ნაწილი) განივთების გზით.

7. ჩემი მოსაზრებით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროპის აუდიტორულ ბაზარზე (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია) ერთი საათის ხანგრძლივობის აუდიტორული მომსახურების ჰონორარი საშუალოდ შეადგენს 200\$-ს. ეს, აგრეთვე ის გარემოებები, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, იმას ნიშნავს, რომ ბიზნესკომპანიები აღნიშნული მომსახურების მიღების განზრახვისას დღეს მაინც (ანუ მაშინ, როცა ერთდროულად ამდენი ცვლილებაა განხორციელებული), უნდა გათავისუფლდნენ ძველი სტერეოტიპებისაგან.

**მურად ნარსია,**  
სერტიფიცირებული აუდიტორი,  
ბაფ-ის გამგეობის წევრი,  
ეკონომიკის დოქტორი

## COVID-19-ის ერთი წელი – ACCA-ს პრეზიდენტისა და დირექტორის ერთობლივი წერილი



გთავაზობთ ACCA-ის პრეზიდენტის, **მარკ მილარისა** და დირექტორის, **ჰელენ ბრენდის** ერთობლივ წერილს:

უკვე წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 საზოგადოებრივი ჯანდაცვის გადაუდებელ საფრთხედ გამოაცხადა. იმედი გვაქვს, რომ უსაფრთხოდ დარჩებით პანდემიის მიერ გამოწვეულ ტურბულენტობასა და გაურკვევლობაში.

ამ ერთი წლის აღსანიშნავად, გვსურს მოგაწოდოთ ინფორმაცია, ACCA-ის საქმიანობის შესახებ დღევანდელი მდგომარეობით. იმის თაობაზე, თუ როგორ ვპასუხობდით თქვენს უკუკავშირს და რას ვგეგმავთ სამომავლოდ.

თავდაპირველად, გვსურს მადლობა გადაგიხადოთ გამძლეობისა და პროფესიონალიზმისთვის, რომელიც გამოიჩინეთ გასული წლის განმავლობაში. თქვენ თამაშობდით ცენტრალურ როლს და ესმარებოდით ბიზნესებსა და სხვა ორგანიზაციებს სირთულეებს შორის გზის გაკვალვაში.

ბუღალტრის პროფესია კვლავაც უმთავრეს როლს თამაშობს საზოგადოების ფართო გამოწვევებთან გამკლავებაში. მადლობას გიხდით ყველას, ვინც ჩართული ხართ ACCA-ის აქტივობებში აღნიშნული მიმარ-

თულებებით, საზოგადოებრივი სიკეთისა და პოზიტიური ცვლილებებისთვის.

საუბრების, შეხვედრების, ღონისძიებებისა და გამოკითხვების გზით, ჩვენ ბევრი თქვენგანისგან მივიღეთ ინფორმაცია ახალ გარემოებებსა და გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც აღმოჩნდით. ეს ფასდაუდებელი იყო ჩვენთვის და ძალიან დაგვეხმარა თქვენი საჭიროებების გაგებაში იმისათვის, რომ ვიყოთ პარტნიორი, რომელიც ზრუნავს თქვენს ინტერესებზე.

### კეთილდღეობისა და პრაქტიკოსთა ჰაბები

COVID-19-ის ჰაბში, რომელიც 2020 წლის მარტში გაეშვა, ჩვენ თავი მოვუყარეთ რესურსებს იმ მრავალი საკითხის შესახებ, რომელიც პანდემიამ გამოიწვია. ეს მოიცავს კეთილდღეობასა და მუშაობის ახალ გზებს. თქვენი უკუკავშირის პასუხად, პერმანენტული კეთილდღეობის ჰაბი დავამატეთ ორგანიზაციის ვებგვერდზე.

პრაქტიკოსი წევრები ამბობდნენ, რომ მათ სჭირდებათ უფრო სიღრმისეული მხარდაჭერა, ამიტომ შევქმენით „პრაქტიკოსთა“ ჰაბი, რომელიც პრაქტიკოსებს სთავაზობს რჩევებს და საშუალებას აძლევს მცირე და საშუალო ფირმების საზოგადოებას დაუკავშირდნენ და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება.

## განგრძობითი პროფესიული განვითარება

თქვენი უკუკავშირი დაგვეხმარა გაგვე-  
ახლებინა ჩვენი შეთავაზება ამ მიმართუ-  
ლებით. თქვენ გვითხარით, რომ სწავლის  
პროცესის ადაპტირებას ახდენდით ონლაინ  
კურსების გამოყენებით. ამჟამად ჩვენ  
გვაქვს 3,000-ზე მეტი საინფორმაციო რე-  
სურსი განგრძობითი პროფესიული განვი-  
თარებისთვის, რათა დაგეხმაროთ თქვენი  
კარიერული პოტენციალის რეალიზებაში.

## დასაქმება

ჩვენი დასაქმების პორტალი უმთავრე-  
სი რესურსია ამ მიმართულებით. გარდა  
200,000-მდე ყოველთვიური ვაკანსიისა, ის  
ასევე მოიცავს უამრავ რესურსს თქვენს  
დასახმარებლად. მათ შორისაა პრაქტიკუ-  
ლი კარიერული მხარდაჭერის ვებინარები  
და ვირტუალური კარიერული ბაზრობები,  
რომელიც პირველად ირლანდიაში გაიმარ-  
თა, ხოლო შემდეგ მსოფლიოს 13 გეოგ-  
რაფიულ ერთეულში განმეორდა. ჩვენ ამ  
მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას  
2021 წელსაც, ამიტომ ელოდეთ სიახლეებს.

## დაკავშირებული საზოგადოების მშენებლობა

ჩვენ ყველას მოგვინია მეტად დამოკიდე-  
ბული ვყოფილიყავით კავშირის ციფრულ

საშუალებებზე. ამის ერთ-ერთი დადებითი  
მხარე ის გახლავთ, რომ შევძელით უფრო  
მეტი თქვენგანის ნახვა ისეთ ღონისძი-  
ებებზე, როგორებიც იყო ვირტუალური  
ყოველწლიური გენერალური შეხვედრა და  
ვირტუალური საჯარო სექტორის კონფე-  
რენცია.

ჩვენ მოხარულები ვიყავით, გვეხილა მრავალი  
წევრი ამ ღონისძიებებზე, ასევე ვე-  
ბინარებსა და შეხვედრებზე ACCA-ის პრე-  
ზიდენტის მოადგილესა და ვიცე-პრეზი-  
დენტთან.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, COVID-19-ის  
კრიზისის პერიოდში მოგვეწოდებინა ისეთი  
ღონისძიებები, რომლებიც დააკავშირებდ-  
ნენ წევრებს როგორც ერთმანეთთან, ისე  
– ექსპერტებთან, რომლებიც დაგეხმარე-  
ბოდნენ გამოწვევებთან გამკლავებაში. ჩვენ  
ასევე ორიენტირებულნი ვიყავით ისეთ ღო-  
ნისძიებებზე, რომლებიც ერთმანეთთან და-  
აკავშირებდა მსგავსი ინტერესების მქონე  
წევრებს, რაც 2021 წელსაც გაგრძელდება.

გთხოვთ, დარჩით კავშირზე და დაგვეხმა-  
რეთ, 2021 წელსაც ხელი შეგიწყობთ თქვენ  
და მთლიანად პროფესიას.

წყარო: [accaglobal.com](https://accaglobal.com)

## IFRS-ის ფონდი ქმნის სამუშაო ჯგუფს მდგრადი განვითარების სტანდარტების შესათანხმებლად

IFRS-ის ფონდმა მარტის მიწურულს შექ-  
მნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ორიენტი-  
რებული იქნება მდგრადი განვითარების  
ანგარიშების გლობალური სტანდარტების  
ჰარმონიზაციაზე მდგრადობის საერთაშო-  
რისო სტანდარტების საბჭოს შექმნამდე,  
მოსამზადებელ პერიოდში.

ჯგუფს ექნება ერთგვარი ფორუმის სახე,  
სადაც სხვადასხვა სტანდარტებისა და  
ჩარჩოების შემქმნელი ორგანიზაციების  
ნარმომადგენლები შეძლებენ მათ მიერ  
გამოცემული სტანდარტების ჰარმონი-

ზაციას. ისინი ახალ საბჭოს ტექნიკურ  
რეკომენდაციებს შესთავაზებენ, როგორც  
კლიმატთან და სხვა მდგრადობასთან და-  
კავშირებულ საკითხებზე სტანდარტების  
მომზადების პოტენციურ საფუძველს.  
ჯგუფი ასევე მიმოიხილავს, თუ როგორ  
შეიძლება გადაეცეს ტექნიკური გამოც-  
დილება და ცოდნა ახალ საბჭოს IFRS-ის  
ფონდის მართვის ქვეშ ისე, რომ გაად-  
ვილდეს კონსოლიდაცია და შემცირდეს  
ფრაგმენტაცია მდგრადობის ანგარიშების  
სტანდარტებში.





საერთაშორისო ფინანსური მარეგულირებლები მოითხოვდნენ უფრო მეტ თანმიმდევრულობას სხვადასხვა გარემოს, სოციალურ და მართვის სტანდარტებს შორის. გასულ შემოდგომას სტანდარტების დამდგენმა ხუთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ისინი გეგმავენ თავისი სტანდარტებისა და ჩარჩოების ჰარმონიზაციას მეტი თანმიმდევრულობის მისაღწევად.

თუმცა, ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (SEC) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციამ (IFAC) მოითხოვეს უფრო პროაქტიული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სტანდარტების შეთანხმების მიმართულებით და IFRS-ის ფონდს უბიძგეს მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს შექმნისკენ.

IFRS-ის ფონდის წარმომადგენლებს აქვთ მოლოდინი, რომ ახალი საბჭოს მიერ გამოცემული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტები შექმნის ერთგვარ გლობალურ ბაზას. აღნიშნული გააუმჯობესებს სტანდარტების გამოყენების შედარებითობასა და თანმიმდევრულობას, ამავდროულად გაზრდის მოქნილობასა და კოორდინაციას მრავალმხრივ საანგარიშგებო მოთხოვნებს შორის.

კლიმატის ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ (CDSB) გაავრცელა განცხადება, რომელშიც ის სიხარულს გამოთქვამს სამუშაო ჯგუფის წევრობაზე.

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ IFRS შექმნის ისეთ მდგრადობის სტანდარტს, რომელიც ჩვენ

ხედვის ერთგვარი კულმინაცია იქნება,“ – განაცხადა CDSB-ის თავმჯდომარემ, **რიჩარდ სამანსმა**. „შესაბამისად, მოხარული ვართ, ვიყოთ იმ სამუშაო ჯგუფის ნაწილი, რომელიც ამ მცდელობისთვის მოამზადებს ტექნიკურ საფუძველს. ამისთვის ჩვენ გამოვიყენებთ CDSB-ის არსებულ ჩარჩოს, რომელსაც 500-ზე მეტი დიდი კომპანია იყენებს მსოფლიოში.“

გლობალური ანგარიშგების ინიციატივამ (GRI) ასევე გამოხატა მხარდაჭერა. „GRI მოხარულია, იყოს IFRS-ის სამუშაო ჯგუფის ნაწილი და მონაწილეობა მიიღოს ისეთი მდგრადობის ანგარიშგების შექმნაში, რომელიც ფოკუსირებული იქნება, აღწეროს კომპანიის გავლენა სამყაროზე.“ – განაცხადა GRI-ის თავმჯდომარემ **ერიკ ჰესპენჰეიდმა**. „ჩვენ ამ მიზნის მისაღწევად IFRS-თან, ევროკომისიასთან და სხვებთან თანამშრომლობას გავაგრძელებთ.“

SEC-ი, ახალი თავმჯდომარის, ელისონ ჰერენ ლის ხელმძღვანელობით აქტიურად მუშაობს და ლისტინგური კომპანიების მხრიდან მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას გარემო-სოციალურ ფაქტორებთან დაკავშირებული რისკების შესახებ. ორგანიზაციამ ახალი განყოფილება დაამატა თავის ვებგვერდზე, სადაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნდება. აღნიშნული ინფორმაციის მიმართ ინვესტორების გაზრდილი ინტერესის გამო, განყოფილება ორგანიზაციის საიტის მთავარ გვერდზე განთავსდება.

**წყარო:** [accountingtoday.com](http://accountingtoday.com)

ვებგვერდი, 26/02/2021  
სარეგისტრაციო კოდი  
200090000.22.033.017443

საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
ბრძანება №38  
2021 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

**„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების,  
სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული  
საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების  
გადახდევენების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების,  
სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“  
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევენების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და 35-ე მუხლის:

| 7  | დღგ, დარიცხული საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში                                                                                                                                                                                                                                            |  |  |  |
| 8  | დღგ, გადახდილი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161 <sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში                                                                                                                                                                                                                     |  |  |  |
| 9  | სულ                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |  |  |  |

დანართი „ბ“

ნაწილი I

დასაბეგრ ოპერაციებზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე)  
გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების)

| № | სერია | ნომერი | დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვე | მყიდველის/მიმღების ს/ნ | დღგ-ის თანხა                                                     |                                    | ანგარიშ-ფაქტურა, რომლის კორექტირებაც წარმოებს | მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი ანგარიშფაქტურა (მათ შორის, კორექტირების) |        |                          |
|---|-------|--------|----------------------------------------|------------------------|------------------------------------------------------------------|------------------------------------|-----------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|--------------------------|
|   |       |        |                                        |                        | გადასახდელი (მათ შორის) კორექტირების შედეგად დამატებით გადახდილი | კორექტირების შედეგად შესამცირებელი |                                               | სერია                                                                                                                 | ნომერი | საკომპენსაციო თანხის დღგ |
| 1 | 2     | 3      | 4                                      | 5                      | 6                                                                | 7                                  | 8                                             | 9                                                                                                                     | 10     | 11                       |
|   |       |        |                                        |                        |                                                                  |                                    |                                               |                                                                                                                       |        |                          |
|   |       |        |                                        |                        |                                                                  |                                    |                                               |                                                                                                                       |        |                          |
|   |       |        |                                        |                        |                                                                  |                                    |                                               |                                                                                                                       |        |                          |

ნაწილი II

შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების)

| N | სერია | ნომერი | დასაბუთებელი ოპერაციის განხორციელების თვე | მომწოდებლის ს/ნ | დღგ-ის თანხა                                                      |                                    | ანგარიშ-ფაქტურა, რომლის კორექტირებაც წარმოებს | მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა (მათ შორის, კორექტირების) |        |                          |
|---|-------|--------|-------------------------------------------|-----------------|-------------------------------------------------------------------|------------------------------------|-----------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|--------------------------|
|   |       |        |                                           |                 | ჩასათვლელი (მათ შორის) კორექტირების შედეგად დამატებით ჩასათვლელი) | კორექტირების შედეგად შესამცირებელი |                                               | სერია                                                                                                                  | ნომერი | საკომპენსაციო თანხის დღგ |
| 1 | 2     | 3      | 4                                         | 5               | 6                                                                 | 7                                  | 8                                             | 9                                                                                                                      | 10     | 11                       |
|   |       |        |                                           |                 |                                                                   |                                    |                                               |                                                                                                                        |        |                          |
|   |       |        |                                           |                 |                                                                   |                                    |                                               |                                                                                                                        |        |                          |
|   |       |        |                                           |                 |                                                                   |                                    |                                               |                                                                                                                        |        |                          |

ნაწილი II<sup>1</sup>

გამოწერილი (მათ შორის, შიდა გადაზიდვაზე) ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების)

| მსაფ. მათ შორის, კორექტირების |        | მსაფ. რომლის კორექტირებაც ხდება |        | სტაციონარის რეგისტრაციის ნომერი |              | მყიდველის ს/ნ | ნავთობ-პროდუქტის კოდი | რაოდენობა ლში | რაოდენ-წილა კვ-ში | დღგ-ის თანხა* | მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი ანგარიშფაქტურა(მათ შორის, კორექტირების) |        |              |
|-------------------------------|--------|---------------------------------|--------|---------------------------------|--------------|---------------|-----------------------|---------------|-------------------|---------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|--------------|
| სერია                         | თარიღი | სერია №                         | თარიღი | გაგზავნის                       | დანიშნულების |               |                       |               |                   |               | სერია                                                                                                                | ნომერი | დღგ-ის თანხა |
| 1                             | 2      | 3                               | 4      | 5                               | 6            | 7             | 8                     | 9             | 10                | 11            | 12                                                                                                                   | 13     | 14           |
|                               |        |                                 |        |                                 |              |               |                       |               |                   |               |                                                                                                                      |        |              |
|                               |        |                                 |        |                                 |              |               |                       |               |                   |               |                                                                                                                      |        |              |

ნაწილი II<sup>2</sup>

შეძენილ ნავთობპროდუქტებზე გამოწერილი ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების)

| მსაფ. მათ შორის, კორექტირების |        | მსაფ. რომლის კორექტირებაც ხდება |        | სტაციონარის რეგისტრაციის ნომერი |             | გამყიდველ | ნავთობპროდუქტის | რაოდენობა ლ-ში | რაოდენობა კვ-ში | დღგ-ის თანხა* | მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი ანგარიშფაქტურა (მათ შორის, კორექტირების) |        |              |
|-------------------------------|--------|---------------------------------|--------|---------------------------------|-------------|-----------|-----------------|----------------|-----------------|---------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|--------------|
| სერია №                       | თარიღი | სერია №                         | თარიღი | დანიშნულების                    | გამოგზავნის |           |                 |                |                 |               | სერია                                                                                                                 | ნომერი | დღგ-ის თანხა |
| 1                             | 2      | 3                               | 4      | 5                               | 6           | 7         | 8               | 9              | 10              | 11            | 12                                                                                                                    | 13     | 14           |
|                               |        |                                 |        |                                 |             |           |                 |                |                 |               |                                                                                                                       |        |              |
|                               |        |                                 |        |                                 |             |           |                 |                |                 |               |                                                                                                                       |        |              |

\* შიდა გადაზიდვის, აგრეთვე ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან გათავისუფლებული მიწოდების განხორციელების შემთხვევაში, ჩაიწერება „X“, ხოლო ჩათვლის უფლებით დღგ-ისაგან გათავისუფლებული მიწოდებისას - „0“ (ნული).“.

ნაწილი III

| № | საქონლის იმპორტისას წარდგენილი საბაჟო დეკლარაციები |                  |              |
|---|----------------------------------------------------|------------------|--------------|
|   | შეფასების ნომერი                                   | შეფასების თარიღი | დღგ-ის თანხა |
| 1 | 2                                                  | 3                | 4            |
|   |                                                    |                  |              |
|   |                                                    |                  |              |

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ საწარმოს ხელმძღვანელი / ინდ.მეწარმე -----

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა) თარიღი

ნაწილი IV

| № | საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161 <sup>1</sup> მუხლის შესაბამისად საქონლის შემენის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი |                                                                         |                                                             |                                                              |                                                  |                                             |              |
|---|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------|--------------------------------------------------|---------------------------------------------|--------------|
|   | შემენის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის ნომერი                                                                        | რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო ნომერი | რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის დასახელება | საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრის საიდენტიფიკაციო ნომერი | საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრის დასახელება | საქონლის/სამეურვეო ქონების შესყიდვის თარიღი | დღგ-ის თანხა |
| 1 | 2                                                                                                                           | 3                                                                       | 4                                                           | 5                                                            | 6                                                | 7                                           | 8            |
|   |                                                                                                                             |                                                                         |                                                             |                                                              |                                                  |                                             |              |
|   |                                                                                                                             |                                                                         |                                                             |                                                              |                                                  |                                             |              |
|   |                                                                                                                             |                                                                         |                                                             |                                                              |                                                  |                                             |              |

ნაწილი V

| № | საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შედეგად შემენილი საქონელი/მომსახურება |                 |                        |                                  |              |
|---|-------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|------------------------|----------------------------------|--------------|
|   | დეკლარაციის ნომერი                                                                        | მომწოდებლის ს/ნ | მომწოდებლის დასახელება | საანგარიშო პერიოდი (თვე და წელი) | დღგ-ის თანხა |
| 1 | 2                                                                                         | 3               | 4                      | 5                                | 6            |
|   |                                                                                           |                 |                        |                                  |              |
|   |                                                                                           |                 |                        |                                  |              |
|   |                                                                                           |                 |                        |                                  |              |



ნაწილი VI - ამოღებულია

ნაწილი VII

საგადასახადო/საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დარიცხული და გადახდილი დღგ

| № | დარიცხვის შესახებ<br>საგადასახადო/საბაჟო ორგანოს<br>გადაწყვეტილების ნომერი | დარიცხვის შესახებ<br>საგადასახადო/საბაჟო ორგანოს<br>გადაწყვეტილების თარიღი | საგადასახადო /საბაჟო ორგანოს<br>გადაწყვეტილებით დარიცხული და<br>გადახდილი დღგ-ის თანხა |
|---|----------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------|
| 1 | 2                                                                          | 3                                                                          | 4                                                                                      |
|   |                                                                            |                                                                            |                                                                                        |
|   |                                                                            |                                                                            |                                                                                        |
|   |                                                                            |                                                                            |                                                                                        |
|   |                                                                            |                                                                            |                                                                                        |
|   |                                                                            |                                                                            |                                                                                        |

ნაწილი VIII

| № | დღგ ბრუნვის კორექტირებაზე (დღგ-ის შესამცირებელი თანხა) |                    |              |
|---|--------------------------------------------------------|--------------------|--------------|
|   | დეკლარაციის ნომერი                                     | საანგარიშო პერიოდი | დღგ-ის თანხა |
| 1 | 2                                                      | 3                  | 4            |
|   |                                                        |                    |              |
|   |                                                        |                    |              |
|   |                                                        |                    |              |

ნაწილი IX

| № | დღგ უკუდაბეგვრით დასაბეგრი ოპერაციის კორექტირებაზე (დღგ-ის შესამცირებელი თანხა) |                    |              |
|---|---------------------------------------------------------------------------------|--------------------|--------------|
|   | დეკლარაციის ნომერი                                                              | საანგარიშო პერიოდი | დღგ-ის თანხა |
| 1 | 2                                                                               | 3                  | 4            |
|   |                                                                                 |                    |              |
|   |                                                                                 |                    |              |
|   |                                                                                 |                    |              |

საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
ბრძანება №47  
2021 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“  
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 48<sup>2</sup> მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. თუ თანხა სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებულია საქონლის მიწოდებამდე/ მომსახურების გაწევამდე და ანაზღაურების მომენტში თანხის მიმღები პირი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციამდე მიღებულ ანაზღაურებასთან მიმართებაში, დღგ-ით დაბეგვრის დროს წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტი.“.

2. 52-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა სავალდებულო არ არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დღგ-ისგან გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში, თუ ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“.

3. 112-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 46-ე-49-ე პუნქტები:

„46. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა განხორციელებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, ხოლო სანაცვლო საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ხორციელდება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში, ამ ოპერაციის თითოეული მხარისათვის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ამ ოპერაციის ფარგლებში მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით, დღგ-ის გარეშე, ხოლო დღგ-ით დაბეგვრის დროს წარმოადგენს საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტი.

47. ამ მუხლის 46-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ორივე მხარე წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ დასაბეგრ პირს და ეს ოპერაცია იბეგრება დღგ-ით, ამ ოპერაციის თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ჩათვალოს მის მიერ მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული და შესაბამისი დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა სანაცვლო საქონლის/მომსახურების მიღების მომენტში. ამ შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლის მიღების საფუძველია ამ ოპერაციაზე დარიცხული და შესაბამისი პერიოდის დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა, რა დროსაც, დასაბეგრ პირებს შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არ გამოიწერება.

48. თუ უძრავი ნივთის შემძენზე საკუთრების უფლება მშენებარე ობიექტზე მარეგისტრირებელ ორგანოში დარეგისტრირდა 2021 წლამდე, ხოლო ამ ნივთზე უძრავი ნივთის მიმწოდებლის მიერ 2021 წელს ან შემდგომ პერიოდში დასრულდა სამშენებლო, სამონტაჟო ან/და სარემონტო მომსახურება, აღნიშნული მომსახურება განიხილება უძრავი ნივთის მიწოდების ნაწილად, ხოლო ამ ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა ხორციელდება უძრავი ნივთის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში, თუ არ დადგა საქართველოს საგადასახადო

კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული უძრავი ნივთის მიწოდება დაბეგრილია დღე-ით 2021 წლამდე პერიოდში, მისი ექსპლუატაციაში მიღება წარმოადგენს დღე-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების გარემოებას და ექვემდებარება კორექტირებას შესაბამისი უძრავი ნივთის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში.

49. საქონლის იმპორტის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული საქონლის სატრანსპორტო და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების ხარჯები, რომელიც გაიწევა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე და შეიტანება საქონლის საბაჟო ღირებულებაში, განიხილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციების ნაწილად და ექვემდებარება დღე-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებას.“.

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

ვებგვერდი, 18/03/2021  
სარეგისტრაციო კოდი  
200000000.05.001.020248

## საქართველოს კანონი

### საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„ლ) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ან/და საკულტო-რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულება;“.

2. 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „3“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„3) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (მათ შორის, მიწის ნაკვეთები);“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი  
თბილისი,  
16 მარტი 2021 წ.  
N342-IVმს-Xმპ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
ბრძანება №55  
2021 წლის 16 მარტი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს  
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 39<sup>1</sup> მუხლის:

1. მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. თუ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემულია ცნობა, მაგრამ დაქირავებული პირის მიერ სრულად ვერ იქნა გამოყენებული კუთვნილი საგადასახადო შეღავათი, მაშინ ფიზიკური პირი (დაქირავებული) უფლებამოსილია, ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხის გადაანგარიშებისა და დაბრუნების მოთხოვნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ფიზიკური პირი, შესაბამისი დეკლარაციის წარდგენის შემდგომ, მაგრამ არაუადრეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილისა, წარადგენს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნას, ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების შესახებ, რომელსაც უნდა დაერთოს ფიზიკური პირის (დაქირავებულის) წერილობითი თანხმობა, საგადასახადო ორგანოს მიერ დამქირავებლისთვის (საგადასახადო აგენტისთვის) შეღავათით გათვალისწინებული თანხის გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.“;

2. მე-8 პუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის 8<sup>1</sup>-8<sup>2</sup> პუნქტები:

„8<sup>1</sup>. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიერ ფიზიკური პირისთვის (დაქირავებულისთვის) ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნების შემდგომ, საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს დამქირავებლის (საგადასახადო აგენტის) ინფორმირებას, ფიზიკური პირის (დაქირავებულის) მიერ შეღავათით სარგებლობის თაობაზე, დამქირავებლის (საგადასახადო აგენტის) სამსახურის ვებგვერდზე (ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე) სავალდებულოდ წასაკითხი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, აღნიშნული შეტყობინების გაცნობის შემდეგ დამქირავებელს (საგადასახადო აგენტს) ეკრძალება აღნიშნული თანხის დაქირავებული პირისთვის დაბრუნება.

8<sup>2</sup>. ამ მუხლის 8<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებაში მიეთითება:

- ა) საგადასახადო ორგანოს დასახელება;
- ბ) დამქირავებლის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი;
- გ) ფიზიკური პირის (დაქირავებულის) სახელი, გვარი, პირადი ნომერი;
- დ) ინფორმაცია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, კუთვნილი საგადასახადო შეღავათის გამოყენებისა და მისი ოდენობის შესახებ;
- ე) საგადასახადო პერიოდ(ებ)ი, რომელთან მიმართებაშიც გამოყენებულ იქნა საგადასახადო შეღავათი.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

ვებგვერდი, 24/03/2021  
სარეგისტრაციო კოდი  
350090000.64.076.016091

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის  
სამსახურის უფროსის ბრძანება №-3  
2021 წლის 22 მარტი ქ. თბილისი**

**„განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“  
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის  
სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს №-13 ბრძანებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს №-13 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი, 18/08/2017, სარეგისტრაციო კოდი: 350090000.64.076.016020) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1**

1. დამტკიცდეს „განგრძობითი განათლების სტანდარტი“ თანდართული დანართის შესაბამისად;

2. დამტკიცდეს „სწავლის შედეგები“ თანდართული დანართი „ა“- ს შესაბამისად.“.

2. დანართი „ა“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. ბრძანებით დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრისათვის ან სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ჯგუფისათვის შექმნას განგრძობითი განვითარების ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კონცეფციის სტრუქტურა და სახელმძღვანელო. განგრძობითი განვითარების ჩარჩო უნდა დაეხმაროს სერტიფიცირებულ ბუღალტერს განსაზღვროს, განახორციელოს და აღრიცხოს მისთვის რელევანტური განგრძობითი განვითარების პროცესი. განგრძობითი განათლების ჩარჩო სულ მცირე უნდა მოიცავდეს:

ა) რელევანტური სწავლის შედეგების და ინდივიდუალური განვითარების მოთხოვნილისაგან განსხვავების იდენტიფიცირებისათვის თვითშეფასების პროცესს;

ბ) განვითარებისათვის განკუთვნილი აქტივობების შესრულების და აღრიცხვის გეგმას;

გ) დასრულებული სწავლისა და განვითარებისათვის განკუთვნილი აქტივობების შეფასებას და თვითგააზრების განხორციელებას;

დ) სწავლისა და განვითარებისათვის განკუთვნილი გეგმის შესაბამისად შესწორებას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის განგრძობითი განვითარების ჩარჩოში დაგეგმილი სწავლის შედეგები სულ მცირე უნდა მოიცავდეს დანართი „ა“-თი განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა  
და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის  
უფროსი

იური დოლიძე



## სწავლის შედეგები

| კომპეტენციის სფეროები                          | სწავლის შედეგები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
|------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ა) აუდიტი                                      | <ol style="list-style-type: none"> <li>1. აქტიური ჩართულობით, აუდიტის ყველა ეტაპზე აუდიტის გარიგების გაძღოლა.</li> <li>2. არსებითი უზუსტობების განსაზღვრის და შეფასების პროცესის გაძღოლა.</li> <li>3. იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკის გათვალისწინებით აუდიტის გეგმის შედგენა.</li> <li>4. არსებითი უზუსტობების რისკის საპასუხო ღონისძიებების შეფასება.</li> <li>5. ყველა რელევანტური აუდიტორული მტკიცებულებების, მათ შორის, საწინააღმდეგო აუდიტორული მტკიცებულებების საკმარისობაზე და შესაფერისობაზე დაკვირვების გამოტანა.</li> <li>6. შეფასების გაკეთება, იყო თუ არა აუდიტი შესრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში სავალდებულოდ გამოსაყენებელი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, შესაფერისი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.</li> <li>7. სათანადო აუდიტორული დასკვნის და დაკავშირებული აუდიტორის მოსაზრების შედგენა, მათ შორის, აუდიტის ძირითადი საკითხების აღწერა.</li> </ol> |
| ბ) ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება           | <ol style="list-style-type: none"> <li>1. შეფასება, იყო თუ არა ყველა სუბიექტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.</li> <li>2. შეფასება, იყო თუ არა აღიარება, შეფასება, წარდგენა და გამჟღავნება სამეურნეო ოპერაციების და მოვლენების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.</li> <li>3. შეფასება ხელმძღვანელობის სააღრიცხვო მსჯელობების და შეფასების, მათ შორის, რეალური ღირებულების შეფასების.</li> <li>4. შეფასება ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის, სუბიექტის ტიპის, საოპერაციო გარემოს და ფუნქციონირებადი საწარმოს შესაბამისად.</li> </ol>                                                                                                                                                                                |
| გ) კორპორაციული მართვა, რისკების მართვა        | <ol style="list-style-type: none"> <li>1. შეფასება საერთო აუდიტის სტრატეგიის ფარგლებში კორპორაციული მართვის სტრუქტურის და რისკის შეფასების პროცესის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის თვალსაზრისით.</li> </ol>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| დ) სამეწარმეო და ორგანიზაციული გარემო          | <ol style="list-style-type: none"> <li>1. აუდიტის რისკის შეფასებისას, მათ შორის, ბაზრის, კონკურენციის, პროდუქტის ტექნოლოგიის და გარემოსდაცვის მოთხოვნების ანალიზი დარგის, მარეგულირებელი ნორმების და სხვა გარე ფაქტორების გათვალისწინებით.</li> </ol>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| ე) საგადასახადო დაბეგვრა                       | <ol style="list-style-type: none"> <li>1. ფინანსურ ანგარიშგებაში დაბეგვრასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკის საპასუხოდ შესრულებული პროცედურების შეფასება.</li> </ol>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| ვ) ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიები | <ol style="list-style-type: none"> <li>1. ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების გარემოს შეფასება ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კონტროლის იდენტიფიცირებისათვის, რათა შეფასდეს აუდიტის საერთო სტრატეგიაზე მისი გავლენა.</li> </ol>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |

|                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
|--------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ზ) ბიზნესსამართალი                               | 1. იდენტიფიცირებული და სავარაუდო შეუსაბამობის კანონთან და სხვა მარეგულირებელ სამათლებრივ ნორმებთან აუდიტის საერთო სტრატეგიის გავლენის შეფასების მიზნით.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
| თ) ფინანსები და ფინანსური მართვა                 | 1. სუბიექტის დაფინანსების სხვადასხვა წყაროების და გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება აუდიტის საერთო სტრატეგიის გავლენის მიზნით.<br>2. სუბიექტის ფულადი ნაკადის, ბიუჯეტების და პროგნოზების, სამუშაო კაპიტალის მოთხოვნების გავლენის შეფასება აუდიტის საერთო სტრატეგიაზე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| ი) კომუნიკაციის უნარები                          | 1. ეფექტური და შესაფერისი კომუნიკაცია გარიგების გუნდთან, სუბიექტის ხელმძღვანელობასთან და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან.<br>2. აუდიტის პროცესზე კულტურული და ენობრივი განსხვავების პოტენციური გავლენის შეფასება.<br>3. საჭიროების შემთხვევაში აუდიტის საკამათო საკითხების გადაწყვეტა კონსულტაციების გზით.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| კ) პიროვნული უნარები                             | 1. მუდმივად სწავლის წახალისება.<br>2. ქცევა როგორც აუდიტის გუნდისათვის მისაბამი მაგალითი.<br>3. ქცევა როგორც მენტორი და ქოუჩი აუდიტის გუნდისათვის.<br>4. თვითგააზრების წახალისება.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| ლ) ორგანიზაციული უნარები                         | 1. შეფასება, აქვს თუ არა აუდიტის გუნდს, მათ შორის, აუდიტორის ექსპერტს, ერთობლივად სათანადო ობიექტურობა და კომპეტენცია აუდიტის შესასრულებლად.<br>2. გარიგების გუნდების ლიდერობით და პროექტის მართვით აუდიტის გარიგებების მართვა.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| მ) საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულება | 1. აუდიტის ხარისხის და პროფესიულ სტანდარტებთან, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ ინტერესზე კონცენტრირებით.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| ნ) პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა   | 1. პროფესიული განსჯის გამოყენება აუდიტორული მოსაზრებისადმი, რომელიც დაფუძნებულია აუდიტის დაგეგმვაზე, შესრულებაზე და დასკვნის გამოტანაზე.<br>2. აუდიტის გარიგების შესრულების ყველა ეტაპზე პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენების ხელშეწყობა.<br>3. პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენება აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულების კრიტიკულად შესაფასებლად და კარგად დასაბუთებული დასკვნის გამოსატანად.<br>4. პიროვნული და ორგანიზაციული მიკერძოების გავლენის შეფასება პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენების შესაძლებლობაზე.<br>5. პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენება ხელმძღვანელობის მტკიცებულების და ოფიციალური ინფორმაციის მიმართ.<br>6. კრიტიკული აზროვნების გამოყენება აუდიტის საკამათო საკითხების გადასაწყვეტად ალტერნატივების განხილვისა და შედეგების ანალიზისათვის. |
| ო) ეთიკური პრინციპები                            | 1. ეთიკის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობის ხელშეწყობა.<br>2. აუდიტის პროცესში წარმოშობილი ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის მიმართ საფრთხეების შეფასება და რეაგირება.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |

**რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა  
გაფის საგადასახადო კომიტეტმა**

**კითხვა:**

**რეგისტრაცია გავიარე როგორც ინდივიდუალურმა მენარმე ფიზიკურმა პირმა და 2020 წელს მიღებული მაქვს შემოსავლები.**

**1 აპრილამდე პერიოდში მეკუთვნის თუ არაწლიური საშემოსავლო და ქონების გადასახადის დეკლარაციების გადაგზავნა?**

**პასუხი:**

თუ თქვენ 2020 წელს მიღებული გაქვთ დასაბეგრი შემოსავალი (ერთობლივ შემოსავლებს მინუს გამოქვითვები), 2021 წლის 1 აპრილამდე თქვენ უნდა წარადგინოთ საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია. 2021 წლის 1 ნოემბრამდე უნდა წარადგინოთ ქონების გადასახადის დეკლარაცია, თუ 2020 წლის განმავლობაში თქვენი ოჯახის ჯამური შემოსავალი (სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლის ჩათვლით) აღემატებოდა 40'000 ლარს, ან 2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით თქვენს საკუთრებაში იყო მიწის ნაკვეთი. ქონების გადასახადის გადახდის ვადაა (მათ შორის, სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებულ ქონებაზეც) 15 ნოემბერი.

**კითხვა:**

**იჯარის გამცემს საწარმოს ხელმძღვანელს აინტერესებს, წინასწარღებული იჯარის თანხა იბეგრება თუ არა დღგ-ის ავანსით და უნდა გამოიწეროს თუ არა დღგ-ის საავანსო ფაქტურა, თუ როგორც 2021-მდე იყო ისევე დარჩა?**

**პასუხი:**

2021 წლიდან წინასწარ მიღებული საიჯარო მომსახურების ანაზღაურება დღგ-ით დაიბეგრება იმ პერიოდში, როცა მიღებულ იქნა ანაზღაურება. შესაბამისად, გამოიწერება ანგარიშ-ფაქტურაც.

**კითხვა:**

**საქართველოში რეგისტრირებულმა სატრანსპორტო კომპანიამ საზღვარგარეთიდან დამკვეთს ჩამოუტანა ტვირთი. ტრანსპორტირება დაიწყო საზღვაო ტრანსპორტით პორტში, შემდგომ ტვირთი გადაიტვირთა სახმელეთო ტრანსპორტზე. განხორციელდა წინასწარი დეკლარირება და ტვირთი მივიდა დანიშნულების ადგილას თბილისში.**

**დაიბეგრება თუ არა აღნიშნული სატრანსპორტო მომსახურება დღგ-ით?**

**პასუხი:**

ვინაიდან (თქვენი კითხვიდან გამომდინარე) მომსახურების მიმღებიც და გამწვეიც საქართველოს რეზიდენტები არიან, ეს ოპერაცია დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგრვას, თუმცა თუ ამ სატრანსპორტო მომსახურების ღირებულება შეიტანება საქონლის საბაჟო ღირებულებაში, მაშინ იგი დაიბეგრება საქონლის იმპორტისას – იმპორტიორის მიერ და გადამზიდავთან გათავისუფლდება ჩათვლის უფლებით.

**კითხვა:**

საზღვარგარეთ არსებულ საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციას, საქართველოს რეზიდენტმა კომპანიამ 2020 წლის 5 დეკემბერს სანევრო გადაურიცხა 3 თვის და 5 მარტს 3 თვის.

გთხოვთ განგვიმარტოთ, როგორ დაიბეგრება სანევრო შენატანები, შესაბამისი პერიოდების მიხედვით?

**პასუხი:**

მოგების/საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის ეს ოპერაციები არ დაიბეგრება, ხოლო დღგ-ის მიზნებისთვის – დაიბეგრება უკუდაბეგვრის წესით, თუმცა, თუ ეს პროფესიული ორგანიზაცია საქმიანობს, მაშინ, საგადასახადო კოდექსის 170.1-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამგვარი სანევრო შენატანები შეიძლება გათავისუფლდეს დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე.

**კითხვა:**

არარეზიდენტმა იურიდიულმა პირმა საქართველოში დააფუძნა კომპანია შპს-ის სახით.

გვაინტერესებს, თუ არსებობს რაიმე შეღავათი ახალდაფუძნებული კომპანიებისთვის და ასევე დივიდენდის გატანის დროს, რა გადასახადები გვინევს რომ გადავიხადოთ?

**პასუხი:**

ახალდაფუძნებული კომპანიისთვის სპეციალური შეღავათი არ არსებობს. შეღავათები არსებობს სხვადასხვა სფეროში – კომპანიის დაფუძნების თარიღის მიუხედავად.

თუ თქვენი კომპანია ე.წ. „ესტონური მოდელის“ სანარმოა, დივიდენდის გატანისას დაიბეგრებით მოგების გადასახადით (15 %) და დივიდენდზე გადასახადით (5 %).

**კითხვა:**

საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებისას ავარია მოხდა და დაზიანდა არარეზიდენტისგან იჯარით აღებული კონტეინერი, რომლითაც სატრანსპორტო მომსახურება ხორციელდებოდა. შემთხვევა მოხდა საზღვარგარეთ. სატრანსპორტო კომპანია იძულებული გახდა, შეესყიდა დაზიანებული კონტეინერი და განახორციელა მისი იმპორტი. გადამზიდავ კომპანიას დაზღვეული ჰქონდა კონტეინერი რომლითაც სატრანსპორტო გადაზიდვას ახორციელებდა. სადაზღვევო კომპანიამ აქტით დაადასტურა კონტეინერის დაზიანება და ჩაიბარა კონტეინერი, სანაცვლოდ გადამზიდავ კომპანიას ზარალი აუნაზღაურა.

კონტეინერის სადაზღვევო კომპანიისთვის გადაცემა განიხილება თუ არა დასაბეგრ ოპერაციად და დაერიცხება თუ არა დღგ-ის გადასახადი, ასევე შეუძლია თუ არა გადამზიდავ კომპანიას კონტეინერის იმპორტისას გადახდილი დღგ-ის ჩათვლა?

**პასუხი:**

ჩვენი აზრით, სადაზღვევო კომპანიისთვის კონტეინერის გადაცემა დაიბეგრება დღგ-ით და აქედან გამომდინარე, ჩაითვლით ამ კონტეინერის იმპორტისას გადახდილ დღგ-ს, თუ ეს აკმაყოფილებს დღგ-ის ჩათვლისთვის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ დანარჩენ მოთხოვნებს.

**კითხვა:**

საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის მართვის ადგილი არის ლიტვა და იგი ჩეხეთში ელექტრონულ მომსახურებას უწევს კომპანიას.

დაიბეგრება თუ არა აღნიშნული მომსახურება დღგ-ით?

**პასუხი:**

თუ მომსახურება წარმოადგენს „ელექტრონულად გაწეულ მომსახურებას“ საგადასახადო კოდექსის მიხედვით და, ამასთანავე, მომსახურების მიმღები საქართველოს არარეზიდენტი (საქართველოში ფიქსირებული დაწესებულების არმქონე), მაშინ ეს ოპერაცია დღგ-ით არ დაიბეგრება.

**კითხვა:**

შვეიცარიის კომპანია გვინევს მარკეტინგულ მომსახურებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ანაზღაურების თანხებიც შვეიცარიაში ირიცხება სხვადასხვა ქვეყნიდან ჩვენი სახელით.

საგადასახდო კოდექსით, რა გადასახადები გვინევს ამ შემთხვევაში?

**პასუხი:**

სამწუხაროდ, თქვენი კითხვა არ შეიცავს პასუხის გასაცემად აუცილებელ ინფორმაციას.

**კითხვა:**

შპს გამოფენაზე მონაწილეობისათვის საქონლის სახით 35 ლარზე უნდა გავწეროთ უსასყიდლო რეალიზაცია.

გვავიწყდება, 2021 წლიდან 50 ლარის ფარგლებში გაწერილი უსასყიდლო რეალიზაცია დაიბეგრება თუ არა დღგ-ით?

**პასუხი:**

დიახ, დაიბეგრება.

**კითხვა:**

რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მენარმეს, რომელსაც დაქირავებული ჰყავს თანამშრომლები. ევალეზა თუ არა საშემოსავლო დეკლარაციის გადაგზავნა თანამშრომლებზე და შესაბამისი გადასახადის გადახდა?

**პასუხი:**

დიახ, ევალეზა.

**კითხვა:**

მეოთხე კატეგორიის სანარმო 2000 წლიდან ფლობს ერთადერთ შენობა-ნაგებობას, რომელიც გამოიყენება იჯარით გასაცემად. 2018 წელს სანარმომ გადააფასა აღნიშნული შენობა-ნაგებობა. როგორც მეოთხე კატეგორიის სანარმომ სტანდარტის პირველად გამოყენების ფარგლებში გადაფასებული ღირებულება ჩათვალა სანყის ღირებულებად და გადაიხდა ქონების გადასახადი. ე.წ კოეფიციენტი არ გამოუყენებია. მეოთხე კატეგორი-



ის სტანდარტი არ ცნობს ქონების აღრიცხვას გადაფასებული მოდელით.

**გთხოვთ განგვიმარტოთ, როგორ უნდა დაიანგარიშოს საწარმომ 2021 წელს ქონების დასაბეგრი ბაზა გადაფასებიდან სამი წლის შემდეგ?**

**პასუხი:**

ქონების ერთჯერადად გადაფასება არ ნიშნავს ქონების პერიოდულ აღრიცხვას გადაფასების მეთოდით. თანაც, თქვენს კითხვაში არაფერია ნათქვამი ამ ანგარიშგების აუდიტირების შესახებ. ეს კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კოეფიციენტების არგამოყენებისთვის. ამდენად, ჩვენი აზრით, საგადასახადო ორგანო მოგთხოვთ ქონების გადასახადის გადახდას კოეფიციენტების გამოყენებით. ამ საკითხზე შემოსავლების სამსახურის პოზიციით, თუ კოეფიციენტების გამოყენების შედეგად ქონების ღირებულება მის საბაზრო ღირებულებას მნიშვნელოვნად აღემატება, მაშინ ეს კოეფიციენტები აღარ გამოიყენება. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი ჩანაწერი საგადასახადო კოდექსში არ არის.

**კითხვა:**

**გთხოვთ დამეხმაროთ, ინდენარმე, რომელიც ეწევა სატრანსპორტო მომსახურებას, მის სახელზე არსებულ ტრანსპორტს (სატვირთო თვითმცლელი) ერიცხება ქონების გადასახადი და მეკუთვნის თუ არა შესაბამისი დეკლარირება?**

**პასუხი:**

ინდენარმე ფიზიკურ პირს ცალკე აღებულ მოძრავ ქონებაზე (მ. შ. ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულზე) ქონების გადასახადი არ ერიცხება. ქონების გადასახადის გადახდა მოგიწევთ იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის 1 ნოემბრამდე წარდგენილი ქონების გადასახადის დეკლარაციით 2020 წლის განმავლობაში თქვენი ოჯახის ჯამური შემოსავალი (სამენარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლის ჩათვლით) აღემატებოდა 40'000 ლარს. ქონების გადასახადის გადახდის ვადაა (მათ შორის, სამენარმეო საქმიანობაში გამოყენებულ ქონებაზეც) 15 ნოემბერი.

**კითხვა:**

**ფირმამ გადაიხდა თანამშრომლის გამოცდის საფასური (ბიზნესბარათით). გადახდა განხორციელდა უცხოურ ვალუტაში და ეს თანხა ჩაერიცხა არარეზიდენტ იურიდიულ პირს.**

**ეს ოპერაცია რამდენად განიხილება საქართველოში მიღებულ მომსახურებად და შესაბამისად, დაიბეგრება თუ არა უკუდაბეგვრით და ასევე, შეეხება თუ არა საშემოსავლო გადასახადი (იმ ქვეყანასთან არ გვაქვს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება)?**

**პასუხი:**

ჩვენი აზრით, არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის დაკავება არ მოგიწევთ, ხოლო დღგ-ით უკუდაბეგვრა – მოგიწევთ, თუ მომსახურების უშუალოდ მიმღები არის კომპანია (ანუ, თუ არ ხდება თანხის მხოლოდ თანამშრომლისთვის ანაზღაურება).

**კითხვა:**

კომპანია, როდესაც ხელშეკრულება გააფორმა, არ იყო დღგ-ის გადამხდელი, ახლა დასრულდა სამუშაოები, გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი და მიმდინარე დროისთვის კომპანია უკვე არის დღგ-ის გადამხდელი.

ხელშეკრულებაში ღირებულება წერია დღგ-ის გარეშე, ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა შეიძლება ახლა, ღირებულებას + დღგ, თუ როგორ იქნება სწორი, იქნებ განმიმარტოთ?

**პასუხი:**

ვინაიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტში კომპანია არის დღგ-ის გადამხდელი, თქვენ დღგ-ით დაიბეგრებით მომსახურების სრული ღირებულებიდან გამომდინარე, შესაბამისად გამოიწერება ანგარიშ-ფაქტურაც.

**კითხვა:**

შპს აქვს ვირტუალური ზონის პირის სტატუსი, იღებს აიტი მომსახურებას შრილანკაში მცხოვრები ფიზიკური პირისაგან.

როგორ უნდა მოვახდინო ამ მომსახურების დაბეგრვა?

საშემოსავლო არარეზიდენტებზე გადახდილი 10% და დღგ – 18%-ით?

**პასუხი:**

ეს ოპერაცია დაიბეგრება დღგ-ით უკუდაბეგრის წესით. რაც შეეხება არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადს (კითხვიდან გამომდინარე ვვარაუდობთ, რომ ამ მომსახურების საფასური არის როიალტი), მოგიწევთ მისი დაკავება გადასახდელი თანხიდან 5%-ის ოდენობით,

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი  
კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2021 წლის მარტში

| თარიღი   | ბულგარული<br>ლარი | დანიური კრონა | ევრო   | ფუნტი<br>სტერლინგი | ისლანდიური<br>კრონა | სერბული დინარი | ნორვეგიული<br>კრონა | პოლონური<br>გული | რუმინული<br>ლეი | უნგრული<br>ფორინტი | შვედური<br>კრონა | შვეიცარიული<br>ფრანკი | ჩეხური კრონა | ამერიკული<br>დოლარი |
|----------|-------------------|---------------|--------|--------------------|---------------------|----------------|---------------------|------------------|-----------------|--------------------|------------------|-----------------------|--------------|---------------------|
|          | 1                 | 10            | 1      | 1                  | 100                 | 100            | 10                  | 10               | 10              | 100                | 10               | 1                     | 10           | 1                   |
| 01.03.21 | 2,0622            | 5,4226        | 4,0322 | 4,6258             | 2,6372              | 3,4299         | 3,8932              | 8,9230           | 8,2724          | 1,1166             | 3,9872           | 3,6726                | 1,5425       | 3,3255              |
| 02.03.21 | 2,0505            | 5,3931        | 4,0101 | 4,6449             | 2,6056              | 3,4108         | 3,8503              | 8,8682           | 8,2257          | 1,1059             | 3,9335           | 3,6426                | 1,5366       | 3,3268              |
| 03.03.21 | 2,0438            | 5,3759        | 3,9976 | 4,6187             | 2,6282              | 3,4002         | 3,8945              | 8,8148           | 8,1996          | 1,1000             | 3,9434           | 3,6226                | 1,5296       | 3,3252              |
| 04.03.21 | 2,0438            | 5,3759        | 3,9976 | 4,6187             | 2,6282              | 3,4002         | 3,8945              | 8,8148           | 8,1996          | 1,1000             | 3,9434           | 3,6226                | 1,5296       | 3,3252              |
| 05.03.21 | 2,0442            | 5,3765        | 3,9977 | 4,6250             | 2,6115              | 3,4007         | 3,8923              | 8,7893           | 8,1953          | 1,0961             | 3,9332           | 3,5947                | 1,5254       | 3,3190              |
| 06.03.21 | 2,0269            | 5,3307        | 3,9640 | 4,5835             | 2,5925              | 3,3712         | 3,8693              | 8,6565           | 8,1176          | 1,0819             | 3,8937           | 3,5766                | 1,5047       | 3,3202              |
| 07.03.21 | 2,0269            | 5,3307        | 3,9640 | 4,5835             | 2,5925              | 3,3712         | 3,8693              | 8,6565           | 8,1176          | 1,0819             | 3,8937           | 3,5766                | 1,5047       | 3,3202              |
| 08.03.21 | 2,0269            | 5,3307        | 3,9640 | 4,5835             | 2,5925              | 3,3712         | 3,8693              | 8,6565           | 8,1176          | 1,0819             | 3,8937           | 3,5766                | 1,5047       | 3,3202              |
| 09.03.21 | 2,0269            | 5,3307        | 3,9640 | 4,5835             | 2,5925              | 3,3712         | 3,8693              | 8,6565           | 8,1176          | 1,0819             | 3,8937           | 3,5766                | 1,5047       | 3,3202              |
| 10.03.21 | 2,0223            | 5,3206        | 3,9565 | 4,6107             | 2,6082              | 3,3643         | 3,9224              | 8,6296           | 8,0985          | 1,0793             | 3,8988           | 3,5687                | 1,5070       | 3,3242              |
| 11.03.21 | 2,0207            | 5,3167        | 3,9537 | 4,6148             | 2,5996              | 3,3624         | 3,9205              | 8,6413           | 8,0910          | 1,0769             | 3,8993           | 3,5717                | 1,5079       | 3,3238              |
| 12.03.21 | 2,0325            | 5,3477        | 3,9770 | 4,6401             | 2,5939              | 3,3823         | 3,9566              | 8,6836           | 8,1403          | 1,0862             | 3,9331           | 3,5944                | 1,5165       | 3,3241              |
| 13.03.21 | 2,0245            | 5,3260        | 3,9606 | 4,6289             | 2,5733              | 3,3686         | 3,9209              | 8,6342           | 8,1066          | 1,0819             | 3,9015           | 3,5703                | 1,5113       | 3,3232              |
| 14.03.21 | 2,0245            | 5,3260        | 3,9606 | 4,6289             | 2,5733              | 3,3686         | 3,9209              | 8,6342           | 8,1066          | 1,0819             | 3,9015           | 3,5703                | 1,5113       | 3,3232              |
| 15.03.21 | 2,0245            | 5,3260        | 3,9606 | 4,6289             | 2,5733              | 3,3686         | 3,9209              | 8,6342           | 8,1066          | 1,0819             | 3,9015           | 3,5703                | 1,5113       | 3,3232              |
| 16.03.21 | 2,0259            | 5,3263        | 3,9609 | 4,6250             | 2,5804              | 3,3685         | 3,9350              | 8,6397           | 8,1082          | 1,0786             | 3,8877           | 3,5734                | 1,5142       | 3,3204              |
| 17.03.21 | 2,0254            | 5,3335        | 3,9660 | 4,5946             | 2,6160              | 3,3729         | 3,9300              | 8,6323           | 8,1166          | 1,0804             | 3,9116           | 3,5909                | 1,5143       | 3,3205              |
| 18.03.21 | 2,0242            | 5,3281        | 3,9620 | 4,6287             | 2,6170              | 3,3695         | 3,9212              | 8,6085           | 8,1047          | 1,0779             | 3,9091           | 3,5909                | 1,5175       | 3,3252              |
| 19.03.21 | 2,0322            | 5,3468        | 3,9758 | 4,6524             | 2,6227              | 3,3811         | 3,9509              | 8,5972           | 8,1350          | 1,0813             | 3,9198           | 3,5955                | 1,5205       | 3,3298              |
| 20.03.21 | 2,0279            | 5,3316        | 3,9645 | 4,6440             | 2,6083              | 3,3720         | 3,9140              | 8,5830           | 8,1142          | 1,0779             | 3,9027           | 3,5892                | 1,5171       | 3,3326              |
| 21.03.21 | 2,0279            | 5,3316        | 3,9645 | 4,6440             | 2,6083              | 3,3720         | 3,9140              | 8,5830           | 8,1142          | 1,0779             | 3,9027           | 3,5892                | 1,5171       | 3,3326              |
| 22.03.21 | 2,0279            | 5,3316        | 3,9645 | 4,6440             | 2,6083              | 3,3720         | 3,9140              | 8,5830           | 8,1142          | 1,0779             | 3,9027           | 3,5892                | 1,5171       | 3,3326              |
| 23.03.21 | 2,0266            | 5,3303        | 3,9636 | 4,6089             | 2,6251              | 3,3712         | 3,8960              | 8,5924           | 8,1140          | 1,0790             | 3,8984           | 3,5933                | 1,5198       | 3,3299              |
| 24.03.21 | 2,0268            | 5,3283        | 3,9621 | 4,5877             | 2,6754              | 3,3705         | 3,8851              | 8,5998           | 8,1052          | 1,0803             | 3,8901           | 3,5872                | 1,5116       | 3,3343              |
| 25.03.21 | 2,0196            | 5,3132        | 3,9508 | 4,5809             | 2,6499              | 3,3606         | 3,8909              | 8,5368           | 8,0811          | 1,0807             | 3,8845           | 3,5713                | 1,5029       | 3,3413              |
| 26.03.21 | 2,0222            | 5,3179        | 3,9545 | 4,5955             | 2,6398              | 3,3635         | 3,8961              | 8,5303           | 8,0925          | 1,0840             | 3,8814           | 3,5789                | 1,5070       | 3,3473              |
| 27.03.21 | 2,0318            | 5,3434        | 3,9733 | 4,6457             | 2,6491              | 3,3798         | 3,9208              | 8,5681           | 8,1305          | 1,0915             | 3,9031           | 3,5878                | 1,5207       | 3,3718              |
| 28.03.21 | 2,0318            | 5,3434        | 3,9733 | 4,6457             | 2,6491              | 3,3798         | 3,9208              | 8,5681           | 8,1305          | 1,0915             | 3,9031           | 3,5878                | 1,5207       | 3,3718              |
| 29.03.21 | 2,0318            | 5,3434        | 3,9733 | 4,6457             | 2,6491              | 3,3798         | 3,9208              | 8,5681           | 8,1305          | 1,0915             | 3,9031           | 3,5878                | 1,5207       | 3,3718              |
| 30.03.21 | 2,0366            | 5,3577        | 3,9840 | 4,6806             | 2,6455              | 3,3887         | 3,9475              | 8,5593           | 8,1275          | 1,0975             | 3,8976           | 3,6029                | 1,5267       | 3,3846              |
| 31.03.21 | 2,0477            | 5,3854        | 4,0044 | 4,6929             | 2,6966              | 3,4058         | 3,9859              | 8,6002           | 8,1355          | 1,1024             | 3,9080           | 3,6215                | 1,5340       | 3,4118              |

| თარიღი   | კანადური<br>დოლარი | ამერიკული<br>დოლარი | ევროპული<br>დოლარი | იაპონური<br>იენი | რუსული<br>რუბლი | ბრიტანული<br>ფუნტი | ავსტრალიური<br>დოლარი | ხონგკონგური<br>დოლარი | სინგაპური<br>დოლარი | ინდონეზიური<br>რუპია | კორეული<br>დოლარი | იაპონური<br>იენი | ფილიპინური<br>პესო | აზიური<br>დოლარი |
|----------|--------------------|---------------------|--------------------|------------------|-----------------|--------------------|-----------------------|-----------------------|---------------------|----------------------|-------------------|------------------|--------------------|------------------|
|          | 1                  | 1                   | 10                 | 1                | 100             | 10                 | 10000                 | 10                    | 1                   | 1                    | 10                | 10               | 100                | 1                |
| 01.03.21 | 2,6320             | 2,5912              | 2,1181             | 0,4498           | 3,1264          | 9,0539             | 0,7918                | 10,0840               | 2,5030              | 10,9789              | 5,1472            | 4,2873           | 4,5264             | 2,4299           |
| 02.03.21 | 2,6230             | 2,5756              | 2,1150             | 0,4574           | 3,1173          | 9,0574             | 0,7921                | 10,0977               | 2,4987              | 10,9868              | 5,1471            | 4,2887           | 4,5232             | 2,4076           |
| 03.03.21 | 2,6278             | 2,5873              | 2,1139             | 0,4537           | 3,1112          | 9,0531             | 0,7917                | 10,0678               | 2,4971              | 10,9815              | 5,1389            | 4,2865           | 4,5323             | 2,4118           |
| 04.03.21 | 2,6278             | 2,5873              | 2,1139             | 0,4537           | 3,1112          | 9,0531             | 0,7917                | 10,0678               | 2,4971              | 10,9815              | 5,1389            | 4,2865           | 4,5323             | 2,4118           |
| 05.03.21 | 2,6235             | 2,5815              | 2,1137             | 0,4440           | 3,0923          | 9,0362             | 0,7902                | 10,0354               | 2,4917              | 10,9683              | 5,1313            | 4,2779           | 4,5567             | 2,4053           |
| 06.03.21 | 2,6123             | 2,5449              | 2,1155             | 0,4418           | 3,0598          | 9,0395             | 0,7905                | 10,0232               | 2,4759              | 10,9578              | 5,1184            | 4,2763           | 4,5465             | 2,3676           |
| 07.03.21 | 2,6123             | 2,5449              | 2,1155             | 0,4418           | 3,0598          | 9,0395             | 0,7905                | 10,0232               | 2,4759              | 10,9578              | 5,1184            | 4,2763           | 4,5465             | 2,3676           |
| 08.03.21 | 2,6123             | 2,5449              | 2,1155             | 0,4418           | 3,0598          | 9,0395             | 0,7905                | 10,0232               | 2,4759              | 10,9578              | 5,1184            | 4,2763           | 4,5465             | 2,3676           |
| 09.03.21 | 2,6123             | 2,5449              | 2,1155             | 0,4418           | 3,0598          | 9,0395             | 0,7905                | 10,0232               | 2,4759              | 10,9578              | 5,1184            | 4,2763           | 4,5465             | 2,3676           |
| 10.03.21 | 2,6366             | 2,5606              | 2,1144             | 0,4353           | 3,0565          | 9,0506             | 0,7915                | 9,9979                | 2,4708              | 10,9818              | 5,1026            | 4,2823           | 4,5580             | 2,3815           |
| 11.03.21 | 2,6271             | 2,5590              | 2,1131             | 0,4384           | 3,0561          | 9,0495             | 0,7914                | 10,0054               | 2,4681              | 10,9733              | 5,1062            | 4,2821           | 4,5588             | 2,3802           |
| 12.03.21 | 2,6419             | 2,5838              | 2,1159             | 0,4459           | 3,0654          | 9,0503             | 0,7915                | 10,0596               | 2,4818              | 10,9924              | 5,1245            | 4,2842           | 4,5592             | 2,4030           |
| 13.03.21 | 2,6473             | 2,5745              | 2,1162             | 0,4379           | 3,0480          | 9,0479             | 0,7912                | 10,0133               | 2,4697              | 10,9822              | 5,1070            | 4,2805           | 4,5656             | 2,3827           |
| 14.03.21 | 2,6473             | 2,5745              | 2,1162             | 0,4379           | 3,0480          | 9,0479             | 0,7912                | 10,0133               | 2,4697              | 10,9822              | 5,1070            | 4,2805           | 4,5656             | 2,3827           |
| 15.03.21 | 2,6473             | 2,5745              | 2,1162             | 0,4379           | 3,0480          | 9,0479             | 0,7912                | 10,0133               | 2,4697              | 10,9822              | 5,1070            | 4,2805           | 4,5656             | 2,3827           |
| 16.03.21 | 2,6657             | 2,5733              | 2,1096             | 0,4418           | 3,0443          | 9,0400             | 0,7906                | 10,0238               | 2,4698              | 10,9911              | 5,1075            | 4,2764           | 4,5811             | 2,3894           |
| 17.03.21 | 2,6624             | 2,5681              | 2,1088             | 0,4437           | 3,0424          | 9,0403             | 0,7906                | 10,0603               | 2,4682              | 10,9987              | 5,1096            | 4,2758           | 4,5768             | 2,3854           |
| 18.03.21 | 2,6685             | 2,5724              | 2,1135             | 0,4433           | 3,0492          | 9,0531             | 0,7917                | 10,1264               | 2,4708              | 11,0179              | 5,1147            | 4,2819           | 4,5836             | 2,3898           |
| 19.03.21 | 2,6840             | 2,6012              | 2,1193             | 0,4461           | 3,0537          | 9,0656             | 0,7928                | 10,1087               | 2,4823              | 11,0295              | 5,1214            | 4,2882           | 4,5911             | 2,4068           |
| 20.03.21 | 2,6712             | 2,5844              | 2,1252             | 0,4595           | 3,0622          | 9,0732             | 0,7935                | 10,1123               | 2,4833              | 11,0314              | 5,1212            | 4,2909           | 4,5957             | 2,3885           |
| 21.03.21 | 2,6712             | 2,5844              | 2,1252             | 0,4595           | 3,0622          | 9,0732             | 0,7935                | 10,1123               | 2,4833              | 11,0314              | 5,1212            | 4,2909           | 4,5957             | 2,3885           |
| 22.03.21 | 2,6712             | 2,5844              | 2,1252             | 0,4595           | 3,0622          | 9,0732             | 0,7935                | 10,1123               | 2,4833              | 11,0314              | 5,1212            | 4,2909           | 4,5957             | 2,3885           |
| 23.03.21 | 2,6646             | 2,5717              | 2,1169             | 0,4182           | 3,0620          | 9,0661             | 0,7928                | 10,0875               | 2,4815              | 11,0262              | 5,1152            | 4,2878           | 4,6009             | 2,3842           |
| 24.03.21 | 2,6490             | 2,5547              | 2,1169             | 0,4214           | 3,0734          | 9,0779             | 0,7939                | 10,1156               | 2,4822              | 11,0334              | 5,1192            | 4,2929           | 4,6032             | 2,3450           |
| 25.03.21 | 2,6552             | 2,5444              | 2,1180             | 0,4209           | 3,0739          | 9,0972             | 0,7955                | 10,1424               | 2,4822              | 11,0566              | 5,1245            | 4,3010           | 4,6047             | 2,3339           |
| 26.03.21 | 2,6670             | 2,5470              | 2,1278             | 0,4210           | 3,0681          | 9,1135             | 0,7970                | 10,1173               | 2,4859              | 11,0801              | 5,1187            | 4,3083           | 4,6089             | 2,3371           |
| 27.03.21 | 2,6796             | 2,5673              | 2,1466             | 0,4194           | 3,0776          | 9,1800             | 0,8028                | 10,1283               | 2,5041              | 11,1575              | 5,1550            | 4,3398           | 4,6497             | 2,3569           |
| 28.03.21 | 2,6796             | 2,5673              | 2,1466             | 0,4194           | 3,0776          | 9,1800             | 0,8028                | 10,1283               | 2,5041              | 11,1575              | 5,1550            | 4,3398           | 4,6497             | 2,3569           |
| 29.03.21 | 2,6796             | 2,5673              | 2,1466             | 0,4194           | 3,0776          | 9,1800             | 0,8028                | 10,1283               | 2,5041              | 11,1575              | 5,1550            | 4,3398           | 4,6497             | 2,3569           |
| 30.03.21 | 2,6888             | 2,5885              | 2,1499             | 0,4144           | 3,0890          | 9,2148             | 0,8059                | 10,1466               | 2,5144              | 11,1999              | 5,1589            | 4,3544           | 4,6569             | 2,3689           |
| 31.03.21 | 2,7095             | 2,6022              | 2,1686             | 0,4064           | 3,0918          | 9,2889             | 0,8123                | 10,2441               | 2,5325              | 11,2861              | 5,1959            | 4,3881           | 4,6493             | 2,3883           |

| თარიღი   | რუსული რუბლი | ამერიკიანული<br>მანეთი | ბელორუსული რუბლი | თურქმენული მანეთი | მოლდავეური ლეი | სომხური დრამი | თაჯიკური სომონი | უზბეკური სუმი | უკრაინული გრივნა | ყაზახური თენგე | ყირგიზული სომი | სამხრეთ აფრიკული<br>რანდი | ბრაზილიური რიალი |
|----------|--------------|------------------------|------------------|-------------------|----------------|---------------|-----------------|---------------|------------------|----------------|----------------|---------------------------|------------------|
|          | 100          | 1                      | 10000            | 10                | 10             | 1000          | 10              | 1000          | 10               | 100            | 100            | 10                        | 1                |
| 01.03.21 | 4,4633       | 1,9542                 | 1,2723           | 9,5014            | 1,9044         | 6,3026        | 2,9448          | 0,3152        | 1,1903           | 0,7967         | 3,9625         | 2,2264                    | 0,6025           |
| 02.03.21 | 4,4917       | 1,9550                 | 1,2788           | 9,5051            | 1,8999         | 6,3097        | 2,9459          | 0,3153        | 1,1874           | 0,7953         | 3,9254         | 2,2083                    | 0,5938           |
| 03.03.21 | 4,4557       | 1,9542                 | 1,2780           | 9,5006            | 1,8974         | 6,3037        | 2,9443          | 0,3151        | 1,1895           | 0,7902         | 3,9228         | 2,2049                    | 0,5901           |
| 04.03.21 | 4,4557       | 1,9542                 | 1,2780           | 9,5006            | 1,8974         | 6,3037        | 2,9443          | 0,3151        | 1,1895           | 0,7902         | 3,9228         | 2,2049                    | 0,5901           |
| 05.03.21 | 4,4985       | 1,9503                 | 1,2697           | 9,4829            | 1,8882         | 6,3203        | 2,9387          | 0,3159        | 1,1973           | 0,7905         | 3,9137         | 2,2051                    | 0,5902           |
| 06.03.21 | 4,4518       | 1,9511                 | 1,2697           | 9,4863            | 1,8883         | 6,3332        | 2,9398          | 0,3160        | 1,1966           | 0,7907         | 3,9151         | 2,1663                    | 0,5857           |
| 07.03.21 | 4,4518       | 1,9511                 | 1,2697           | 9,4863            | 1,8883         | 6,3332        | 2,9398          | 0,3160        | 1,1966           | 0,7907         | 3,9151         | 2,1663                    | 0,5857           |
| 08.03.21 | 4,4518       | 1,9511                 | 1,2697           | 9,4863            | 1,8883         | 6,3332        | 2,9398          | 0,3160        | 1,1966           | 0,7907         | 3,9151         | 2,1663                    | 0,5857           |
| 09.03.21 | 4,4518       | 1,9511                 | 1,2697           | 9,4863            | 1,8883         | 6,3332        | 2,9398          | 0,3160        | 1,1966           | 0,7907         | 3,9151         | 2,1663                    | 0,5857           |
| 10.03.21 | 4,4918       | 1,9535                 | 1,2744           | 9,4977            | 1,8869         | 6,3356        | 2,9433          | 0,3168        | 1,1991           | 0,7923         | 3,9198         | 2,1632                    | 0,5715           |
| 11.03.21 | 4,4895       | 1,9583                 | 1,2767           | 9,4966            | 1,8779         | 6,3197        | 2,9430          | 0,3166        | 1,1995           | 0,7913         | 3,9193         | 2,1774                    | 0,5725           |
| 12.03.21 | 4,5088       | 1,9535                 | 1,2764           | 9,4974            | 1,8743         | 6,3189        | 2,9423          | 0,3165        | 1,1978           | 0,7929         | 3,9211         | 2,2248                    | 0,5860           |
| 13.03.21 | 4,5174       | 1,9529                 | 1,2826           | 9,4949            | 1,8785         | 6,3474        | 2,9415          | 0,3160        | 1,1987           | 0,7932         | 3,9200         | 2,2184                    | 0,5999           |
| 14.03.21 | 4,5174       | 1,9529                 | 1,2826           | 9,4949            | 1,8785         | 6,3474        | 2,9415          | 0,3160        | 1,1987           | 0,7932         | 3,9200         | 2,2184                    | 0,5999           |
| 15.03.21 | 4,5174       | 1,9529                 | 1,2826           | 9,4949            | 1,8785         | 6,3474        | 2,9415          | 0,3160        | 1,1987           | 0,7932         | 3,9200         | 2,2184                    | 0,5999           |
| 16.03.21 | 4,5435       | 1,9511                 | 1,2814           | 9,4869            | 1,8847         | 6,2957        | 2,9390          | 0,3158        | 1,2011           | 0,7926         | 3,9167         | 2,2346                    | 0,5977           |
| 17.03.21 | 4,5556       | 1,9513                 | 1,2817           | 9,4871            | 1,8760         | 6,2949        | 2,9390          | 0,3156        | 1,2009           | 0,7925         | 3,9168         | 2,2405                    | 0,5911           |
| 18.03.21 | 4,5490       | 1,9574                 | 1,2818           | 9,5006            | 1,8718         | 6,3247        | 2,9432          | 0,3157        | 1,2005           | 0,7942         | 3,9210         | 2,2335                    | 0,5911           |
| 19.03.21 | 4,5178       | 1,9601                 | 1,2825           | 9,5137            | 1,8707         | 6,3540        | 2,9473          | 0,3162        | 1,2027           | 0,7949         | 3,9264         | 2,2642                    | 0,5959           |
| 20.03.21 | 4,5170       | 1,9584                 | 1,2840           | 9,5217            | 1,8738         | 6,3190        | 2,9495          | 0,3171        | 1,2018           | 0,7920         | 3,9297         | 2,2695                    | 0,5992           |
| 21.03.21 | 4,5170       | 1,9584                 | 1,2840           | 9,5217            | 1,8738         | 6,3190        | 2,9495          | 0,3171        | 1,2018           | 0,7920         | 3,9297         | 2,2695                    | 0,5992           |
| 22.03.21 | 4,5170       | 1,9584                 | 1,2840           | 9,5217            | 1,8738         | 6,3190        | 2,9495          | 0,3171        | 1,2018           | 0,7920         | 3,9297         | 2,2695                    | 0,5992           |
| 23.03.21 | 4,4696       | 1,9603                 | 1,2817           | 9,5140            | 1,8671         | 6,3139        | 2,9471          | 0,3170        | 1,2028           | 0,7907         | 3,9265         | 2,2533                    | 0,6064           |
| 24.03.21 | 4,3904       | 1,9627                 | 1,2779           | 9,5266            | 1,8646         | 6,3223        | 2,9510          | 0,3174        | 1,2026           | 0,7923         | 3,9317         | 2,2372                    | 0,6058           |
| 25.03.21 | 4,3935       | 1,9669                 | 1,2738           | 9,5466            | 1,8666         | 6,3247        | 2,9571          | 0,3184        | 1,1990           | 0,7940         | 3,9400         | 2,2600                    | 0,6052           |
| 26.03.21 | 4,4086       | 1,9704                 | 1,2748           | 9,5637            | 1,8656         | 6,3365        | 2,9624          | 0,3185        | 1,1975           | 0,7890         | 3,9471         | 2,2505                    | 0,5953           |
| 27.03.21 | 4,4366       | 1,9843                 | 1,2846           | 9,6337            | 1,8771         | 6,3667        | 2,9841          | 0,3214        | 1,2058           | 0,7950         | 3,9759         | 2,2463                    | 0,5970           |
| 28.03.21 | 4,4366       | 1,9843                 | 1,2846           | 9,6337            | 1,8771         | 6,3667        | 2,9841          | 0,3214        | 1,2058           | 0,7950         | 3,9759         | 2,2463                    | 0,5970           |
| 29.03.21 | 4,4366       | 1,9843                 | 1,2846           | 9,6337            | 1,8771         | 6,3667        | 2,9841          | 0,3214        | 1,2058           | 0,7950         | 3,9759         | 2,2463                    | 0,5970           |
| 30.03.21 | 4,4519       | 1,9890                 | 1,2898           | 9,6703            | 1,8803         | 6,3837        | 2,9954          | 0,3222        | 1,2092           | 0,7979         | 3,9910         | 2,2579                    | 0,5880           |
| 31.03.21 | 4,4926       | 2,0052                 | 1,3000           | 9,7480            | 1,8918         | 6,4320        | 3,0195          | 0,3250        | 1,2237           | 0,8032         | 4,0231         | 2,2795                    | 0,5900           |



# იდიო ქაქაშვიძის ბრძნული გამოცხადებები

- კაცს რაკი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდარია თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზედ წავა.
- დიდი ცოდვაა ადამიანს, თუნდ ცალკე პატარა ერს, ნიჭი შეუკრა, შეუბოჭო, სიკეთის ღობე შეუხუთო. არანაკლები ცოდვაა ერთის ღვანლი, თუ კია სადმე, მეორეს მიაკერო და მართლად ღვანლდამდეგი ჩრდილში მიაყენო და სხვისით სხვა გამოამზეო საქებ-სადიდებლად. თუ თავმოსანონებელია სადმე, ყველამ თავისით უნდა მოიწონოს თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთვნოს.
- დიდად წარმატებული გონება და გული უნდა ჰქონდეს, რომ კაცი შემძლებელი იყოს, თავისი თავი გაითვალისწინოს და თავის-თავს მსაჯულად გაუხდეს პირუთვნელად, იმიტომ, რომ იგი ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც უნდა იყოს, მოსარჩლეც, ბრალმდებელიც და ბრალდებულიცა.
- დღეს ისეთი დღეა, ოღონდ – კი ფონს გახვიდე, შენ შენი გაიყვანო და მოტყუებით იქნება, თაღლითობით თუ ოინბაზობით ამას ვილა იკითხავს. დღეს ჭკუის საწყაოდ, ასეთი საქციელი გამარჯვებაა.
- სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი.
- ყველამ ერთად და თითოეულმა ცალკე, უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია, მთელის ერისა და ამიტომ თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე.
- ლანძღვა-გინება უმართებულო საქციელია და მარტო მლანძღველის სიბრყვეს მოასწავებს, ხოლო სიბრყვე ავზნეობის ნიშანი კი არ არის, გაუზრდელობის, გაუნვრთნელობის საქმეა.
- გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე.
- ბუნებამ რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისთვის, მაინცდამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შემწეობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერ შევლის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისთვის, ხალხთა კეთილდღეობისთვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზედ.

ფინანსური მართვა  
აუდიტი და მარცხვანაველი მოქმედებები  
საწარმო სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამკირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადწყვეტილებების კომპრომენტირება.



[gfpaa.ge/](https://www.gfpaa.ge/)